# საბურთალო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი 8 დეკემბერი 1998 №224 (759) ფასი 50 თეთრი



## დაუმარცხებელმა "ყოჩებმა" ისევ იჩემპიონეს!

მეექვსე ეროვნული ჩემპიონატი ჩამთავრდა და პირველად მოხდა, რომ ერთმა გუნდმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვა უძლიერესის წოდება.

„ყოჩებმა" ისევ იჩემპიონეს, იჩემპიონეს დაუმარცხებლად, რაც ასევე პირველია ჩვენს რაგბიში.

მაშ ასე. დასრულდა მეექვსე ეროვნული ჩემპიონატი, დასრულდა „ყოჩების" გამარჯვებით, როგორც პირველობის დასაწყისშივე ვიწინასწარმეტყველეთ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ისინი ხომ ნებისმიერ მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. ამაზე ეს შედეგიც მეტყველებს — 26 მატჩიდან 24-ში „ყოჩებმა" გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი და მხოლოდ ორი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ, ისიც ფინალისტთან.

იხილეთ მეათე გვერდი

# მშვიდობით, ვითა!

- ფედერაციამ მხოლოდ კლუბებისა და მოთამაშეების დასჯა იცის
- ასეთი ფიასკოს შემდეგ ნაკრების და ფედერაციის ხელმძღვანელები უნდა გადამდგარიყვნენ
- მოსეშვილი ქათამაძემ დანიშნა, პასუხისმგებლობაც მას ეკისრება
- სტეფანიას თავდადებას სთხოვენ, ყურადღებას კი არ აქცევენ

**ამბობს ვითას პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი**

„ვითა" ეროვნულ ჩემპიონატს გამოაკლდა. ამის მიზეზიც მოგვახსენა კლუბის პრეზიდენტმა. კალათბურთის ქომაგნი ვრცელ ახსნა-განმარტებას ითხოვენ. სწორედ ამიტომაც შევეხმიანეთ კიდევ ერთხელ თემურ დათიკაშვილს, რომელმაც საუბრის დაწყებამდე ესეც გვითხრა, ეს არის და ეს, ამის შემდეგ მასმედიასთან ყოველგვარ ურთიერთობას ვწყვეტ, რადგან კალათბურთს ჩამოვშორდი. აღარ მინდა, „ვითასა" და ჩვენს სულთმობრძავ კალათბურთზე ვისაუბროო.

რა თქმა უნდა, „ვითას" პრეზიდენტს ეს გულისტკივილმა ათქმევინა, მაგრამ ეს არ იყო ვინმეზე განაწყენებული კაცის სიტყვები. ჩვენი მხრივ ვერაფერს დავამატებთ, დრო გამოაჩენს, რამდენად სწორად მოიქცა „ვითა". ერთი კი ცხადია — ექვსგზის ჩემპიონის გამოკლებით ქართული კალათბურთი უთუოდ იზარალებს.



EXCLUSIVE

— ამ გადაწყვეტილებამდე არსებულ მდგომარეობაზე კარგა ხნის დაკვირვებამ მიგვიყვანა. დიდი როლი ითამაშა ფედერაციის ჩვენდამი დამოკიდებულებამაც. ბოლო-ბოლო ვერანაირი პერსპექტივა ვერ დავინახეთ. გუნდმა რომ იარსებოს, მიზანი უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, „ვითა" უკვე ექვსგზის ჩემპიონია და მხოლოდ 4-ჯერ გადმოგვცეს მედლები და ამის დამადასტურებელი მოწმობა. იმედი მქონდა, რაიმე შეიცვლებოდა, მაგრამ დრო გავიდა და ჩვენს კალათბურთში შექმნილი ტრაგიკომიკური სიტუაცია არ გამოსწორებულა.

**— ფედერაციას რატომ შემოსწყერით?**

— იმით, დავიწყებ, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს რამდენიმე კაცმა პროფესიული საკალათბურთო ლიგის ჩამოყალიბების იდეა წამოვაყენეთ. რამდენიმე ენთუზიასტმა ფედერაციას საგანგებო პროექტი გავაცანით და მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. იდეა იდეადვე დარჩა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე პრინციპით რუსეთის ლიგა ჩამოყალიბდა. იქაური კალათბურთიც კრიზისიდან გამოვიდა და დღეს რუსული კლუბები ევროპულ გრანდებს ტოლს არ უდებენ. მაშინ კი ჩვენი კალათბურთის დონე უფრო მაღალი იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ „ვითამ" ამხანაგურ მატჩებში სძლია „დინამოს", „სპარტაკსა" და ცსკ ვვს-ს. მინიმალური ანგარიში მხოლოდ ცსკა-სთან დავმარცხდით. იმა ხანებში კარგად ასპარეზობდნენ სხვა ქართული გუნდებიც — „დინამო", „კაკტუსი", „თბილისი".

მერე კი დაიწყო ქართული კალათბურთის დაღმა სვლა. ჯერ „თბილისი" დაიშალა, მას „კაკტუსიც" მიჰყვა. ამ კლუბებს ყურადღება არავინ მიაქცია და მათ გადასარჩენად არაფერი გაკეთდა. არადა, ორივე ამინდს ჰქმნიდა ჩვენს კალათბურთში.

ახლახან ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი ქათამაძის განცხადება წავიკითხე — ქვეყანა დაწყნარდება და ჩვენც გვეშველებაო. ამ ნათქვამის გასაქარწყლებლად ბოსნიის მაგალითს მოვიყვან. ეს ქვეყანა ჩვეზე უარეს დღეშია, მგონი, იქ ახლაც ომი მძვინვარებს. კალათბურთი რომ არ ჩამკვდარიყო, ექვსი მოწინავე გუნდი და თავად ნაკრები გერმანიაში გადაიყვანეს. კალათბურთის მესვეურებმა თვითგადარჩენისთვის ყველაფერი გააკეთეს და დღეს ნაყოფსაც იმკიან. ბოსნიის ნაკრები თავის ქვეჯგუფში ლიდერია, უკვე ევროპის ჩემპიონატის საგზურიც ჯიბეში აქვთ. ცნობისათვის: ეს გუნდი 1995 წლის ოქტომბერში დავამარცხეთ, ახლა კი იგი ევროპის საუკეთესო ნაკრებთა ამქარშია გარეული, მიუხედავად იმისა, რომ ბოსნიას კვლავაც უჭირს.

ამიტომ ყველაფრის სიდუხჭირისთვის გადაბრალება სრულიად გაუმართლებელია. რომ მოენდომებინათ, 8 წლის განმავლობაში სპორტის სასახლესაც გაათბობდნენ, ვერის დარბაზსაც გაანათებდნენ. ჩვენს ფედერაციას მხოლოდ რომელიმე კლუბის ან ცალკეული მოთამაშის დასჯა ხელეწიფება.

**— ნაკრების ასპარეზობაზეც გვითხარით ორიდე სიტყვა?**

— როცა ეროვნული ნაკრები ხუთ მატჩს დაახლოებით 150 ქულით აგებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ არანაირი სამუშაო არ ჩატარებულა. მთლიანობაში არ არის ნაკრები, რაც მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელების ბრალია, ისინი კი ყველაფერს პირობების არქონას აბრალებენ. ფედერაციამ მათი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, ის კი არა, ჩემპიონატი შეწყვიტა, რაც არცერთ ქვეყანაში არ ხდება. ერთი თვის განმავლობაში მოთამაშეები ნაკრების თავკაცთა ხელთ იყვნენ, ისრაელის შეკრებაც მოეწყო. მგონი, შეთამაშებისათვის და ფსიქოლოგიური მომზადებისათვის ყველაფერი გაკეთდა. შედეგი კი სავალალოა...

ჩემი აზრით, ასეთი ფიასკოს შემდეგ ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობით უნდა გადამდგარიყო, ასე არ მოხდა, რაც ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრის ტოლფასია.

ზემოთქმული რომ დავასაბუთო, ახლანდელ და ძველ ნაკრებებს ერთმანეთს შევადარებ.

მაშინდელი ნაკრების მწვრთნელებს სამ მატჩში ცხრა ქულით დამარცხება არ აპატიეს, მაშინ, როცა გუნდი სანახაობრივ და გააზრებულ თამაშს აჩვენებდა. ნაკრების პროგრესი აშკარა იყო, მას თითქმის ყველა მეტოქესთან შეეძლო ბრძოლა. მაყურებლსაც ერთადერთი პრეტენზია ჰქონდა: როგორ ვერ ვუგებდით ისრაელს, საბერძნეთს, თურქეთს, რატომ ვმარცხდებოდით თანაბარ ბრძოლაში ორი-სამი ქულით.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

## ლხინი იქა, ჭირი აქა
## შვედეთი 4:1 იტალია

DAVIS CUP by NEC

ჩოგბურთში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის ფინალი მილანში ისე არ დასრულებულა, მასპინძლები რომ ისურვებდნენ. ჩემპიონები, ზედიზედ მეორედ, მომხვდურნი — შვედები გახდნენ, იტალიელებს კი პრესტიჟული ჯილდოს ნაცვლად ტრავმები, უთანხმოება და ათასგვარი უბედურებაღა შერჩათ ხელთ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS მილანიდან

იონას ბიორკმანი, მაგნუს გუსტაფსონი, ნიკლას კულტი, მაგნუს ნორმანი და კარლ აქსელ ჰაგესკოგი

# მთავარია გაგება

საქართველოს ნაკრების ექსპერიმენტული შემადგენლობით ესტონელთა დამარცხების შემდეგ სანაკრებო აჟიოტაჟი ერთგვარად მიჩუმდა. მერე ის იყო, ბალტიისპირელები სომხებმაც დაამარცხეს, აზერბაიჯანელებმაც და ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგები კომენტარებიც გაკრთა ქართულ პრესაში — აქაოდა, ყოჩაღ, ეს რა გუნდი დაგვიმარცხებიაო. ესტონეთი მართლა დიდი ვერაფერიშვილი გახლდათ, მაგრამ ცოტათი იმაზეც ხომ არ გვმართებს ფიქრი, ჩრდილოელებზე ადრე ჩვენს ნაკრებსაც რომ „შემოულაწუნეს“ აზერბაიჯანელებმა.

ეს ერთი და, მეორეც ის, რომ, როგორღაც ამ ბოლო დროს ქართული ლეგიონერების პატრიოტიზმით მანიპულირებაც გახშირდა, ვისაც არ ეზარება და ვისაც კი ქართველ ლეგიონერთა ახლობლად მიაჩნია თავი, ამას წერს და გაიძახის, თანაც ყველგან და ყოველთვის.

### ისევ პატრიოტიზმზე

კაი მთქმელს კაი გამგონი უნდა. თუკი ქართველი ფეხბურთზე მწერალი კაცი ჩვენსავით პატარა ხორვატიის მაგალითს მოიყვანს და შეშურდება, ეს არც გულმოსასვლელი უნდა შეიქნეს და არც საიროწიო. ქართველ ჟურნალისტებს დავორ შუკერის, ანაც ზვონიმირ ბობანის ის კი არ მოსწონთ, ხორვატულ ჰიმნს რომ ბოლომდე „აბულბულებლენ“, არა, ჩვენს სპორტულ პრესას მათი ჟინი და გამარჯვებისკენ სწრაფვა უფრო სურს იხილოს ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრთა ხასიათში. ზოგმა კიდევ, პატრიოტიზმიო... პატრიოტიზმიც, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ ფეხბურთი.

ამას წინათ ისიც დაიწერა, ორი ქართველი ლეგიონერი ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლებს თვალზე ცრემლმომდგარი უცქერდა და როგორ შეიძლება ასეთ ხალხს არაპატრიოტობა დასწამოო. ცრემლებიცაა და ცრემლებიც. „რუსთავის“ ყურებისას არაერთ ქართველს შეიძლება შევნიშნოთ თვალზე ნისველე, მაგრამ ეს სიამაყისგან უფრო იქნება. აი, საბერძნეთის ნაკრებთან ჩვენი ეროვნული გუნდის თამაშის შემდეგაც მოადგა ბარე ორს ცრემლი, მაგრამ ეს სიამაყის არა, სიმწრის ცრემლი იყო და როგორც მგონია, „იმ“ სიამაყის ცრემლებზე არაფრით ნაკლები.

და ვერც ვერავინ „აწონის“, რომელი ცრემლია უფრო პატრიოტული: „რუსთაველი“ თუ „ბერძნული“. აი, ჩვენს ფეხბურთელებს რომ ბერძნებთან მატჩის დროსაც (ან შემდეგ) მოდგომოდათ თვალთ ცრემლი, მათი ფასი განუზომლად დიდი იქნებოდა (ფეხბურთელებლისაც და ცრემლებისაც — ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის).

ასე რომ, მთავარი გაგებაა, ანც ის, თუ ვის როგორ ესმის ფეხბურთის არსი, ცრემლების არსი და საერთოდ, საქმის არსი.

### რევოლუცია თუ ევოლუცია

1974 წელს მფრინავმა ჰოლანდიელებმა რომ გადატრიალება მოახდინეს მსოფლიოს ფეხბურთში, მას მერე რევოლუციური და გადასარევი არც არაფერი მომხდარა ინგლისელთა მიერ გამოგონილ და მსოფლიოს მიერ ატაცებულ თამაშში.

საერთოდ, ფეხბურთს, როგორც ასეთს, არ უყვარს რევოლუციები, შვენის კი... მაგრამ ვერც იმას იტყვის ვერავინ, ფეხბურთისთვის რევოლუციას ევოლუცია არ სჯობსო. რევოლუციები და ერთი ხელის დაკვრით გადატრიალებანი ნაპოლეონს უფრო შვენოდა. ფეხბურთს კი, ფიეე... რად უნდა ფეხბურთს ასეთი რამ. ფეხბურთი რომ გადაატრიალო (ოდნდავ შეატრიალო მაინც) ფეოლა, ერერა, პელე, მიხელსი, კრუიფი ან მარადონა უნდა იყო. ერთი სიტყვით, იმხელა კაცი უნდა იყო, მსოფლიო ფეხბურთმა რომ დაგიჯეროს და თუ დაგიჯერა მსოფლიო ფეხბურთმა, წყალი არ გაუვა, მოგყვება კიდეც.

ეს ამოდენა შესავალი ისევ და ისევ ჩვენი ეროვნული ნაკრებისათვის დაგვჭირდა. გამოცვალა გუცაევმა შემადგენლობა ესტონეთის ნაკრებთან, მატჩისას და ყველამ ისე მიიღო — „წინა“ ნაკრებს იწუნებს (მთლიანად) და კარს „ახლებს“ ულებსო (მთლიანად). ავადმყოფი და ეჭვიანი გონების ნაფიქრია ეს. „მთლიანად“ არაფრის შეცვლა არ შეიძლება და არც



ვლადიმერ გუცაევს და გიორგი კიკნაძეს უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის

შეიცვლება ქართულ ფეხბურთში, კერძოდ კი ეროვნულ ნაკრებში.

მტერი ვერ მიხვდა იმას, რომ ვლადიმერ გუცაევს სულ სხვა რამისთვის დასჭირდა ასეთი რამე. ჩვენი დაქცეული საფეხბურთო მეურნეობის ფონზეც კი შეუძლია საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეორეხარისხოვანი გუნდების დონეზე ითამაშოს და როცა ვხედავთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი აქვთ ლატვიელებს, ალბანელებს, სლოვენებს, ჩვენმა ნაკრებმა რად არ უნდა გამოიღოს ხელი ვითომ?

როცა ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს იწვევდა, გუცაევი არ ფიქრობდა რევოლუციაზე, მას ზოგი ნიჭიერი ყმაწვილკაცის „შეჯანჯღარება“ სურდა მხოლოდ და თუკი რეაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნაწილობრივ აისრულა კიდეც სურვილი.

ანუ რას ვამბობთ? ყველაფერი ევოლუციურად უნდა მოხდეს ჩვენს ნაკრებში. „ის ბიჭები“ ხომ ისე არ „გვძულან“, ერთი ხელის დაკვრით მოვიკვეთოთ.

არც ასე იაფი გვიღირან ჩვენი ლეგიონერები (ბოლოს და ბოლოს ამ „აიაქს“ — „ნიუკასლებს“ მართლა დირე ხომ არა აქვთ თვალებში), რომ არც კი გავიხედოთ მათი ფეხბურთისკენ.

გავიდა დრო, ვინძლო ბევრ რამესაც გადააფასებდნენ „ეს ბიჭები“, თავიანთ „გენიალურობასაც“ ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედავენ და ბოლოსდაბოლოს გაიგებენ რაც გვინდა (ჩვენ და გულშემატკივრებს).

ერთი სიტყვით, ისევ გაგებაა მთავარი.

### მობურთალს პარგა გაჭქონდეს...

ამაზე იმდენი გვითქვამს და დაგვიწერია... მაინც საკამათო და გაუგებარი ხდება ხოლმე ყველაფერი. დავაბრალოთ ყოველივე ჩვენი ფეხბურთელების (და მათ კეთილმსურველთა) გულმავიწყობას და ერთხელაც მოვიქაჩლოთ თავი...

რა გვინდა ჩვენ (და ქომაგს)? პატრიოტიზმი ფარდობითი ცნებაა და ფეხბურთელისთვის მწვანე მოედანზე თავის დადებას ნიშნავს — ფეხბურთელმა ეს უნდა გააკეთოს, კალათბურთელმა ბურთი კალათში ჩააგდოს და ორმოცდასამი ქულით არ წააგოს, მოჭიდავემ მეტოქე ბეჭებზე გააკრას.

აბა, მატროსოვისთვის პატრიოტობა ამბრაზურაზე გადაფარებას ნიშნავდა და ახლა რომ ავდგეთ და ჩვენს ფეხბურთელებს ეს მოვთხოვოთ, ვიქნებით მართალი?

ამბრაზურაზე გადაფარებას და ტანკისთვის შევარდნას (აფხაზეთის დაბრუნებასაც) ჯარისკაცებს თხოვენ ხოლმე. ფეხბურთელებს ბურთის ლაზათიან გორებას ვთხოვთ მხოლოდ.

არის აქ რამე გაუგებარი?

ერთი სიტყვით, გამგები გაიგებს — მთავარია ვინ როგორ გაიგებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# დავით, წადი სპარტაკში!



ბადრი ქეთილაძის ფოტო

დავით ჭიჭველიშვილი

ამას წინათ იყო, რუსეთის ჩემპიონის, მოსკოვის „სპარტაკის“ პრეს-ატაშეს ალექსანდრე ლვოვის მიერ გადმოცემული, ამავე კლუბის მწვრთნელისა და პრეზიდენტის ოლეგ რომანცევის ნათქვამი რომ დავბეჭდეთ ჩვენებურ, „ბათუმის“ ფეხბურთელ დავით ჭიჭველიშვილის „სპარტაკში“ გადასვლასთან დაკავშირებით.

რამდენიმე დღის წინ კი ოლეგ რომანცევმა, ახალი რამ განაცხადა: „ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დავით ჭიჭველიშვილი „სპარტაკში“ ვარჯიშობდა, ალბათ, უკვე ჩააღწევდა საქართველოში და ახლა ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი ატყდება. ბევრი კლუბი შესთავაზებს ჭიჭველიშვილს კონტრაქტის გაფორმებას. მასთან ხელმეორედ შეხვედრამდე, მე, ჩემი ტელეფონის ნომერი მივეცი, ვთხოვე ყოველივე ახალი მაცნობოს, არ იჩქაროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მით უმეტეს, რომ დავით ჭიჭველიშვილს ჩვენთან თამაში სურს.“

რომანცევმა „რეალთან“ მატჩამდე „სპარტაკის“ მომზადებაზეც ილაპარაკა და ესეც დაამატა — გუნდის ყველა ახალწვეულით კმაყოფილი ვარ. მათთან მუშაობას გავაგრძელებთ და შეკრებაზე ისრაელშიც წავიყვანთო.

შეკრებაში „სპარტაკის“ მწვრთნელ-პრეზიდენტი, ალბათ, სეზონის წინა მოსამზადებელ პერიოდს გულისხმობდა, რომელიც გუნდის შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოეწყობა.

„სპარტაკის“ ექიმმა იური ვასილკოვმა კი, რომელიც ამჟამად გუნდთთან ერთად ესპანეთში იმყოფება და ფეხბურთელების ჯამრთელობაზე ზრუნავს, მომავალ სპარტაკელებზე ეს თქვა: „გარეგნულად ყველა ფეხბურთელი ისე გამოიყურება, არა მგონია ვინმე ავად იყოს, ისინი ხომ კლუბებიდან მოდიან „სპარტაკში“. თუმცა როგორც წესი და რიგია, თუ რომანცევი მეტყვის რომელიმე ფეხბურთელზე, მჭირდებაო, მაშინ აუცილებლად, თითოეული მოთამაშე საფუძვლიანად გაისინჯება. ეს კი, ალბათ იანვრის ბოლოს მოხდება.“

ჩვენ კი ერთს ვთხოვთ ქართული კლუბების წარმომადგენლებს — რომანცევის ნათქვამი ნათქვამადვე დატოვონ, ხელს ნუ შეუშლიან დავით ჭიჭველიშვილს, რომ კარიერა „სპარტაკში“ გააგრძელოს, ათასგვარი დაპირებებით ყურებს ნუ გამოუჭედავენ.

თუმცა, როგორც ჩანს ჭიჭველიშვილის ამჟამინდელი კლუბი „ბათუმი“ სხვაგვარად ფიქრობს. როგორც მათმა პრეზიდენტმა, ბატონმა თემურ ბეჟანიძემ გუშინ გვითხრა, ბათუმელებს თურმე საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ — ჩამოვიდნენ სპარტაკელები და დავხვდებით, პირობებზე შევთანხმდებით. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, ჩვენ დღემდე ფეხბურთელი არ გაგვიყიდიაო.

**კობა ინასარიძე**

## ფირი უნახავთ, ჯერი მწვრთნელზეა

ამ ამბის დაწერა კვირასაც შეიძლებოდა, მაგრამ თავი შევიკავეთ, ვიფიქრეთ, მკითხველს უფრო დაწვრილებით მოვუყვებით ჯერჯერობით უგუნდოდ მყოფი გოჩა ჯამარაულის ესპანურ „სევილიაში“ შესაძლო გადასვლის თაობაზეო, მაგრამ სადღეისოდ არაფერი გამოგვივიდა — „სევილიას“ უფროსობა ვერა და ვერ მოვიხელთეთ თავიანთ ოფისში.

სევილიელმა ფიფას აგენტმა მარავერ გონსალესმა კი მხოლოდ ის გვითხრა, რომ ჯამარაულით დაინტერესებული კლუბის ხელმძღვანელობა საკმაოდ კარგად იცნობს ქართველ ნახევარმცველს, ამას წინათ ჩვენებურის მონაწილეობით ჩატარებული მატჩების ვიდეოფირებიც უნახავთ ესპანელებს და კმაყოფილებიც დარჩენილან. თუმცა ჩემს სიტყვებს ნუ ენდობით, ჯობს თავადვე დარეკოთ „სევილიას“ ტექნიკურ დირექტორ ვისენტე მიერასთან, ანაც მწვრთნელ ფერნანდო კასტრო სანტოსს შეეხმიანოთ, ისინი უფრო გაგარკვევენ ვითარებაშიო — გვითხრა აგენტმა, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, არაერთგზისმა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა.

**არჩილ ბალათურია**

## შერიფის ქართული შენაძენი

მეათე საიუბილეო ჩემპიონატის პირველი წრის გასრულებას სატრანსფერო ციებცხელება მოჰყვა. ბევრი ფეხბურთელი ახალი კლუბის და ხელსაყრელი პირობების ძიებაშია, ბევრსაც უცხოეთისაკენ უჭირავს თვალი. ეს, ალბათ, იმიტომაც ხდება, რომ ჩემპიონატის პირველი ნახევრის მიწურულს ბევრ გუნდს ფინანსური სიდუხჭირე ისე შეეჩვია, ზოგი მათგანის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა. ჰოდა, გუნდებიც იცლებიან ფეხბურთელებისგან...

რუსთავის „გორდა“ ერთობ სახეშეცვლილი შეხვდება ჩემპიონატის განახლებას. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა ფეხბურთელი აპირებს გუნდის დატოვებას.

„გორდას“ ერთ-ერთი ლიდერი, ერთდროს საბერძნეთის „ვეროიაში“ მოთამაშე კახა ალადაშვილი ამ დღეებში ტირასპოლს გაემგზავრება. იგი მოლდოვის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდ „შერიფთან“ გააფორმებს კონტრაქტს. ეს საშუალო დონის კლუბია, თუმცა შიგადაშიგ კონკურენციასაც უწევს მოლდოვის ორ ლიდერს — „ზიმბრუს“ და „კონსტრუქტორულს“. „შერიფი“ ქართველებს აქამდეც დაუჭაშნიკებიათ: კახა ალადაშვილს გუნდში ყოფილი თანაკლუბელები — თამაზ პერტია და ცეზარ ხუროძე დახვდებიან. ადვილი შესაძლებელია, ძმის გზას დაადგეს „გორდას“ კიდევ ერთი ფეხბურთელი ლაშა ალადაშვილიც — მოლდოვურ კლუბს ჰქონია მისი შეძენის სურვილი.

თითქმის გადაწყვეტილია დიმიტრი არსოშვილის „შერიფში“ თამაშიც, თუმცა ტირასპოლში მისი გამგზავრების ხელისშემშლელი გარემოებაც არსებობს. ეს ფეხბურთელი პირველ წრეში თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდა, თუმცა „დინამოს“ კუთვნილებაა და რკინიგზელებსაც იჯარით ჰყავდათ ნანათხოვარი. მოკლედ, არსოშვილს „დინამოსთან“ კონტრაქტი აკავშირებს და „შერიფში“ გადასასვლელად ქართული კლუბის თანხმობა დასჭირდება.

შეელევა თუ არა განახევრებული „დინამო“ ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთ ძლიერ მცველს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**პაატა კვანტალიანი**

## აზიელებმაც უარი გვტკიცეს

მენეჯერმა, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრებისათვის დეკემბერში ამხანაგური მატჩი უნდა გაეჩარხა რომელიმე აზიურ გუნდთან, უარი შემოთვალა, თანაც ბოდიშიო, დააყოლა: ამ დღეებში აზიის თამაშები მიმდინარეობს და ყველა ნაკრები, რომელიც ასე თუ ისე სპარინგად გამოადგებოდა ქართველებს, ამ გათამაშებაში მონაწილეობს, უსაქმოდ არავინ ყოფილა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმედი კიდევ არის, ეგებ ვინმემ ჩვენთვისაც მოიცალოს, თუ არადა, თებერვალ-მარტში ბევრ გუნდს აქვს კალენდრაში „ფანჯარაო“.

ასე რომ, იცოდეთ, ფეხბურთის ფედერაციიდან არაერთ ქვეყანას დაკავშირებიან, გვსურს გაგეჯიბროთო — პასუხებს კი დღე-დღეზე ელიან. ვნახოთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

## არის, არისი!

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა გიორგი ყიფიანმა პირველი წრის უმეტესი ნაწილი უკლუბოდ გაატარა. სეზონის დასაწყისს იგი ქუთაისის „ტორპედოში“ შეხვდა, ოთხი შეხვედრაც ჩაატარა ამ გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ შემდეგ მას ფინანსური შეუთანხმებლობის გამო დაშორდა. საუბარი იყო ყიფიანის თბილისის „დინამოში“ გადასვლაზეც, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთდა. ერთი სიტყვით, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ფეხბურთელი კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებას ეშურებოდა. ასეც მოხდა. ექსტორპედოელით საბერძნეთის უმაღლესი დივიზიონის „არისი“ დაინტერესებულა და ყიფიანიც, ალბათ, ბერძნულ კლუბს დაუკავშირებს თავის მომავალს.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გიორგი ყიფიანი (ბურთით)

**პაატა კვანტალიანი**

# მარჯვენა ხელის ხელი

## ინგლისი

XVII ტური

**მიდლსბრო 2:2 ნიუკასლი**

1:0 თაუნსენდი (13), 1:1 შარვე (38), 2:1 კუპერი (59), 2:2 დაბიზასი (83)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, პალისტერი, მასტო, გესქოინი (სტამპი 84), დინი (ბეკი 87), თაუნსენდი, რიკარდი, კუპერი
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი (დაბიზასი 81), ჰოუი, ლი, სპიდი, შარვე, გილესპი, ფერგიუსონი, სოლანო (გლასი 46), ჰიუზი, ანდერსონი (დალგლიში 75)
გაფრთხილება: ვიკერსი
მსაჯი: რენი

**ასტონ ვილა 1:1 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (47), 1:1 ჯოაკიმი (55)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი, ტეილორი, ტომპსონი, ჯოაკიმი, დაბლინი, ბერი, ჰენდრი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბექემი, კოული (ბათი 70), ბლომკვისტი (გიგზი 45), კინი, სქოულზი, იორკი, ბრაუნი
გაფრთხილება: ეჰიოგუ, ნევილი, იორკი, ირვინი
მსაჯი: რილი

**დერბი 0:0 არსენალი**

დერბი: პოომი, კარბონარი, პაუელი, დორიგო, სტარიჯი, ვანჩოპე, დელაპი, ბოჰინენი, ლაურსენი, პრაიორი, ერანიო (ჰარპერი 72)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი, ვივასი, ანელკა, ოვერმარსი, ვრე (ბოა მორტე 77), კიოუნი, პარლოუ, გრიმანდი, გარდე (ლიუნგბერგი 67)
გაფრთხილება: პაუელი, ბოჰინენი, დორიგო, ვივასი
მსაჯი: რიდი

**ლიდსი 4:0 ვესტ ჰემი**

1:0, 2:0 ბოუიერი (8, 61), 3:0 მოლენარი (68), 4:0 ჰასელბაინკი (79)
ლიდსი: რობინსონი, ვუდგეიტი, მოლენარი, რადებე, ჰაალანდი, ჰოპკინი, ბოუიერი, კიუელი (უაინჰარდი 82), ჰარტი, ჰასელბაინკი, სმიტი (მაკფეილი 85)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, მარგასი, რადოკი, სინკლერი, ლამპარდი, ლომასი, ლაზარიდისი (მონკური 56), კელერი, რაიტი, პარტსონი
გაფრთხილება: ჰაალანდი, ჰასელბაინკი, ჰოპკინი, მონკური
გაძევება: რადოკი (71)
მსაჯი: უინტერი

**ბლექბერნი 1:0 ჩარლტონი**

1:0 დეივისი (75)
ბლექბერნი: ფეტისი, დევიდსონი, ენჩოსი, გალაჰერი (დეივისი 42), დაფი, ბლეიქი, მაკინლი, ჯონსონი, კროფტი, დეილი, დანი (ბრუმსი 83)
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფირნი, რუფუსი, იუდსი, კინსელა, ჰანტი, მენდონკა (ჯონსი 56), რობინსონი, მორტიმერი (ნიუტონი 57)
გაფრთხილება: დანი, რედფირნი, კინსელა, იუდსი
მსაჯი: პოლი

**შეფილდი 3:2 ნოტინგემი**

1:0 ალექსანდერსონი (22), 2:0 კარბონი (53), 2:1 ბონელეირი (55), 3:1 კარბონი (58), 3:2 ვან ჰოიდონკი (70)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოლკერი, კარბონი (სტეფანოვიჩი 90), ბუთი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი (ბრისკო 79), ალექსანდერსონი, სონერი
ნოტინგემი: ბისენტი, როჯერსი, კიში (გრეი 63), ჩეტლი, ჰელდი, ბარტ-უილიამსი, არმსტრონგი (ჯემილი 63), ბონელეირი, დერშვილი (ჰერვუდი 77), ვან ჰოიდონკი
გაფრთხილება: ჩეტლი
მსაჯი: ჰარისი

**ლესტერი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0 ჰესკი (61), 2:0 უოლში (63)
ლესტერი: კელერი, იმპეი, ალსორნი, სინკლერი, ელიოტი, უოლში (ტაგარტი 84), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (სევიჯი 74), ჰესკი, გაპი
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ჰილი, ბენალი, ლუნდეკვამი, ოუკლი, პალმერი, რიპლი (ბიტი 73), ლე ტისიე, ოსტენსტადი, ჰიუზი (კეჩლოული 73)
გაფრთხილება: ჰიუზი
მსაჯი: გალაჰერი

**ტოტენჰემი 2:1 ლივერპული**

1:0 ფოქსი (26), 2:0 კარაგერი (50 ს.კ.), 2:1 ბერგერი (55)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ნილსენი, ფოქსი, ანდერტონი, არმსტრონგი, ჟინოლა, ივერსენი (ფერდინანდი 33), სინტონი, კემპბელი, იანგი
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ბები, ფაულერი, ოუენი, ჰეგემი, ბერგერი, ინსი, ბიორნებიუ (მერფი 75), კარაგერი, ჟერარდი (ტომპსონი 55)
გაფრთხილება: ტომპსონი
მსაჯი: ბარბერი

**უიმბლდონი 2:1 ქოვენთრი**

0:1 მაკალისტერი (54პ), 1:1, 2:1 იუელი (71, 83)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, ეკოკუ, გეილი (ეინსვორსი 46), ერდლი, ჰიუზი, იუელი
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი (ბრინი 90), უილიამსი, შოუ, ჰაკერბი, ვილანი, მაკალისტერი, ბოტენგი, ტელფერი, ფროგატი, ედვორსი
გაფრთხილება: იუელი, სალივანი, ედვორდსი, ბოტენგი
მსაჯი: დანი

**ევერტონი 0:0 ჩელსი**

ევერტონი: მირე, კლილენდი, ბოლი, კოლინზი, ჰაჩისონი, შორტი, გრანტი, მატერაცი, ბაკაიოკო, დანი, კადამარტერი
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი (დიუბერი 33), უაიზი, დი მატეო, ფერერი, ფლო, ძოლა (გოლდბეკი 63)
გაფრთხილება: დანი, ბოლი, ბაკაიოკო, უაიზი, პოიეტი, პეტრესკუ, ფლო
გაძევება: უაიზი (37), დანი (76)
მსაჯი: უილარდი

ალექს ფერგიუსონი ბირმინგემს უხასიათოდ ეწვია — მისმა მარჯვენა ხელმა ბრაიან კიდმა მანჩესტერი დატოვა და დაჩანაკებულ „ბლექბერნს" ჩაუდგა სათავეში. იმ „ბლექბერნს" როი ჰოჯსონმა ცხრილის ბოლოში „გაუჩალიჩა" ადგილი და „როვერსი" მხოლოდ ამის შემდეგ მიატოვა.

თავკაცის უგუნებობა, ეტყობა, მანჩესტერელ ფეხბურთელებსაც გადაედოთ — „ვილა პარკზე" სათამაშოდ, ცოტა არ იყოს, დაშინებულნი გავიდნენ და ამიტომაც „ასტონ ვილას" მიერ მატჩის დებიუტში მოწყობილ შტურმს სხვას ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა ლოგიკურს. ბირმინგემელებს პირველ ტაიმში რამდენჯერმე შეეძლოთ სტადიონზე შეკრებილი 39 241 ფანის გახარება, მაგრამ არ გამოუვიდათ — ბურთი ზედმეტად სტუმართმოყვარე გამოდგა, განსხვავებით გულშემატკივრებისგან, რომლებიც ზუსტად მაშინ, როდესაც პასს ყოფილი ასტონვილელი დუაიტ იორკი იღებდა, უარყოფით ემოციებს უშურველად აფრქვევდნენ.

მეორე ნახევარი სულ ორი წუთის დაწყებული იყო, როცა ტაბლოზე ერთიანი აკაშკაშდა, ოღონდ ის არა, „ვილა პარკი" რომ ელოდა — ენდი კოული ენერგიულად შეიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ბურთი კარის გაწვრის ჩააწოდა, სადაც მას მასპინძელთა მეკარე მაიკლ ოუქსი გადაელობა, უხეიროდ მოიგერია და 24 წლის „იუნაიტედის" სკოლის აღზრდილ პოლ სქოულზს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა.

გაიხარეს სტუმრებმა. ფერგიუსონსაც გამოუკეთდა ხასიათი, ხოლო „ვილა პარკი" კიდევ უფრო აგუგუნდა — იგი საპასუხო გოლს ითხოვდა.

ბირმინგემელ ფანებს რვა წუთს მოუხდათ ცდა — ტანმორჩილი ჯულიან ჯოაკიმის დარტყმული ბურთი ჯერ მანჩესტერელ მცველს მოხვდა, შემდეგ უაზროდ წინ გასულ და აშკარად ფორმადაკარგულ შმაიხელს გადააფრინდა თავზე და კარში აღმოჩნდა.

გაიხარეს მასპინძლებმა. ისევ გაუფუჭდა ხასიათი ფერგიუსონს და კიდევ უფრო, შეიძლება ითქვას, არაადამიანურად ახმაურდა „ვილა პარკი".

ყოველივე ამას ბირმინგემელთა მორიგი შტურმი მოჰყვა. თავიდან ჯოაკიმმა დაარტყა ზუსტად იმ ადგილიდან, საიდანაც 55-ე წუთზე გოლი გავიდა, თანაც ორჯერ. ალბათ, იფიქრა, ეს შმაიხელი დაბერდა და მოდი, მეორესაც გავუტანო, მაგრამ ჯერ მცირე მანძილით ააცილა, მერე კი მცველს მოარტყა, ოღონდ გოლი აღარ გასულა. მერე ალან ტომპსონის დროც დადგა, რომლის აქტიურობამაც მანჩესტერელები საკუთარ კარს მიაჯაჭვა.

REUTERS ბირმინგემიდან




ასტონ ვილა — მანჩესტერი. ჯულიან ჯოაკიმის ამ დარტყმის შემდეგ „ვილა პარკზე" ანგარიში გათანაბრდა

ეს 25 წლის ნახევარმცველი „ასტონ ვილაში" ივნისში გადავიდა 4,5 მილიონ გირვანქად (7,52 მილიონი დოლარი) „ბოლტონიდან" და იმით გამოირჩევა, რომ ძალიან ძლიერად ურტყამს. სწორედ ეს თვისება გამოავლინა ტომპსონმა მეორე ტაიმის შუაგულში და მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ისეთი ძალით დაჰკრა, ბურთი ბელის ნაცვლად შმაიხელს რომ მოხვედროდა, სიცოცხლეს და, ცხადია, კარიერასაც ბირმინგემში დაასრულებდა.

მერე საუთგეიტის თავური იყო, რომელიც მეტოქის კარის სიახლოვიდან დიონ დაბლინმა (!) გამოიტანა. რატომ, არავინ იცის.

შტურმიც, ფაქტობრივად, ამით დასრულდა, რითაც უმალ ისარგებლეს სტუმრებმა და მწვავედაც შეუტიეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა, გუნდებმა ძმურად გაიყვეს ორივესთვის საჭირო სამი ქულა.

— გაშვებულმა გოლმა ჩვენზე დადებითად იმოქმედა, ბრძოლის ჟინი მოგვემატა და ყველამ ერთად შევუტიეთ. ვფიქრობ, მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ ამაზე საუბარი დაგვიანებულია, მხოლოდ ქულა მოვიპოვეთ. წინ მძიმე მატჩები გველის და ახლა მთელი ყურადღება მათზე უნდა გადავიტანოთ — აღნიშნა შეხვედრის დასრულებისთანავე გოლის ავტორმა ჯოაკიმმა.

„ასტონ ვილას" მართლაც რთული მატჩები აქვს ხვალ „ჩელსისთან" და 12 დეკემბერს ინგლისის ჩემპიონ „არსენალთან", რომელსაც ბოლო ხანებში ვერც თავად გააქვს, არც საკუთარ კარში უშვებს და არის თავისთვის მშვიდად.

„არსენალს" და კიდევ ორ ლონდონურ კლუბს — „ვესტ ჰემსა" და „ჩელსის" ბოლო ტურში „ვესტ ჰემის" 4:0 განადგურების შემდეგ მოულოდნელად „ლიდს იუნაიტედმა" გაუსწრო და ლიდერებს თავწეული მიჰყვება კვალში.

— დიდებულად ვითამაშეთ, გაკვირვებულიც კი ვარ, ისე კარგად, იმედი მაქვს, მომავალშიც ასევე ვიასპარეზებთ და გულშემატკივრებს ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ — სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდა მასპინძელთა თავკაცი დევიდ ო'ლირი.

ახლა „ნიუკასლზეც" ვთქვათ ორიოდ სიტყვა. კლუბზე, რომელიც უკვე ფორმალურად ითვლება თემურ ქეცბაიასა და ალან შირერის გუნდად. ქართველ ფეხბურთელს ადრეც უჭირდა ძირითადში ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ისეთი მაღალი დონის ფორვარდის უთამაშებლობა, როგორიც ინგლისის ნაკრების კაპიტანი ალან შირერია, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. თუმცა შოტლანდიელი დანკონ ფერგიუსონის „ნიუკასლში" გადასვლის შემდეგ „ჯორდები" უკეთ ათამაშდნენ და წინა ტურში შინ „უიმბლდონის" ძლევის მერე კვირას მშვენივრად მოთამაშე ბრაიან რობსონის „მიდლსბროს" დაუზავდნენ „რივერსაიდზე", თანაც ორჯერ აგებდნენ.

ანგარიში ენდი თაუნსენდმა მე-13 წუთზე გახსნა. ტაიმის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ფრანგმა ლორენ შარვემ კი არ დაარტყა, გაისროლა და წონასწორობაც აღდგა. 59-ე წუთზე მასპინძლები კვლავ წინ გაიჭრნენ, მაგრამ ინიციატივა ვერ შეინარჩუნეს და ბერძენ ნიკოს დაბიზასს საბოლოოდ გათანაბრების საშუალება მისცეს.

— ბოლო წუთებზე მცველები ფხიზლად რომ ყოფილიყვნენ, ერთის ნაცვლად სამ ქულას ავიღებდით, ჩვენივე უყურადღებობამ დაგვღუპა. მომავალში ამას აუცილებლად გავითვალისწინებ — აღელვებას ვერ მალავდა „მიდლსბროს" თავკაცი ბრაიან რობსონი.

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა „უაით ჰართ ლეინზე" გაიმართა, სადაც „ტოტენჰემმა" „ლივერპულს" უმასპინძლა, მშვენივრად ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონელთა სათავეში ცნობილი სპეციალისტის ჯორჯ გრემის მისვლის შემდეგ სეზონის დასაწყისში არაფრისმაქნისმა „ტოტენჰემმა" საგრძნობლად გამოასწორა თამაში და დღესდღეობით ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. ჩემპიონობისთვის ბრძოლის დაწყება გრემის გუნდისთვის უკვე დაგვიანებულია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ევროტურნირებზე გამსვლელი ადგილი დაიკავოს. მით უმეტეს, თუ ისე ითამაშებს, როგორც „ლივერპულთან".

მორიგი მატჩი „ჩაგდო" „ჩელსიმ". „არისტოკრატები" „გუდისონ პარკზე" „ევერტონს" ხვდებოდნენ და მასპინძლებს ვერაფერი დააკლეს. შეხვედრაში გოლი არ გასულა, თუმცა მატჩი ერთთავად მოექცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობისა და ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში. საქმე ის არის, რომ მსაჯმა 7-ჯერ გამოიყენა ყვითელი ბარათი და ორ ფეხბურთელს დროზე ადრე დაატოვებინა მოედანი. მათ შორის ერთს, ლონდონელ დენის უაიზს წინა დისკვალიფიკაციის ვადა სულ ახალი გასული ჰქონდა.

დაბოლოს — ბრაიან კიდმა „ბლექბერნში" მისვლა გამარჯვებით აღნიშნა. „მარჯვენა ხელის" ხელი გუნდს აშკარად დაეტყო და სამარცხვინო ბოლო ადგილსაც ორი საფეხურით დაშორდა.

**დავით კოპზირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 15 | 8 | 6 | 1 | 23:13 | +10 | 30 | 8 | 5 | 2 | 1 | 14:9 | +5 | 17 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | +5 | 13 |
| 2 | მანჩესტერი | 15 | 8 | 5 | 2 | 31:17 | +14 | 29 | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 20 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | +1 | 9 |
| 3 | ლიდსი | 16 | 6 | 8 | 2 | 26:14 | +12 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 14:3 | +11 | 17 | 8 | 1 | 6 | 1 | 12:11 | +1 | 9 |
| 4 | არსენალი | 16 | 6 | 8 | 2 | 15:7 | +8 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 11:3 | +8 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 4:4 | 0 | 10 |
| 5 | ვესტ ჰემი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:20 | 0 | 26 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:9 | +3 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 11 |
| 6 | ჩელსი | 14 | 6 | 7 | 1 | 22:13 | +9 | 25 | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | +7 | 15 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:9 | +2 | 10 |
| 7 | მიდლსბრო | 16 | 5 | 9 | 2 | 26:19 | +7 | 24 | 8 | 3 | 5 | 0 | 14:7 | +7 | 14 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 0 | 10 |
| 8 | უიმბლდონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21:26 | -5 | 23 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | +4 | 15 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:17 | -9 | 8 |
| 9 | ლივერპული | 16 | 6 | 4 | 6 | 27:21 | +6 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:11 | +1 | 10 |
| 10 | დერბი | 16 | 5 | 7 | 4 | 15:14 | +1 | 22 | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | +1 | 12 |
| 11 | ტოტენჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:24 | -3 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:13 | 0 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 8 |
| 12 | ლესტერი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:18 | 0 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | +3 | 14 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 13 | ნიუკასლი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:21 | 0 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | +3 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:11 | -3 | 6 |
| 14 | შეფილდი | 16 | 5 | 4 | 7 | 17:17 | 0 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | +5 | 14 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | -5 | 5 |
| 15 | ევერტონი | 16 | 4 | 7 | 5 | 10:15 | -5 | 19 | 8 | 1 | 5 | 2 | 2:5 | -3 | 8 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 8 |
| 16 | ჩარლტონი | 16 | 3 | 7 | 6 | 22:24 | -2 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 9 | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 7 |
| 17 | ქოვენთრი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:23 | -9 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 11 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:13 | -8 | 4 |
| 18 | ბლექბერნი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:24 | -9 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 0 | 7 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:14 | -9 | 2 |
| 19 | ნოტინგემი | 16 | 2 | 5 | 9 | 14:27 | -13 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:18 | -10 | 4 |
| 20 | საუთჰემპტონი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:33 | -21 | 10 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 5 | 8 | 1 | 2 | 5 | 3:16 | -13 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 10 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 8 |

XVII ტური

12 დეკემბერი

ასტონ ვილა - არსენალი
ბლექბერნი - ნიუკასლი
დერბი - ჩელსი
ევერტონი - საუთჰემპტონი
ლესტერი - ნოტინგემი
მიდლსბრო - ვესტ ჰემი
შეფილდი - ჩარლტონი
ტოტენჰემი - მანჩესტერი

13 დეკემბერი

უიმბლდონი - ლივერპული

14 დეკემბერი

ლიდსი - ქოვენთრი

## პირველი დივიზიონი

XXII ტური

**ბრისტოლი 2:0 შეფილდი**

1:0 ბელი (33 პ), 2:0 აკინბიიი (64)

**ბერი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ჯონროუზი (9), 2:0 ჯაფო (28პ)

**ჰადერსფილდი 4:0 კრ. პალასი**

1:0, 2:0, 3:0 სტიუარტი (15, 24, 82), 4:0 ფეისი (90)

**იფსვიჩი 1:0 ბირმინგემი**

1:0 პეტა (16)

**ოქსფორდი 0:1 ბრედფორდი**

0:1 მილსი (22)

**პორტსმუთი 2:0 კრიუ**

1:0 მაკლაფლინი (72), 2:0 კლარიჯი (89)

**ქუინზ პარკი 3:2 პორტ ვეილი**

0:1 ფოილი (31), 1:1 მედიქსი (47), 2:1 ტალბოტი (57ს.კ.), 2:2 ბარკერი (78), 3:2 შერონი (88)

**სანდერლენდი 1:0 სტოკპორტი**

1:0 სამერბი (30)

**სვინდონი 1:1 ნორვიჩი**

0:1 რობერტსი (17), 1:1 უოლტერსი (41)

**ტრანმერი 1:2 გრიმსბი**

1:0 ჰილი (18), 1:1 გროუვზი (23პ), 1:2 ეშკროფტი (46)

**უოტფორდი 0:0 ბარნსლი**

**ვულვზი 1:1 ბოლტონი**

0:1 ტეილორი (58), 1:1 ემბლენი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 21 | 13 | 7 | 1 | 49:15 | 46 |
| იფსვიჩი | 22 | 12 | 6 | 4 | 31:12 | 42 |
| უოტფორდი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:31 | 37 |
| ნორვიჩი | 21 | 10 | 6 | 5 | 35:27 | 36 |
| ბოლტონი | 21 | 9 | 8 | 4 | 40:30 | 35 |
| ჰადერსფილდი | 22 | 10 | 5 | 7 | 33:36 | 35 |
| ბირმინგემი | 22 | 10 | 5 | 7 | 30:23 | 35 |
| ბრედფორდი | 21 | 10 | 4 | 7 | 36:25 | 34 |
| შეფილდი | 22 | 9 | 6 | 7 | 33:35 | 33 |
| ვულვზი | 22 | 9 | 6 | 7 | 31:22 | 33 |
| გრიმსბი | 22 | 9 | 5 | 8 | 27:26 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 9 | 3 | 9 | 39:37 | 30 |
| ბარნსლი | 22 | 6 | 9 | 7 | 32:30 | 27 |
| კრ. პალასი | 19 | 8 | 3 | 8 | 30:34 | 27 |
| ბერი | 22 | 7 | 6 | 9 | 17:24 | 27 |
| სტოკპორტი | 22 | 5 | 11 | 6 | 26:27 | 26 |
| ქუინზ პარკი | 22 | 7 | 4 | 11 | 25:32 | 25 |
| პორტსმუთი | 22 | 6 | 6 | 10 | 31:35 | 24 |
| სვინდონი | 22 | 6 | 6 | 10 | 30:35 | 24 |
| ოქსფორდი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:36 | 23 |
| ტრანმერი | 21 | 4 | 10 | 7 | 27:33 | 22 |
| პორტ ვეილი | 22 | 6 | 4 | 12 | 26:43 | 22 |
| ბრისტოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 32:49 | 19 |
| კრიუ | 21 | 2 | 5 | 14 | 21:46 | 11 |

# კვირის მოლოდინში

## გერმანია

### XVI ტური

**ბოხუმი 2:2 ბაიერნი**

1:0 ჰოფმანი (3), 1:1 იანკერი (45), 2:1 კუნცი (87პ), 2:2 შტრუნცი (88პ)
ბასლერმა ვერ გამოიყენა პენალტი (39)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, კუნცი, სუნდერმანი, ჩოპე, შრაიბერი (ბემბენი 78), შინდცილორცი, რაისი, იონი (ბასტურკი 63), ნ. ჰოფმანი (ტოპლაკი 63), დრინჩიჩი, ბუკლი
ბაიერნი: კანი, კუფური (შტრუნცი 46), ჰელმერი, ბაბელი, მათეუსი (ლინკე 79), ლისარასუ, ფინკი (სალიჰამიჯიჩი 46), იერემისი, ბასლერი, იანკერი, ელბერი
გაფრთხილება: ბაბელი, ჰელმერი, მათეუსი
მსაჯი: ჰაინემანი

**ლევერკუზენი 3:0 ვოლფსბურგი**

1:0, 2:0 კირსტენი (21, 26), 3:0 ზე რობერტო (57)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რეები, ჰაინცე (ნ. კოვაჩი 82), რამელო, ემერსონი (ლენჰოფი 86), ზე რობერტო, კირსტენი (რაიხენბერგერი 89), მეიერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ტომსენი, ონილი, დამაიერი, ნოვაკი, გრაინერი, კაპეტანოვიჩი (შტამანი 61), აკონორი (რეინა 86), პრეგერი (ბაუმგარტი 61), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: აკონორი, დამაიერი, ონილი
მსაჯი: შტარკი

**მიუნხენი 2:0 დორტმუნდი**

1:0, 2:0 შროტი (34, 82)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, კურცი, ვანენბურგი, გრაილიხი (სტევიჩი 62), ზელიჩი, მალცი, ჩერნი (ბორიმიროვი 62), ჰელდტი, ოუაკილი (ჯორჯესი 85), ვინკლერი, შროტი
დორტმუნდი: კლოსი, ჟულიო სეზარი, ნიევესი, კოლერი, რიიტერი, ჰესლერი (რიკენი 46), ფრეინდი (ბარბარესი 76), დედე, მიოლერი, სალუ (ჰერლიხი 46), შაპუიზა
გაფრთხილება: ვინკლერი, ფროინდი
მსაჯი: კემლინგი

**შტუტგარტი 3:1 ჰამბურგი**

0:1 ვერლაატი (37ს.კ.), 1:1, 2:1, 3:1 აკპობორი (43, 46, 51)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ბერთოლდი, ვერლაატი, კელერი, სოლდო, ენდრესი (პოშნერი 46), ტიამი, კარნელი, ბობიჩი (რისტიჩი 46, ლისტეში 78), ცაიერი, აკპობორი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერტჩი, გროთი, იეპსენი (ფ. ერნსტი 53), კირიაკოვი (დემბინსკი 53), გრავესენი, ჰოლერბახი, იებოა, დალინი
გაფრთხილება: კელერი, ფ. ერნსტი
მსაჯი: შტაინბორნი

**აინტრახტი 1:2 შალკე**

0:1 ვან ჰოგდალემი (21), 0:2 კმეჩი (38), 1:2 ფიორტოფტი (80)
აინტრახტი: ნიკოლოვი, კუჩერა, ბინდევალდი, ხუბჩევი, პედერსენი (ვესტერტალერი 56), შური, ცანპახი (პისონტი 56), გებჰარდტი (ნვოსუ 74), ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ფიორტოფტი
შალკე: რეკი, ვან ჰოგდალემი, ა.მიულერი, კმეჩი, აიგენრაუხი, გუსენსი (ლატალი 59), ვან კერკჰოვენი, ნემეცი (ტაპალოვიჩი 85), მულდერი, მაქსი, აიკელკამპი (ვილმოტსი 77)
გაფრთხილება: შნაიდერი, შური, კმეჩი, ნემეცი
მსაჯი: დარდენე

**ნიურნბერგი 2:2 ჰანზა**

1:0, 2:0 ჩირიჩი (21, 42), 2:1 რამდანე (44), 2:2 აგალი (86)
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი (ვაიგლი 78), ნიკლი, გრასერი, რამერი, ვისინგერი, შტორცენჰოფეკერი, ოეხლერი (გერბერი 71), პოლუნინი, ჩირიჩი, კურტი (დრილერი 56)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, ლანგე, ვიბრანი, მაიაკი (დოვე 46), იასერი, რამდანე (აგალი 78), ბრაიტკროიცი (ფუქსი 71), ნოივილი
გაფრთხილება: გრასერი, ბრაიტკროიცი, რამდანე, ვაილანდტი, ცალმანი
მსაჯი: მერკი



აინტრახტი — შალკე. მარკო ვან ჰოგდალემმა (№12) 21-ე წუთზე „შალკე" დააწინაურა

REUTERS ფრანკფურტიდან

ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტური უჩვეულოდ გაიწელა. პარასკევს, 4 დეკემბერს დაწყებული, თექვსმეტ დეკემბერს „დუისბურგი" — „კაიზერსლაუტერნის" მატჩით დასრულდება. ერთი შეხვედრა — „მიონხენგლადბახი" — „ვერდერი" შაბათიდან ღლეისთვის გადმოიტანეს, ხოლო „ჰერტა" — „ფრაიბურგი" სავარაუდოდ 15 დეკემბერს გაიმართება. ამის მიზეზი დიდთოვლობა გახლავთ.

ჩატარებულ ექვს მატჩში კი ბევრი რამ მოხდა საინტერესო და მნიშვნელოვანი. შაბათს ბუნდესლიგაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. „ლევერკუზენსა" და „ბაიერნს" 35-35 ქულა დაუგროვდათ, ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით კი პირველ ადგილზე ლევერკუზენელებმა გადაინაცვლეს. „ბაიერნს" მიმდინარე სეზონში პირველად მოუხდა ცხრილის მწვერვალიდან ჩამოსვლა, თუმცა გლადბახელებთან გამოტოვებული მატჩი აქვთ თადარიგში.

მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგის წინ შინაურ ასპარეზზე ქულების დაკარგვა ტრადიციად იქციეს. წინა ორი შემთხვევისგან განსხვავებით, „ბაიერნს" ამჯერად არ წაუგია, თუმცა ცხრილის მეორე ნაწილში მყოფ „ბოხუმთან" ერთი ქულით დაკმაყოფილება უფრო ძვირად, პირველი ადგილის დათმობად დაუჯდა. იოლი შესაძლებელი იყო, ბოხუმიდან ბავარიელები სულაც ხელცარიელნი გამოესტუმრებინათ, მაგრამ „ბაიერნი" მსაჯმა არ გაწირა, კუნცის მიერ 88-ე წუთზე ხელით თამაში წინასწარგანზრახულად ჩათვალა და შტრუნცმაც პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 2:2. მანამდე კი...

მანამდე „ბოხუმი" ორჯერ დაწინაურდა. ფეხბურთელებს ოფლი ჯერაც არ მოედინათ, ანგარიში რომ გაიხსნა. მე-3 წუთზე ჰოფმანმა გაიტანა. დებიუტშივე გაშვებულმა გოლმა „ბაიერნი" დააბნია და კინალამ მეორე ბურთიც გაუშვეს — დრინჩიჩის დარტყმული მცირედით ასცდა სტუმართა კარს. ამის შემდეგ „ბაიერნმა" შეუტია, მაგრამ 33 ათასი ქომაგი 39-ე წუთამდე არ აღელვებულა. ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ჩოპემ, რომელიც იმ დღეს ბუნდესლიგაში მეორე მატჩს ატარებდა, საჯარიმოში იანკერი წააქცია. თანაგუნდელის შეცდომა შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა თომას ერნსტმა გამოასწორა — ბასლერის დარტყმული პენალტი მოიგერია. ხუთიოდე წუთში „ბაიერნმა" მაინც გაიტანა. იანკერმა ულამაზესი დარტყმით ამ სეზონში თავისი მეხუთე ბურთი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმი მიუნხენელთა უპირატესობით წარიმართა. იანკერს და ელბერს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, ერნსტმა შეუშალა ხელი.

გულხელდაკრეფილნი არც მასპინძლები ყოფილან. ბუკლსა და შეცვლაზე შესულ ტოპლაკსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ბოხუმელი კოლეგის მსგავსად კანიც შეუვალი იყო. 87-ე წუთზე კი ისიც ვერას გახდა. დრინჩიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კუნცმა გამოიყენა — 2:1. შემდეგ კი ის ეპიზოდი იყო, ზემოთ რომ აღვწერეთ და შეხვედრაც ფრედ დასრულდა.

— დებიუტშივე გაშვებულმა გოლმა გუნდზე იმოქმედა. მეორე ტაიმში თამაში შედარებით გამოვასწორეთ, მომენტებიც შევქმენით, თუმც მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ. სამწუხაროა, რომ „ლევერკუზენს" დაწევის შანსი მივეცით. ხვალ ალბათ ისარგებლებენ ამით, მაგრამ ჩვენ გამოტოვებული მატჩის მოგებას შევეცდებით — განაცხადა „ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიტცფელდმა პარასკევს გამართული თამაშის შემდეგ.

— დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ და სამი ქულა დავიმსახურეთ. ახლა „ბაიერნს" გავუტოლდით და ჩემპიონობისთვის დიდ ბრძოლასაც გავუმართავთ. ამისთვის მზად ვართ და მომავალ ტურშივე დავამტკიცებთ — ეს სიტყვები კი „ლევერკუზენის" მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა წარმოთქვა „ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ. მომავალ ტურში დაუმის შეგირდებს მართლაც ბევრის დამტკიცება მოუწევთ. 13 დეკემბერს „ოლიმპიაშტადიონზე" მათ თვით „ბაიერნი" ელის და ბევრი რამ სწორედ მაშინ გადაწყდება. კვირის მატჩი დიდ ინტერესს იწვევს. გულშემატკივრები თუ სპეციალისტები მისი მოლოდინით ცხოვრობენ.

მანამდე კი ლევერკუზენელებს „ვოლფსბურგი" ეწვია, გუნდი, რომელსაც ბოლო ცხრა თამაშიდან ექვსი მოგება და სამი ფრე ჰქონდა. სხვა დროს ვოლფსბურგელებს თავიანთი წაუგებელი სერია შეიძლება გაეგრძელებინათ კიდეც, მაგრამ ახლა ისინი წინასწარვე იყვნენ განწირულნი. მათ იქ ჩასვლა მშიერი მგლის ხახაში თავის შეყოფას ჰგავდა. „ლევერკუზენი" პირველობის შანსს არ გაუშვებდა და ასეც მოხდა. ტაიმის შუაგულში მასპინძლები უკვე 2:0-ს იგებდნენ. ორივე გოლი ნაკრების წევრმა ულფ კირსტენმა გაიტანა. სტუმართა განადგურებას წერტილი კი ბრაზილიელმა ზე რობერტომ დაუსვა.



მიუნხენი — დორტმუნდი. ჰარალდ ჩერნის „მიუნხენს" მეცხრე გამარჯვებაში თოვლმაც ვერ შეუშალა ხელი

REUTERS მიუნხენიდან

შტუტგარტელმა ქომაგებმა წადილი აისრულეს. პარასკევს ვინფრიდ შეფერი გუნდიდან გაუშვეს. შეფერის გაგდებამ გაამართლა. მეორე დღეს „შტუტგარტმა" „ჰამბურგი" 3:1 დაამარცხა. თუმცა თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. ჰოლერბახის დარტყმული ვერლაატმა საკუთარ კარში ჩაჭრა. მერე კი დაიწყო... ნიგერიელმა ჯონათან აკპობორიმ 43-დან 52-ე წუთამდე სამი გოლი გაიტანა და „შტუტგარტს" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეაწყვეტინა.

წინა ტურში „ვერდერთან" 1:4 განადგურების შემდეგ „მიუნხენმა" გაიმარჯვა. ვერნერ ლორანტის შეგირდებმა შინ ბოლო დროს ალმავლობის გზაზე მყოფ დორტმუნდის „ბორუსიას" მოუგეს. მატჩის გმირი მარკუს შროტი გახდა. 34-ე წუთზე ოუაკილის დარტყმა კლოსმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან პირველი შროტი გაჩნდა და აუღელვებლად შეაგორა კარში. მანვე, 83-ე წუთზე ძლიერი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა და დორტმუნდელთა იმედიც დაასამარა.

თამაშის შემდეგ ვერნერ ლორანტი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა: „ძალიან კმაყოფილი ვარ მთელი გუნდით. ასე კარგად არასდროს გვითამაშია. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შროტი დიდებული ფეხბურთელია. იგი კიდევ ბევრს მიაღწევს." მიხაელ სკიბე, სტუმართა დამრიგებელი კი ნაღვლიანი გახლდათ: „მეტოქემ არანაირი შანსი არ მოგვცა. დაიწყო თუ არა მატჩი, მივხვდი, რომ გოლი დროის ამბავი გახლდათ. ვულოცავ მათ დამსახურებულ გამარჯვებას."

„მიუნხენის" ფეხბურთელებს კარგი თამაში პრეზიდენტმა კარლ ჰაინც ვილდმოზერმაც დაუფასა. საშობაო არდადეგებისთვის მთელი გუნდი 500 000 მარკას მიიღებს პრემიად.

მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა სტუმრად გელზერკირხენის „შალკემ" ფრანკფურტში „აინტრახტთან" — 2:1. პირველი ტაიმი სტუმრებმა 2:0 მოიგეს და მატჩი, ალბათ, ასეც დასრულდებოდა, მეკარე ოლივერ რეკს უხეში შეცდომა რომ არ დაეშვა. აღებული ბურთი ხელიდან გაუვარდა და ფიორტოფტმაც ძლევენი შეირგო.

**ვანო ოქროპირძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 16 | 10 | 5 | 1 | 39:15 | +24 | 35 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | +11 | 18 | 7 | 5 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 17 |
| 2 | ბაიერნი | 15 | 11 | 2 | 2 | 36:13 | +23 | 35 | 8 | 7 | 1 | 0 | 27:8 | +19 | 22 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | +4 | 13 |
| 3 | მიუნხენ 1860 | 16 | 9 | 3 | 4 | 29:21 | +8 | 30 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:8 | +6 | 16 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:13 | +2 | 14 |
| 4 | ლაუტერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 25:23 | +2 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:11 | +7 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:12 | -5 | 11 |
| 5 | დორტმუნდი | 16 | 7 | 4 | 5 | 24:17 | +7 | 25 | 8 | 7 | 0 | 1 | 17:4 | +13 | 21 | 8 | 0 | 4 | 4 | 7:13 | -6 | 4 |
| 6 | ვოლფსბურგი | 16 | 6 | 6 | 4 | 30:23 | +7 | 24 | 7 | 4 | 2 | 2 | 18:9 | +9 | 14 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:14 | -2 | 10 |
| 7 | ჰერტა | 15 | 7 | 2 | 6 | 20:17 | +3 | 23 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | +11 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 5 |
| 8 | ჰამბურგი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:19 | +2 | 21 | 7 | 4 | 3 | 1 | 13:6 | +7 | 15 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 6 |
| 9 | შტუტგარტი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:20 | +1 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:8 | +7 | 14 | 7 | 1 | 3 | 4 | 6:12 | -6 | 6 |
| 10 | ფრაიბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:21 | -2 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:10 | -2 | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 11 | ბოხუმი | 16 | 5 | 3 | 8 | 21:29 | -8 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 | შალკე 04 | 16 | 4 | 5 | 7 | 17:27 | -10 | 17 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 8 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:18 | -9 | 9 |
| 13 | ვერდერი | 15 | 4 | 4 | 7 | 22:22 | 0 | 16 | 8 | 1 | 3 | 4 | 12:13 | -3 | 6 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | +1 | 10 |
| 14 | აინტრახტი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:27 | -7 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 15 | დუისბურგი | 15 | 3 | 6 | 6 | 15:24 | -9 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:19 | -14 | 2 |
| 16 | ნიურნბერგი | 16 | 2 | 9 | 5 | 20:30 | -10 | 15 | 8 | 0 | 7 | 1 | 10:14 | -4 | 7 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:16 | -6 | 8 |
| 17 | ჰანზა | 16 | 2 | 6 | 8 | 22:33 | -11 | 12 | 8 | 2 | 4 | 2 | 14:13 | +1 | 10 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:20 | -12 | 2 |
| 18 | გლადბახი | 14 | 2 | 3 | 9 | 19:39 | -20 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | -4 | 7 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:24 | -16 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 9 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 9 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 9 |

### XVII ტური

11 დეკემბერი
დორტმუნდი - გლადბახი
ჰამბურგი - ჰერტა
12 დეკემბერი
ვოლფსბურგი - დუისბურგი
შალკე - მიუნხენი
ვერდერი - შტუტგარტი
ფრაიბურგი - ნიურნბერგი
ლაუტერნი - აინტრახტი
ჰანზა - ბოხუმი
13 დეკემბერი
ბაიერნი - ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

### XVII ტური

**კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 მოლატა (54)

**ფორტუნა 3:2 გიუტერსლო**

1:0 კრანცი (18), 2:0 ბრდარიჩი (34), 2:1 შტენდელი (50), 3:1 იოუნგა (72), 3:2 შარპენბერგი (73)

**ურდინგენი 0:0 კოტბუსი**

**დიუსელდორფი 2:2 ობერჰაუზენი**

0:1 პრიოპერი (19), 1:1 დ. ადო (23), 2:1 ლესნიაკი (51), 2:2 ტობორგი (90)

**ბერლინი 3:0 მაინცი**

1:0 მიჩევსკი (4), 2:0 ლუინსმანი (59), 3:0 არაჩიჩი (84)

**ვატენშაიდი 0:3 ჰანოვერი**

0:1 კობულანსკი (11), 0:2 კროიცი (19), 0:3 ო. ადო (21)

**ფიურტი 2:0 ულმი**

1:0, 2:0 ვან ლენტი (80, 82პ)

**არმინია 0:0 კიოლნი**

**კიკერსი — ზანქტ პაული**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 17 | 9 | 7 | 1 | 37:22 | 34 |
| უნტერჰახინგი | 17 | 10 | 3 | 4 | 23:12 | 33 |
| არმინია | 17 | 10 | 3 | 4 | 27:18 | 33 |
| ბერლინი | 17 | 10 | 2 | 5 | 28:20 | 32 |
| ფიურტი | 17 | 9 | 4 | 4 | 22:14 | 31 |
| კარლსრუე | 17 | 9 | 1 | 7 | 29:24 | 28 |
| ფორტუნა | 17 | 8 | 4 | 5 | 28:23 | 28 |
| მაინცი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:25 | 23 |
| კიოლნი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:27 | 23 |
| კიკერსი | 16 | 7 | 2 | 7 | 16:22 | 23 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 3 | 7 | 22:20 | 21 |
| ობერჰაუზენი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:24 | 19 |
| კოტბუსი | 17 | 3 | 7 | 7 | 17:21 | 16 |
| დიუსელდორფი | 17 | 3 | 7 | 7 | 21:26 | 16 |
| ზტ. პაული | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | 16 |
| ვატენშაიდი | 17 | 2 | 7 | 8 | 10:18 | 13 |
| გიუტერსლო | 17 | 3 | 4 | 10 | 22:33 | 13 |
| ურდინგენი | 16 | 2 | 5 | 9 | 16:26 | 11 |

## იტალია

XII ტური

### კალიარი 0:1 ვენეცია

0:1 ძანონჩელი (66ს.კ.)
კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონჩელი, ძებინა, კავეცი (ბერეტა 54), ვაზარი (მაცეო 79), ონილი, დე პატრე, მაკელარი, კალონი (მბომა 59), მუცი
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, ლუპი, ბილიკა, ბალარინი, დე ფრანჩესკი (ძირონელი 76), ვოლპი, მიკელი, პედონე, ტუტა (შვოკი 54), ვალტოლინა (ზეგბო 91)
გაფრთხილება: მაკელარი, ვილა, ლუპი, ონილი, ვოლპი, ბილიკა
გაძევება: მუცი (85)
მსაჯი: დე სანტისი

### ფიორენტინა 1:0 ბოლონია

1:0 ბატისტუტა (56)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, ამორი, რუი კოშტა (რობიატი 54), ოლივეირა (ბიჯიკა 79), ედმუნდო, ბატისტუტა
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (კოლივანოვი 72), ინგესონი, მაინი (მაროკი 72), ფონტოლანი (ერიბერტო 79), ანდერსონი, სინიორი
გაფრთხილება: რეპკა, მანგონე, ბიჯიკა, ტორიჩელი, პარამატი
მსაჯი: ბრასკი

### იუვენტუსი 0:1 ლაციო

0:1 სალასი (81)
იუვენტუსი: დე სანქტისი, ბირინდელი, ფერარა (იულიანო 46), მონტერო, პესოტო, ბლანშარი (ამორუზო 61), კონტე, დეშამი, დი ლივიო, ინძაგი (ფონსეკა 75), ზიდანი
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, კონსეისაო, ალმეიდა, სტანკოვიჩი (ვენტურინი 93), ნედვედი (გოტარდი 69), სალასი, მანჩინი (დე ლა პენია 66)
გაფრთხილება: ფერარა, ზიდანი, ფავალი
მსაჯი: ბორიელო

# ერიქსონს სცოდნია

### მილანი 3:0 უდინეზე

1:0 ვეა (22), 2:0 ლეონარდო (37), 3:0 ბირჰოფი (61)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა (ციგე 87), ნგოტი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, მალდინი, ლეონარდო (მორფეო 81), ბირჰოფი, ვეა
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ნავასი (ჟენო 75), აპია, ჯანიკედა, ვალემი, ბაკინი, პოჯი (იორგენსენი 46), ამოროზო
გაფრთხილება: ჰელვეგი, ჯანიკედა, ამბროზინი
მსაჯი: კოლინა

### პიაჩენცა 0:0 ემპოლი

პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ბუზო, საკეტი, კრისტალინი, პიოვანი, რიციტელი (დიონიჯი 70), რასტელი
ემპოლი: სერენი, კუპი, ბალდინი, ბიანკონი, ლუჩენტი, კრიბარი, პანე, მორონე, მარტუშელო (ბონომი 61), დი ნაპოლი (კიაპარა 73), კარპარელი (ზალაიეტი 64)
გაფრთხილება: პანე, ლუჩენტი, პოლონია, რასტელი, დი ნაპოლი
მსაჯი: ჩეზარი

### რომა 5:1 პერუჯა

0:1 რაპაიჩი (32), 1:1 ტოტი (61), 2:1 კონტი (63), 3:1, 4:1 დელვეკიო (77, 79), 5:1 გაუტიერი (92)
რომა: კიმენტი, კანდელა, ალდაირი, ძაგო, დალ მორო, ალეინიჩევი, კონტი, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო (დი ბიაჯო 78), დელვეკიო (გაუტიერი 82), ტოტი
პერუჯა: როკატი, სოლანო (ბუკი 70), მატრეკანო, რივასი, კოლონელო, ზე მარია, ოლივე, ტედესკო, ნაკატა, რაპაიჩი, მელი (რიპა 48)
გაფრთხილება: ალეინიჩევი, როკატი, რაპაიჩი
გაძევება: მატრეკანო (43), კონტი (74)
მსაჯი: ბეტინი

### ვიჩენცა 1:1 ინტერი

1:0 ლუიზო (21პ), 1:1 სილვესტრი (92)
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, სტოვინი, დიჩარა, ბეგეტო, სკენარდი, დი კარლო (პალადინი 83), მენდესი, ამბროზეტი (მეცანოტი 82), ძაული (მელოზი 75), ლუიზო
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, გალანტე (პირლო 72), კოე (რონალდო 66), ვინტერი, სიმეონე, ვესტი (სილვესტრი 51), ძანეტი, ჯორკაეფი, სამორანო
გაფრთხილება: პალიუკა, ამბროზეტი, მენდესი, დილიზო, კოლონეზე
გაძევება: დილიზო (65), სამორანო (68), სკენარდი (93)

### სალერნიტანა 2:2 ბარი

1:0 ვანუკი (12), 1:1 ოსმანოვსკი (42), 2:1 ბოლიჩი (64), 2:2 კნუდსენი (92)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ტოსტო (ბოლიჩი 60), ბრედა, ფუსკო, ფრეზი, გატუზო, ვანუკი, ბერნარდინი (დი ვაიო 59), დი მიკელე (ამეტრანო 80), კიანეზე
ბარი: მანჩინი, დე როზა (ოლივარესი 77), გარსია, ნექროიზი, დე აშენტისი, ძამბროტა, ანდერსონი, ბრესანი (მადსენი 84), ინოჩენტი, მასინგა, ოსმანოვსკი (კნუდსენი 75)
გაფრთხილება: ოსმანოვსკი, დე როზა, გარსია, ბრედა
მსაჯი: ტრენტალანჯი

### სამპდორია 0:2 პარმა

0:1, 0:2 კიეზა (44, 46)
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, გრანდონი, ლასისი, კასტელინი (იაკოპინო 47), კატე, პეკია, ვერგასოლა (ალო 85), ლაილი, ორტეგა, პალმიერი (სგრო 85)
პარმა: ბუფონი, სენსინი, ტურამი, კანავარო, ვანოლი, ფუზერი, დ. ბაჯო (მუსი 80), ვერონი (ფიორე 78), ბოგოსიანი, კრესპო, კიეზა
გაფრთხილება: სენსინი, ვანოლი, ვერონი, პეკია
მსაჯი: ტრეოსი

„ფიორენტინამ“ „ბოლონიას“ მოუგო და ცხრილის სათავეში დარჩა. „ბოლონიას“ დამარცხება იოლი საქმე რომ არ იქნებოდა ეს ფლორენციელთა მწვრთნელისთვის, ჯოვანი ტრაპატონისთვის, ბუნებრივია, იმთავითვე ცნობილი იყო. მას მეტოქის თამაშის ანალიზიც კი არ დაჭირდებოდა, რამეთუ ფაქტი, რომ ბოლონიელებს აქამდე, 16 შეხვედრაში არ წაეგოთ, მეტისმეტად მეტყველი გახლდათ.

მართლაც, სტუმრებმა „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე ფრიად ორგანიზებულად დაიცვეს თავი. შესვენებამდე „ფიორენტინამ“ ყველა ხერხს მიმართა მეტოქის კარის დასალაშქრავად, მაგრამ ვერაფერს გახდა. მეტიც, მეორე ტაიმის დასაწყისში „ბოლონიას“ ვარსკვლავმა, „სამპდორიადან“ გადასულმა ჯუზეპე სინიორიმ მასპინძელთა მეკარეს, ფრანჩესკო ტოლდოს ისე დაურტყა, რომ გოლკიპერს ბურთის მოსაგერიებლად უსხარტესი თამაში მოუხდა.

თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი ტრაპატონის გუნდის სასიკეთოდ დამთავრდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი სერია A-ს ბომბარდირთა ლიდერმა, არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ შეაგდო. სეზონში თავისი მეთორმეტე შედეგიანი დარტყმა ბატისტუტამ ჯარიმიდან შეასრულა. საჯარიმოს კიდიდან მან მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლის კარის მარცხენა კუთხეში დაუმიზნა ბურთი.

ანგარიშის გათანაბრება „ბოლონიას“ 79-ე წუთზე შეეძლო. შვედი კენეტ ანდერსონის ლამაზ ეპიზოდს, მისთვის სამწუხაროდ, ტაბლოზე არაფერი შეუცვლია. „ფიორენტინამ“ მერვე გამარჯვება მიითვალა.

„რომამ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ პერუჯელებს უმასპინძლა, ჯერ გაუშვა, მერე კი ხუთი გოლით გასცა სტუმარს პასუხი.

მასპინძელთა კარი 22-ე წუთზე მილან რაპაიჩმა დალაშქრა. იგი რომაელთა მცველებს დაუსხლტა და ანტონიო კიმენტისთვის აუღებლად დაარტყა.

შემდეგ, პირველი ტაიმის მიწურულს, „პერუჯას“ ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა სალვატორე მატრეკანომ დაუშვა მოუტევებელი შეცდომა. მან „რომას“ ბრაზილიელი ფეხბურთელი პაულუ სერჟიო უხეშად დაანარცხა მიწას, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს და მასპინძლებსაც ხელფეხი გაეხსნათ.

მეორე ტაიმში, იტალიის ნაკრების ახალმა წევრმა, რომაელმა. თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, მისმა თანაგუნდელმა დანიელე კონტიმ კი, სულ მალე, დმიტრი ალენიჩევის პასით მეორე გოლი გაუტანა მომხდურთ. მერე მარკო დელვეკიომ სამ წუთში ორჯერ დაარტყა ზუსტად, მსაჯის დამატებულ დროში კი მცველმა კარმინე გაუტიერიმ მეხუთეც შეაგდო.

ხსენებული დანიელე კონტისთვის „პერუჯას“ კარში გატანილი გოლი პირველი გახლდათ სერია A-ში, თუმცა მოგვიანებით 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, ბრუნო კონტის ვაჟი მეტისმეტი „თავდადებისთვის“ მეორე ყვითელი ბარათით დაისაჯა და მოედანი დასტოვა.

„იუვენტუსს“ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, „რუსენბორგთან“ ელის თამაში, თუმცა ტურინელები ალმაფრენით ნამდვილად ვერ დაელოდებიან ნორვეგიელ მეტოქეს. „ბებერმა ქალბატონმა“ „დელე ალპიზე“ დედაქალაქის „ლაციოს“ უმასპინძლა და გუნება გაიფუჭა (გაუფუჭეს), 0:1 წააგო. მაშ ასე, „იუვეს“ 1 ნოემბრის მერე გამარჯვება აღარ უგემია. მარჩელო ლიპის ხელში გუნდს ასეთი საშინელი პერიოდი არ ჰქონია.

„ლაციომ“ „ბებერი ქალბატონი“ აგვისტოშიც დაამარცხა, მაშინაც ტურინში შეხვდნენ გუნდები ერთმანეთს. ის შეხვედრა იტალიის სუპერთასისა გახლდათ. მაშინ სტუმრებმა ორჯერ გაიტანეს, მასპინძლებმა ერთხელ.

ეს, ამ სეზონში, თორემ წინაში და (ისიც 98 წელს იყო), იტალიის თასის ნახევარფინალშიც იგივე მოხდა: „დელე ალპიზე“ „ლაციომ“ „იუვენტუსს“ მოუგო.

სცოდნია რომაელთა შვედ თავკაცს, სვენ გორან ერიკსონს ტურინის გუნდის ძლევის საიდუმლო და ეგ არის.

„იუვეს“ კარში მესამე მეკარე, მორგან დე სანქტისი იდგა. თამაშის დამთავრებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე დე სანქტისმა ვერაფერი გააწყო, როდესაც „ლაციოს“ პორტუგალიელმა ნახევარმცველმა სერჟიო კონსეისაომ ჯარიმიდან ბურთი ჩილელ თანაგუნდელს, მარსელო სალასს გადაუგდო, ხოლო სალასმა იგი მკერდით დაიგდო და ძლიერად დაარტყა.

„ინტერმა“ ლუიჯი სიმონის თანამდებობიდან გაშვების მერე ჩემპიონატის პირველი თამაში სტუმრად, „ვიჩენცასთან“ ჩაატარა და ფრედ 1:1 დაასრულა.

მილანელებს ანგარიშის გათანაბრება მოუხდათ, რადგან თავიდან, პირველ ტაიმში, ჯუზეპე ბერგომიმ და ფრანჩესკო კოლონეზემ პასკუალე ლუიზო თავიანთ საჯარიმოში რომ წააქციეს, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა და ლუიზომ ზუსტად დაარტყა.

ალსანიშნავია, რომ მასპინძლებს მანამდე სულ მცირე ხუთი გოლის გატანა შეეძლოთ, „ინტერი“ კი გამოსავლის ძიებაში იყო და ძლიერი დაბნეულობა ეტყობოდა.

„შავ-ლურჯებმა“ მეორე ტაიმში გამოასწორეს მდგომარეობა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გუნდის ახალმა მწვრთნელმა, რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ ნიგერიელი ტარიბო ვესტის ნაცვლად მოედანზე ფრანგი მიკაელ (და არა მიშელ) სილვესტრი შეუშვა. ვესტმა მოედნიდან გასვლა იუკადრისა, მაგრამ სხვა გზა რომ არ ჰქონდა, მაისური გაიხადა და ლუჩესკუს მიმართულებით მოისროლა.

ამის შემდეგ მსაჯმა გუნდებს თითო ფეხბურთელი მოაკლო. ჯერ „ვიჩენცას“ მცველმა ნიკოლა დილიზომ მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, სამ წუთში კი „ინტერის“ თავდამსხმელმა ივან სამორანო მასიმო ბეგეტოს წინააღმდეგ ხულიგნობისთვის წითლით დაისაჯა.

ამას ის მოყვა, რომ ლუჩესკუმ ბენუა კოე რონალდოთი შეცვალა (რონალდო 28 დღის მანძილზე არ ჩანდა იტალიის სტადიონებზე) და მსაჯის დამატებული დროის მეორე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა: ჯარიმიდან რონალდომ „ვიჩენცას“ კედელს მოარტყა ბურთი, რომელიც სილვესტრის მიუგორდა და ფრანგის ფეხიდან კარის ბადეში შევარდა. ბევრი იკამათეს მასპინძლებმა თამაშგარე მდგომარეობა იყო (ბურთი თითქოს რონალდოს თანაგუნდელს შეეხო) მაგრამ მსაჯმა ყურად არ იღო.

გაღიზიანებულ „ვიჩენცას“ დამატებული დროის მეოთხე წუთზე მარკო სკენარდიც გაუძევეს.

„მილანის“ ახალმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ და ახალმა თავდამსხმელმა, გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა კი თავიანთი ძველი გუნდი, „უდინეზე“ დაამარცხეს.

ბირჰოფის კრიზისზე ადრეც გვისაუბრია, ფორვარდს 4 ოქტომბრის მერე გოლი არ გაეტანა, მაგრამ ბრაზილიელი ლეონარდოს დახმარებით ნავსი გატეხა (და მაინც ოფსაიდი იყო). ბირჰოფამდე ჟორჟ ვეამ და თავად ლეონარდომ გამოიჩინეს თავი. თამაშის ბოლოს „სან სირომ“ ბრაზილიელი ოვაციით გააცილა მოედნიდან.

**პაპუნა ძიდია**



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ლაციო. მარსელო სალასი მცველებს დაუსხლტა

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფიორენტინა | 12 | 8 | 1 | 3 | 23:12 | +11 | 25 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:2 | +13 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 2 | რომა | 12 | 6 | 4 | 2 | 26:13 | +13 | 22 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | +15 | 19 | 5 | 0 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 3 |
| 3 | პარმა | 12 | 6 | 4 | 2 | 17:5 | +12 | 22 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:1 | +12 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 6 |
| 4 | მილანი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | +4 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:7 | +6 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 5 | ინტერი | 12 | 5 | 3 | 4 | 21:19 | +2 | 18 | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | +4 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 8:10 | -2 | 6 |
| 6 | იუვენტუსი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 5:1 | +4 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | -5 | 5 |
| 7 | ბოლონია | 12 | 4 | 5 | 3 | 15:10 | +5 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | +3 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | +2 | 8 |
| 8 | ლაციო | 12 | 4 | 5 | 3 | 19:15 | +4 | 17 | 5 | 2 | 3 | 0 | 10:5 | +5 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 8 |
| 9 | უდინეზე | 12 | 4 | 4 | 4 | 15:20 | -5 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:6 | +4 | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 10 | ბარი | 12 | 2 | 9 | 1 | 12:11 | +1 | 15 | 6 | 1 | 5 | 0 | 3:2 | +1 | 8 | 6 | 1 | 4 | 1 | 9:9 | 0 | 7 |
| 11 | პერუჯა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:21 | -5 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | +5 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | -10 | 2 |
| 12 | კალიარი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:17 | +1 | 14 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:8 | +7 | 14 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:9 | -6 | 0 |
| 13 | სამპდორია | 12 | 3 | 4 | 5 | 10:20 | -10 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | +3 | 11 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:16 | -13 | 2 |
| 14 | პიაჩენცა | 12 | 3 | 3 | 6 | 15:16 | -1 | 12 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | +7 | 12 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:11 | -8 | 0 |
| 15 | ემპოლი* | 12 | 3 | 5 | 4 | 8:13 | -5 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 11 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:10 | -8 | 3 |
| 16 | სალერნიტანა | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | -9 | 11 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | +3 | 9 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:14 | -12 | 0 |
| 17 | ვიჩენცა | 12 | 2 | 5 | 5 | 7:17 | -10 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:7 | -5 | 3 |
| 18 | ვენეცია | 12 | 2 | 3 | 7 | 5:14 | -9 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:4 | -2 | 5 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 4 |

*ემპოლის 2 ქულა აქვს დაკლებული

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 12 |
| ამოროზო (უდინეზე) | 8 |
| დელვეკიო (რომა) | 8 |
| კრესპო (პარმა) | 7 |
| მუცი (კალიარი) | 7 |
| ტოტი (რომა) | 7 |

XIII ტური

13 დეკემბერი

ბარი - ემპოლი
ბოლონია - სალერნიტანა
ფიორენტინა - იუვენტუსი
ლაციო - სამპდორია
მილანი - ვიჩენცა
პარმა - რომა
პერუჯა - კალიარი
უდინეზე - ინტერი
ვენეცია - პიაჩენცა

## სერია B

XIII ტური

### ბრეშა 3:0 ჯენოა

1:0 რადუჩოუ (13), 2:0, 3:0 უბნერი (17, 37პ)

### კრემონეზე 1:3 ატალანტა

0:1 როსინი (45), 0:2, 0:3 დონი (64, 74), 1:3 ჯირარდელო (82)

### ლეჩე 0:1 მონცა

0:1 ოდო (32)

### ლუკეზე 1:1 ტერნანა

0:1 ტიბერი (21), 1:1 მაძუცი (51)

### ნაპოლი 0:0 ტორინო

### რავენა 1:1 პესკარა

1:0 დელანო (5), 1:1 პიზანო (44)

### რეჯანა 3:0 ფ. ანდრია

1:0 ლემე (55), 2:0 პროტი (63პ), 3:0 ლემე (73)

### რეჯინა 1:0 კიევო

1:0 არტიკო (13პ)

### ტრევიზო 5:1 კოზენცა

1:0 ვარიჩიო (27), 2:0 როსი (37), 3:0 ლონჯი (62პ), 4:0 ვარიჩიო (67), 5:0 ბეგეტო (87პ), 5:1 მოსკარდი (92პ)

### ვერონა 1:0 ჩეზენა

1:0 ჯონელა (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 13 | 10 | 2 | 1 | 25:8 | 32 |
| ტრევიზო | 13 | 8 | 4 | 1 | 23:10 | 28 |
| ტორინო | 13 | 7 | 3 | 3 | 20:10 | 24 |
| პესკარა | 13 | 7 | 3 | 3 | 22:13 | 24 |
| ლეჩე | 13 | 6 | 3 | 4 | 13:10 | 21 |
| რეჯინა | 13 | 5 | 5 | 3 | 14:11 | 20 |
| რავენა | 13 | 5 | 5 | 3 | 16:16 | 20 |
| ატალანტა | 13 | 5 | 4 | 4 | 12:9 | 19 |
| ნაპოლი | 13 | 4 | 7 | 2 | 11:8 | 19 |
| მონცა | 13 | 5 | 4 | 4 | 9:10 | 19 |
| ბრეშა | 13 | 4 | 6 | 3 | 11:7 | 18 |
| ჯენოა | 13 | 4 | 3 | 6 | 13:17 | 15 |
| ტერნანა | 13 | 3 | 6 | 4 | 12:16 | 15 |
| რეჯანა | 13 | 3 | 5 | 5 | 14:15 | 14 |
| კრემონეზე | 13 | 3 | 4 | 6 | 14:21 | 13 |
| კიევო | 13 | 3 | 3 | 7 | 7:14 | 12 |
| კოზენცა | 13 | 3 | 3 | 7 | 12:23 | 12 |
| ლუკეზე | 13 | 1 | 7 | 5 | 8:12 | 10 |
| ჩეზენა | 13 | 1 | 4 | 8 | 8:18 | 7 |
| ფ. ანდრია | 13 | 1 | 3 | 9 | 5:21 | 6 |

# ლენდოიროს დაბადების დღეზე

## ესპანეთი

### XIII ტური

**ატლეტიკო 0:0 ბილბაო**

ატლეტიკო: მოლინა, სერენა, რამონი (ხოსე მარი 46), შამოტი, ტონი, სანტი, ვალერონი (ნიეგუსი 74), იუგოვიჩი, ჟუნინიო, ლარდინი (მენა 46), კორეა
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი (ხავი გონსალესი 60), ფერეირა, ლარაინსარი, ურუტია, კარლოს გარსია, ალკისა, ხ. ეჩებერია (გერერო 77), ურსაისი (ესკუერო 67)
გაფრთხილება: სერენა, რამონი, ვალერონი, ჟუნინიო, ხავი გონსალესი, ალკისა, ესკუერო
მსაჯი: ჯაპონ სევილია

**მალიორკა 1:0 ბეტისი**

1:0 დანი (82)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (პაუნოვიჩი 67), სტანკოვიჩი (ფ. სოლერი 83), ლორენი, ენგონგა, ბიაჯინი (ჩუპა ლოპესი 65), დანი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, სოლოსაბალი, ოლიასი, ბენჟამინი (დენილსონი 52), იტო, კანიასი (აიალა 67), ფერნანდო (ალექსისი 15), ფინიდი, ოლი
გაფრთხილება: მარსელინო, ენგონგა, ლუის ფერნანდესი, მერინო
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

**სოსიედადი 2:0 ესტრემადურა**

1:0 დე პაულა (26), 2:0 იდიაკესი (82)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, პიკაბეა, ანტია, ლოპეს რეკარტე, გომესი, გრასია (ხაურეგი 83), დე პაულა (იდიაკესი 78), კუხბაუერი, კოვაჩევიჩი (ალდეონდო 67), სა პინტუ
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ბელენგერი (ტორილი 54), კალა, ფელიქსი, ოსკარი (დავიდი 84), ხუანიტო, პოლი, ტონი ველამასანი, დურე, მანუელი, რუედა (გაბრიჩი 70)
გაფრთხილება: გომესი, იდიაკესი, კუხბაუერი, ბელენგერი, ხუანიტო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

**ესპანიოლი 0:0 რეალი**

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, ვილა, ივან ელგერა, პაჩეტა, არტეაგა (სერხიო 46), მარტინ პოსე, ესნაიდერი, ბენიტესი (ნან რიბერა 46)
რეალი: ილგნერი, ივან კამპო, სანჩისი, პანუჩი, ფერნანდო სანსი, იარნი, ზეედორფი (ხაიმე 59), გუტი, რაული, შუკერი (ეტოო 66), მორიენტესი
გაფრთხილება: კრისტობალი, პაჩეტა, სერხიო, ნან რიბერა, მორიენტესი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

**სალამანკა 1:1 სელტა**

0:1 მაზინიო (5), 1:1 კარდეტი (87)
სალამანკა: სტელეა, ლეო რამოსი, კორინო, ლანა, მუნტეანუ (კასარტელი 88), ტომასი (მარინესკუ 62), ედუ ალონსო, ჯოვანელა, კარდეტი, ბარბარა (ლორენი 88), ველისკა
სელტა: დუტრუელი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ბერხესი, ჯოროვიჩი, მაკელელე, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (ტომასი 60), პენევი (სანჩესი 65), რევივო (კაირესი 75)
გაფრთხილება: ლეო რამოსი, ტომასი, კასერესი, ბერხესი, კარპინი, რევივო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

**დეპორტივო 2:1 ბარსელონა**

1:0 პაჯი (76), 1:1 რივალდო (89პ), 2:1 ფრანი (90)
დეპორტივო: სონგო, რომერო, არმანდო, ნაიბეტი, ზიანი (სკალონი 90), ჯალმინია (პაჯი 73), მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო, დონატო, პაულეტა (ტურუ ფლორესი 64)
ბარსელონა: ჰესპი, სერხი, რაიციგერი, ოკუნოვო, ზენდენი (გვარდიოლა 62), ხავი, კოკუ, სელადესი (ჯოვანი 82), კლუივერტი, ანდერსონი, რივალდო
გაფრთხილება: სონგო, ნაიბეტი, დონატო, რაიციგერი
მსაჯი: მეგია დავილა

**ალავესი 0:1 ვალენსია**

0:1 კ. ლოპესი (65)
51-ე წუთზე ივან როჩამ (ალავესი) ვერ გაიტანა პენალტი
ალავესი: კიკე, ივან როჩა (ი. ლოპესი 73), კარმონა, განიანი, ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი (ასკოიტია 5), ხერარდი, დესიო, მანიო (სივორი 60)
ვალენსია: კანისარესი, როში, ჯუკიჩი, კარბონი, შვარცი, მენდიეტა, ფარინოსი, მილა, კ. ლოპესი (ვლაოვიჩი 78), ილიე, ანგულო (ანგლომა 60)
გაფრთხილება: დესიო, კ. ლოპესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

**ოვიედო 1:0 რასინგი**

1:0 დელი ვალდესი (3)
ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ნადი, ესკურსა, პომპეი, პაულო ბენტო, ონოფრე, ივან ანია (მორენო 77), ხაიმე, დელი ვალდესი (ფაბიო პინტუ 65, მიოლერი 90)
რასინგი: სებალოსი, არსენო, მელბერგი, სიეტესი (ხელი 57), ტაისი, ვივარ დორადო, ვიქტორი, ჩემა, ისმაელი (პრესიადო 77), მუნიტისი, ბესჩასტნიხი (შუსტიკოვი 68)
გაფრთხილება: მანელი, სეზარი, ნადი, ხელი, სიეტესი, ჩემა, მუნიტისი
გაძევება: მანელი
მსაჯი: დუდენ იბანესი

**ვილიარეალი 2:1 ვალიადოლიდი**

1:0, 2:0 მოიზესი (36, 58), 2:1 პეტერნაკი (65)
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი, ხერარდო, კრაიოვეანუ (ხავი სანჩისი 72), ალბერტო (გარსია სანხუანი 76), მოიზესი (კრისტიანსენი 90)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი (კამინერო 71), გარსია სალვო, სანტამარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, ტორეს გომესი, ჩემა (ეუსებიო 54), პეტერნაკი, კლიმოვიჩი (ალვბერტო 68)
გაფრთხილება: ალბერტო, კლიმოვიჩი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

**ტენერიფე 1:1 სარაგოსა**

1:0 მაკაი (81), 1:1 ხორდი (86)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, პაბლო პასი, იოკანოვი, ფელიპე (დომინგუში 60), ემერსონი, სლოვაკი, რობაინა, ხონაი, ხუანელე, მაკაი (მარსელინო 88)
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, პაკო, კარტერო, აგუადო, არაგონი (გ. ლოპესი 59), ხოსე იგნასიო (ხორდი 82), ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ჯამელი, მარკოს ვალესი
გაფრთხილება: პაბლო პასი, სლოვაკი, ხონაი, ხოსე იგნასიო, ტორო აკუნია, მარკოს ვალესი
მსაჯი: გარსია არანდა



დეპორტივო — ბარსელონა. მასპინძლებს ისე სურდათ პრეზიდენტის დაბადების დღის მოგებით აღნიშვნა, რომ კი არ თამაშობდნენ, დაფრინავდნენ

ფაბიო კაპელომ, დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მწვრთნელმა, რამდენიმე დღის წინ „ბარსელონასთან" წინასწარ შეთანხმებას მოაწერა ხელი — ახალი სეზონიდან კატალონიურ კლუბს უხელმძღვანელებს.

ეს ცნობა სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა, კლუბის ამჟამინდელმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა კი განაცხადა, ყველაფერი ტყუილია, მე კლუბის პრეზიდენტს, ხოსე ლუის ნუნიესს შევხვდი, მას კაპელოზე არაფერი უთქვამს, მეტიც, მხარი დამიჭირაო. მაშინ რა გამოდის? „როიტერმა" იცრუა? ალბათ, არა, რადგან ამხელა ტყუილს მოგონება უნდა თან, ვან გაალის სიტყვებიდან გამომდინარე, ჰოლანდიელის დღეები „ბარსელონაში" განსაზღვრულა. იგი გუნდს სეზონის ბოლომდე უთავკაცებს, მერე კი... ხოსე ლუის ნუნიესს ვან გაალის წინამორბედ ბობი რობსონისთვისაც იგივე გაუკეთებია, რასაც ახლა ჰოლანდიელს უპირებს — ინგლისელ მწვრთნელს საქმიანობას უქებდა, სამომავლო გეგმებზე ესაუბრებოდა, სეზონის დასრულებისთანავე კი თანამდებობა დაატოვებინა.

ჯანდაბას მინდვრისგარეთა ინტრიგები. კლუბში შექმნილი ბუნდოვანების გამო მხოლოდ და მხოლოდ კლუბი ზარალდება, მწვრთნელები კი ყოველთვის მიდიოდნენ და მოდიოდნენ. „ბარსელონა" ვან გაალის ხელში იმ თვისებებს კარგავს, რის გამოც მას ეთაყვანებოდნენ! „ბარსელონა" ზედიზედ მესამედ დამარცხდა!

5 დეკემბერი ლა კორუნიას „დეპორტივოს" პრეზიდენტის, ესპანეთში სასტუმროების ერთ-ერთ უდიდესი ქსელის მფლობელის აუგუსტო სეზარ ლენდოიროს დაბადების დღეა. მასპინძელმა ფეხბურთელებმა პრეზიდენტს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი უძღვნეს — 5 დეკემბერს „დეპორტივომ" დრამატულ მატჩში „ბარსელონა" დაამარცხა. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა პატარა, კოხტა, მაგრამ გულშემატკივრებით პირთამდე სავსე „რიასორზე" წააგო.

— დღეს უამრავი მილოცვა და საჩუქარი მივიღე, მაგრამ ეს მოგება უძვირფასესია! — განაცხადა გახარებულმა სეზარ ლენდოირომ და „დეპორტივოს" ფეხბურთელებთან შესახვედრად გასახდელში ჩავიდა.

ზეიმობდა ლა კორუნია! ხუმრობა საქმე ხომ არაა, 76-ე წუთზე პირველი გოლი გაგაქვს, შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე მეტოქე გოლითვე გპასუხობს და მაინც იმარჯვებ. ამას მოხერხება უნდა. ლა კორუნიელებმა მოახერხეს.

76-ე წუთზე, გასულ კვირას აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის მიერ შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა მაროკოელმა მუსტაფა ჰაჯიმ რუუდ ჰესპს გაუტანა — 1:0. 89-ე წუთზე როცა საპატიო სტუმართა ლოჟაში მჯდომი აუგუსტო სეზარ ლენდოირო მეგობრებთან ერთად „დეპორტივოს" გამარჯვების აღსანიშნავად ემზადებოდა, მსაჯმა მეგია დავილამ კამერუნელი ჟაკ სონგოს კარში პენალტი დანიშნა. პატრიკ კლუივერტი საჯარიმოში კი წაიქცა, მაგრამ თავად მოიმოქმედა ეს, თუ მასპინძლის დახმარებით, ძნელი გასარკვევი იყო. ერთი სიტყვით, თერთმეტმეტრიანი რივალდომ გაიტანა — 1:1.

„ბარსელონა" მაინც დაისაჯა. აბა, რა იქნებოდა — სამმა კატალონიელმა ტურუ ფლორესის ჩაწოდებული ბურთის მოგერიება ვერ მოახერხა, ვერც წამოპარულ ფრანს შეებრძოლნენ და თავდამსხმელმაც მიზანს მიაღწია — ჰესპს მეორე გოლიც გაუტანა 2:1. შეხვედრა იქვე დასრულდა.

— „ბარსელონა" კრიზისშია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ცუდ პერიოდს მალე გადავლახავთ. „დეპორტივოსთან" მარცხით „ბარსელონამ" სამმატჩიანი წაგებების სერია დაასრულა — ლუის ვან გაალი ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

თუ ვან გაალმა ემოციები მოთოკა, ფეხბურთელები ზედიზედ მესამე ტურში წაგებას იოლად ვერ შეეგუვნენ — ნიგერიელმა გბენგა ოკუნოვომ ლაკორუნიელ ჟურნალისტს სილა გააწნა, რის გამოც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა შესაძლოა გვარიანი თანხით დააჯარიმოს.

რახან ფეხბურთელთა უსაქციელობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ოკუნოვოს დარად სასჯელი ელის „ბეტისის" თავდამსხმელს ოლი ალვარესს — ამ ტურში ხავიერ კლემენტეს „ბეტისი" „მალიორკას" ესტუმრა და 0:1 წააგო, ოლი ალვარესმა კი მსაჯი სიტყვიერად შეურაცხყო, რადგან ამ უკანასკნელმა მასთან უხეშად მოთამაშე ჩუპა ლოპესი არ გააფრთხილა.

სხვათა შორის, რაც ხავიერ კლემენტე „ბეტისს" სათავეში ჩაუდგა, სევილიურმა კლუბმა მხოლოდ მეორედ წააგო.

თუ ბარსელონას ერთი გუნდი დანაღვლიანდა, მეორემ, მიუხედავად იმისა, რომ ფრედ ითამაშა, გაიხარა — „ესპანიოლმა" მადრიდის „რეალს" მოგება არ დაანება.

საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ „რეალთან" პაექრობა „ესპანიოლს" 60 ათასი კაცის ქომაგობამ გაუიოლა. „დე მონხუიკი" გადაჭედილი იყო — მადრიდელებთან დაპირისპირებას მასპინძლები მოუთმენლად ელოდნენ. კლუბის მწვრთნელი მიგელ ანხელ ბრინდისი კი წინა დღით აცხადებდა, მართალია, „რეალი" ძლიერი გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი არააო.

„რეალი" მეტოქემ ძალიან გააწვალა. ძირითად შემადგენლობაში ბოლო თვეები მანძილზე პირველად გამწესებულმა დავორ შუკერმა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა: ბურთი რამდენიმე მეტრიდან „ესპანიოლის" მეკარეს, ოლიმპიურ ჩემპიონ ტონის, იგივე ანტონიო ხიმენეს სისტაჩს მოარტყა. მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირს კიდევ ჰქონდა რამდენიმე შანსი, მაგრამ ხელიდან გაუშვა. იგივე ემართებოდა მადრიდელთა მეორე თავდამსხმელს ფერნანდო მორიენტესსაც.

— ღრუბლებში მფრინავი „რეალი" მიწაზე დავაბრუნეთ. ფრე ჩვენთვის კარგი იყო, „რეალისთვის" კი არა. მართალი გითხრათ, ქულა ჩვენ მოვიპოვეთ, მეტოქემ კი ორი დაკარგა — თქვა ანხელ ბრინდისმა. მართლაც ასე იყო.

ესპანური ფეხბურთის გრანდების წაფორხილებით ექტორ კუპერის „მალიორკამ" ისარგებლა — იმარჯვა და წინ წაიწია.

ლიდერთა წაგებამ „ვალენსიას" წისქვილზეც დაასხა წყალი: კლაუდიო რანიერის გუნდმა არგენტინელი კლაუდიო ლოპესის ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად პრიმერა დივიზიონის დებიუტანტი „ალავესი" დაამარცხა.

ვალენსიელებმა ერთადერთი გოლი მას შემდეგ გაიტანეს, რაც მასპინძლებმა პენალტი ვერ გამოიყენეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 13 | 7 | 4 | 2 | 14:5 | +9 | 25 | 7 | 6 | 1 | 0 | 11:1 | +10 | 19 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | დეპორტივო | 13 | 6 | 5 | 2 | 17:12 | +5 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:5 | +8 | 17 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 6 |
| 3 | სელტა | 13 | 5 | 7 | 1 | 23:14 | +9 | 22 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | +7 | 12 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:9 | +2 | 10 |
| 4 | ვალენსია | 13 | 7 | 1 | 5 | 22:15 | +7 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | +9 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 |
| 5 | ატლეტიკო | 13 | 6 | 3 | 4 | 22:14 | +8 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:3 | +15 | 17 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 4 |
| 6 | სარაგოსა | 13 | 6 | 2 | 5 | 18:18 | 0 | 20 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | +2 | 11 |
| 7 | რეალი | 12 | 5 | 4 | 3 | 24:18 | +6 | 19 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | +5 | 14 |
| 8 | ბარსელონა | 13 | 5 | 4 | 4 | 21:15 | +6 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | +6 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 8 |
| 9 | სოსიედადი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:17 | 0 | 19 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | +6 | 14 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 |
| 10 | ოვიედო | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | -1 | 18 | 7 | 3 | 1 | 2 | 7:4 | +3 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:13 | -4 | 5 |
| 11 | ბილბაო | 13 | 5 | 2 | 6 | 18:20 | -2 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | +2 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 |
| 12 | ბეტისი | 13 | 5 | 2 | 6 | 8:15 | -8 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 3:8 | -5 | 7 |
| 13 | ვილიარეალი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:18 | 0 | 16 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:9 | +6 | 14 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | -7 | 2 |
| 14 | რასინგი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | -2 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | +5 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 |
| 15 | ვალიადოლიდი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:17 | -5 | 15 | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | +3 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | -8 | 3 |
| 16 | სალამანკა | 12 | 4 | 3 | 5 | 12:19 | -7 | 15 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | +4 | 14 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | -11 | 1 |
| 17 | ესპანიოლი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:14 | -1 | 14 | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | +1 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | ალავესი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:15 | -6 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 4:4 | 0 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -7 | 4 |
| 19 | ტენერიფე | 13 | 2 | 5 | 6 | 16:21 | -5 | 11 | 7 | 0 | 5 | 2 | 8:10 | -2 | 5 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:11 | -3 | 6 |
| 20 | ესტრემადურა | 13 | 3 | 2 | 8 | 8:22 | -15 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიქტორ სანჩესი (რასინგი) | 7 |
| ურსაისი (ბილბაო) | 7 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 7 |
| მაკაი (ტენერიფე) | 7 |

### XIV ტური

13 დეკემბერი

ვალიადოლიდი - ალავესი
ბარსელონა - ვილიარეალი
ბილბაო - დეპორტივო
ბეტისი - ატლეტიკო
სარაგოსა - მალიორკა
რასინგი - ტენერიფე
ესტრემადურა - ოვიედო
რეალი - სოსიედადი
სელტა - ესპანიოლი
ვალენსია - სალამანკა

## მეორე დივიზიონი

### XV ტური

**ორენსე 1:2 მალიორკა B**

1:0 პაულინო (39), 1:1, 1:2 ლუკე (83, 85)

**რეკრეატივო 0:0 ლას პალმასი**

**კომპოსტელა 1:3 რაიო**

1:0 მაურისიო (4), 1:1 მიჩელი (7), 1:2 ვერგარა (20), 1:3 ერნანდესი (42)

**ლეგანესი 2:0 ეიბარი**

1:0 ხუანმი (22), 2:0 ტრიგეროსი (88)

**მალაგა 0:0 ლეიდა**

**ნუმანსია 2:3 ლოგრონიესი**

1:0 მორანი (11), 2:0 კასტანიო (51), 2:1 კლოტე (57), 2:2 მანელი (62), 2:3 ნაიმი (68პ)

**სევილია 2:2 ატლეტიკო B**

0:1 ბუკიჩი (45), 0:2 ბარახა (52), 1:2, 2:2 მოლნარი (56, 75)

**მერიდა 0:1 სპორტინგი**

0:1 კამაჩო (90)

**ბადახოსი 0:1 ტოლედო**

0:1 კინი (33)

**ოსასუნა 1:0 ალბასეტე**

1:0 ალფრედო (30)

**ერკულესი 1:2 ბარსელონა B**

0:1 ლუისი (72), 1:1 პაკიტო (83პ), 1:2 გაბრი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 15 | 10 | 4 | 1 | 30:10 | 34 |
| ტოლედო | 15 | 8 | 6 | 1 | 22:11 | 30 |
| რაიო | 15 | 7 | 7 | 1 | 22:16 | 28 |
| ლას პალმასი | 15 | 7 | 6 | 2 | 26:10 | 27 |
| მალაგა | 15 | 7 | 4 | 4 | 21:17 | 25 |
| ოსასუნა | 15 | 7 | 4 | 4 | 14:11 | 25 |
| ლეიდა | 15 | 6 | 6 | 3 | 18:14 | 24 |
| სევილია | 15 | 6 | 6 | 3 | 18:14 | 24 |
| ატლეტიკო B | 15 | 6 | 5 | 4 | 26:21 | 23 |
| რეკრეატივო | 15 | 6 | 5 | 4 | 10:7 | 23 |
| კომპოსტელა | 15 | 5 | 6 | 4 | 21:18 | 21 |
| ლოგრონიესი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:22 | 20 |
| მერიდა | 15 | 4 | 6 | 5 | 13:13 | 18 |
| ლეგანესი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:22 | 18 |
| მალიორკა B | 15 | 5 | 2 | 8 | 19:22 | 17 |
| ბადახოსი | 15 | 4 | 3 | 8 | 10:13 | 15 |
| ალბასეტე | 15 | 3 | 4 | 8 | 9:16 | 13 |
| ერკულესი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:23 | 13 |
| სპორტინგი | 15 | 3 | 4 | 8 | 11:21 | 13 |
| ორენსე | 15 | 4 | 1 | 10 | 12:26 | 13 |
| ბარსელონა B | 15 | 3 | 3 | 9 | 18:29 | 12 |
| ეიბარი | 15 | 3 | 2 | 10 | 12:25 | 11 |

## შოტლანდია

XVII ტური

**ჰართსი 2:1 სელტიკი**

1:0, 2:0 ადამი (36, 49), 2:1 ო'დონელი (73)

**დანდი იუნ. 1:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 დოდსი (53), 1:1 გრანტი (55პ)

**კილმარნოკი 4:0 აბერდინი**

1:0, 2:0 მიჩელი (6, 34), 3:0 ვარელი (38), 4:0 რაიტი (66პ)

**რეინჯერსი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 ვან ბრონკჰორსტი (16), 1:1 პეტრი (76)

**მოზერველი — დანდი**

*გადაიდო*

„სელტიკმა" კვლავ წააგო. ასეთი არასტაბილური გუნდი დედამიწაზე, ალბათ, მხოლოდ ერთი-ორი თუა. ბოლოსწინა ტურში „რეინჯერსის" გამანადგურებლებმა (5:1) ამჯერად ცხრილის შუაგულში „მოსეირნე" „ჰართსთან" წააგეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ — ორივე გოლი ფრანგმა სტეფან ადამმა გაიტანა. გლაზგოელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ და „ჰართსს" შტურმიც მოუწყვეს, მაგრამ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეძლეს, ანგარიშში სხვაობის შემცირება გახლდათ — ფილ ო' დონელმა იყოჩაღა 73-ე წუთზე. ჩემპიონს გათანაბრებაც შეეძლო, თუმცა იმ დღეს თასის ექსმფლობელთა ფრანგი მეკარე ჟილ რუსე შეუდარებელი იყო. სწორედ მისმა ბრწყინვალე თამაშმა მოუტანა „ჰართსს" მეტად საჭირო სამი ქულა.

კვლავ მიუახლოვდა ლიდერ „რეინჯერსს" „კილმარნოკი", რომელმაც შინ კრიზისში და ბოლო ადგილზე მყოფი „აბერდინი" გაასწორა მიწასთან. ოთხიდან ორი გოლი ალი მიჩელმა გაიტანა, შემდეგ ფრანგმა ჟერომ ვარელმა ივარგა, ხოლო წერტილი შეხვედრას პოლ რაიტმა დაუსვა, ვინც გარი ჰოლტის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი შეასრულა აუღელვებლად.

„კილმარნოკი" რომ „აბერდინს" ანადგურებდა, იმ დროს შოტლანდიის თასის ახალგამომცხვარი მფლობელი გლაზგოს „რეინჯერსი" შინ უსუსურ „დანფერმლაინს" 1:0-ს უგებდა, უდიდეს უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ უსახელო მეტოქის კონტრშეტევა გაეპარა 76-ე წუთზე და დაისაჯა კიდეც — გოლიც გაუშვა და ორი ქულაც წყალში გადაყარა.

შედეგად ცხრილის ზედა ნაწილში ვითარება ძალიან დაიძაბა. „რეინჯერსს" 16 თამაშიდან 31 ქულა აქვს, ხოლო „კილმარნოკს" ერთით მეტი შეხვედრა და იმდენივე ქულა. მორიგ ტურში სწორედ ეს ორი კლუბი შეხვდება ერთმანეთს გლაზგოში და მომავალი ლიდერის ვინაობაც იქ გაირკვევა.

— წინ უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. „რეინჯერსი" დიდი ტრადიციების მქონე კლუბია და დღესდღეობითაც დიდ ძალას წარმოადგენს, თუმცა არც ჩვენ გვყავს ნაკლები გუნდი. ჩემს განკარგულებაში ისეთი ერთი ფრანგი და ათი შოტლანდიელი ფეხბურთელია, რომლებიც მოგებისთვის თავს დადებენ. მათი დიდი იმედი მაქვს. ერთი სიტყვით, მომავალ უქმეებს სულმოუთქმელად ველი — „კილმარნოკის" თავკაცი, ბობი უილიამსონი იმედიანად არის და არცთუ უსაფუძვლოდ, მისი გუნდი ხომ მშვენიერ ფორმაშია.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 16 | 9 | 4 | 3 | 30:14 | 31 |
| კილმარნოკი | 17 | 8 | 7 | 2 | 25:10 | 31 |
| სელტიკი | 17 | 7 | 5 | 5 | 33:19 | 26 |
| სტ. ჯონსტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 19:22 | 24 |
| ჰართსი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:20 | 22 |
| დანდი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:20 | 19 |
| დანდი იუნ. | 17 | 4 | 6 | 7 | 17:19 | 18 |
| მოზერველი | 16 | 4 | 6 | 6 | 13:22 | 18 |
| დანფერმლაინი | 17 | 2 | 9 | 6 | 14:24 | 15 |
| აბერდინი | 17 | 3 | 5 | 9 | 15:28 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 10 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 9 |
| ჯესი (აბერდინი) | 8 |



REUTERS ედინბურგიდან

ჰართსი — სელტიკი. ფრანგი სტეფან ადამი თავის დარტყმულის სიზუსტეს ამოწმებს, რომლის შემდეგაც ჩემპიონის კარში მეორე გოლი გავიდა

## შვეიცარია

XXI ტური

**გრასჰოპერი 4:1 სენტ გალენი**

1:0 თურქილმაზი (17), 1:1 ვურენსი (35), 2:1 კომიზეტი (50), 3:1 ყაველაშვილი (75), 4:1 კომიზეტი (82)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ბერნერი, მაცარელი, სმილიანიჩი, კრისტი, ტიკვა (მანინი 65), ფოგელი, ტარარახე, კომიზეტი, ყაველაშვილი (სერმეტერი 78), თურქილმაზი (დე ნაპოლი 56)

**იანგ ბოისი 1:2 ბაზელი**

0:1 რიჩკოვი (5), 0:2 ჩოპი (56), 1:2 სავუ (69)

**ლუგანო 3:3 სერვეტი**

0:1 ბიულმანი (30), 1:1, 2:1 გიალანსა (42,50), 2:2 კარლენი (82), 3:2 გიალანსა (84პ), 3:3 ვარელა (86)

**ლოზანა 1:0 ქსამაქსი**

1:0 შაპგელდიანი (11)

**სიონი 0:0 ციურიხი**

**არაუ 0:0 ლუცერნი**

ამ უქმეებზე შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტური გაიმართა. მიხეილ ყაველაშვილისა და გიორგი ნემსაძის „გრასჰოპერმა" ციურიხში „სენტ გალენს" უმასპინძლა და საკმაოდ იოლად დაამარცხა 4:1 ყაველაშვილმა ამ შეხვედრაში გოლითა და ერთი საგოლე პასით გამოიჩინა თავი, ხოლო ნემსაძეს არ უთამაშია.

„ლეტციგრუნდის" მინდორი თოვლით კი იყო დაფარული, მაგრამ ამას გუნდებისათვის ხელი არ შეუშლია, სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი ქომაგისათვის კარგი, სანახაობრივი ფეხბურთი ეჩვენებინათ.

თამაში სწრაფად დაიწყო და მთელი პირველი ტაიმი ასე წარიმართა. „გრასჰოპერის" მწვავე შეტევებს სტუმრებიც ასეთივე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. 17-ე წუთზე ყაველაშვილმა ითამაშა ჩინებულად, მარცხენა ფლანგზე მეურვე ჩამოიცილა, საჯარიმოში შეიჭრა და კარის სიახლოვეს მდგარ კუბილაი თურქილმაზს ანგარიში გაახსნევინა. 35-ე წუთზე „სენტ გალენის" სწრაფი კომბინაცია ვურენსმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ყაველაშვილს შეეძლო თავისიანების მეორედ დაწინაურება, მაგრამ მისი თავური სტუმართა მეკარე შტილმა მოიგერია.

პირველისგან განსხვავებით მეორე ტაიმში „გრასჰოპერი" დიდ უპირატესობას ფლობდა. ციურიხელთა შეტევებმა შედეგი მალე გამოიღო. 50-ე წუთზე მაცარელის დარტყმულს კომიტეზიმ დაამატა და ანგარიში 2:1 გახადა. ამის შემდეგ ისევ ყაველაშვილს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ორჯერვე შტილმა აუღო. 75-ე წუთზე კი სტუმრებს მანაც ველარ უშველა. მის უძლიერესად გასროლილ ბურთს მეკარემ თვალიდა გააყოლა. მატჩის მიწურულს კომიზეტიმ ახლო მანძილიდან წერტილი დაუსვა „სენტ გალენის" განადგურებას — 4:1.

ამ გამარჯვების შემდეგ „კალიებმა" სამ ქულამდე შეამცირეს ლიდერ „სერვეტთან" ქულათა სხვაობა. ჟენეველები ამ ტურში „ლუგანოს" სტუმრობდნენ და მატჩის დასასრულამდე ოთხი წუთით ადრე დაალწიეს თავი მარცხს. დაძაბული და საინტერესო თამაში საბოლოდ ფრედ 3:3 დასრულდა. მასპინძელთაგან სამივე გოლი გიალანსამ გაიტანა, ხოლო სტუმართაგან ბიულმანმა, კარელიმ და ვარელამ გამოიჩინეს თავი.

პირველი ეტაპის ბოლო ტური კვირას, ცამეტ დეკემბერს გაიმართება. მომავალი მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს „ლუცერნი" — „გრასჰოპერისა" და „სერვეტი" — „სიონის" შეხვედრები იწვევს, რადგან ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ბოლო, მერვე ადგილისთვის სწორედ „ლუცერნი" და „სიონი" იბრძვიან.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 21 | 11 | 8 | 2 | 36:23 | 41 |
| გრასჰოპერი | 21 | 11 | 5 | 5 | 37:24 | 38 |
| ციურიხი | 21 | 9 | 8 | 4 | 32:21 | 35 |
| ლოზანა | 21 | 9 | 8 | 4 | 35:33 | 35 |
| ქსამაქსი | 21 | 7 | 10 | 4 | 29:22 | 31 |
| ბაზელი | 21 | 8 | 4 | 9 | 20:31 | 28 |
| სენტ გალენი | 21 | 7 | 6 | 8 | 31:30 | 27 |
| ლუცერნი | 21 | 5 | 9 | 7 | 25:25 | 24 |
| სიონი | 21 | 5 | 8 | 8 | 21:34 | 23 |
| ლუგანო | 21 | 4 | 7 | 10 | 32:42 | 19 |
| იანგ ბოიზი | 21 | 4 | 6 | 11 | 32:33 | 18 |
| არაუ | 21 | 3 | 7 | 11 | 28:40 | 16 |

## პორტუგალია

XIV ტური

**მარიტიმუ 0:1 კამპომაიორენსე**

0:1 რივასი (23)

**გიმარაეში 1:0 ფარენსე**

1:0 მარსიუ ტეოდორო (90)

**ალვერკა 1:1 ბეირა მარი**

1:0 ხოსე სუარეში (87), 1:1 ანდრე (90)

**უნიაუ 0:1 ამადორა**

0:1 ჟილბერტუ (70)

**ბოავიშტა 1:0 რიუ ავე**

1:0 ტიმოფტე (21)

**პორტუ 1:0 შავეში**

1:0 ჟარდელი (43)

**სალგეირუში 2:1 სპორტინგი**

1:0 ალმეიდა (12), 2:0 პედრო (37), 2:1 ფორტესი (56ს.კ.)

**ბენფიკა 2:0 სეტუბალი**

1:0 პემბრიჯი (5), 2:0 ნუნუ გომეში (48)

**ბრაგა — აკადემიკა**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 10 | 2 | 2 | 32:13 | 32 |
| ბოავიშტა | 14 | 9 | 4 | 1 | 23:10 | 31 |
| სპორტინგი | 14 | 8 | 5 | 1 | 25:10 | 29 |
| ბენფიკა | 14 | 8 | 3 | 3 | 28:11 | 27 |
| ამადორა | 14 | 8 | 3 | 3 | 18:14 | 27 |
| უნიაუ | 14 | 7 | 3 | 4 | 15:10 | 24 |
| სალგეირუში | 14 | 5 | 6 | 3 | 18:18 | 21 |
| გიმარაეში | 14 | 4 | 5 | 5 | 20:15 | 17 |
| ბრაგა | 13 | 4 | 4 | 5 | 18:23 | 16 |
| რიუ ავე | 14 | 4 | 4 | 6 | 11:18 | 16 |
| სეტუბალი | 14 | 4 | 3 | 7 | 12:21 | 15 |
| ფარენსე | 14 | 4 | 2 | 8 | 12:20 | 14 |
| ალვერკა | 14 | 2 | 8 | 4 | 11:17 | 14 |
| ბეირა მარი | 14 | 2 | 7 | 5 | 9:15 | 13 |
| შავეში | 14 | 3 | 3 | 8 | 15:25 | 12 |
| კამპომაიორენსე | 14 | 3 | 3 | 8 | 14:25 | 12 |
| მარიტიმუ | 14 | 1 | 6 | 7 | 12:18 | 9 |
| აკადემიკა | 13 | 2 | 3 | 8 | 14:24 | 9 |


სარბიელი

**სამუშაოდ იწვევს**

სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს

დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული


## ჰოლანდია

XVII ტური

**აიაქსი 1:1 მაასტრიხტი**

0:1 პერესი (49), 1:1 ოლისე (83)

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი (ოლისე 52), რუდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური (დანი 81), გორი, ჰუქსტრა, ვამბერტო, მაკართი (ჰოსი 73), გრონკიაერი

**ბრედა 3:4 ეინდჰოვენი**

1:0 არველაძე (3), 1:1 ხოხლოვი (26), 2:1 შუკოვი (31), 2:2 ნილისი (45), 2:3 ვან ნისტერლოოი (65), 2:4 ბრუგინკი (71), 3:4 ბოში (90)

ბრედა: დე ვოგტი, ატმოდიკორო, ვან დერ ლუი, გუდელი, ზვინენბერგი, შროიდერი, ბოში, ნოპი, მილიჩიჩი (ვანასი 69), არველაძე, შუკოვი

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ხავიერი, ნიკიფოროვი, დირქსი, ლუციუსი, ვან დერ დოდენი (სკერდა 86), სოხლოვი, ფუქსი (კოლკა 89), ივანი, ნილისი (ბრუმინკი 71), ვან ნისტედროოი

**ფეიენოორდი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 მაესი (87ს.კ.)

**სპარტა 1:2 კამბური**

0:1 დე ვრისი (27), 0:2 ვან რისვიკი (28), 1:2 ვან დერ ლაანი (45პ)

**ალკმაარი 1:1 ტვენტე**

1:0 ვან გალენი (13), 1:1 ტერ ავესტი (15)

**უტრეხტი 2:1 გრააფსხაპი**

0:1 გერიტსენი (6), 1:1 იონგი (8), 2:1 მოლსი (51)



აიაქსი — მაასტრიხტი. სანდი ოლისეს (მარჯვნივ) გოლი უხარია

**ტილბურგი 3:5 ვიტესი**

1:0 ბომბარდა (3), 2:0 გალაშეკი 55), 2:1 მახლასი (65), 3:1 სანუ (66), 3:2 ზონგო (73), 3:3 როიზერი (75), 3:4 ლაროსი (85), 3:5 ზონგო (90)

87-ე წუთზე „ნაიმეგენის" მცველ ლუკ მაესს პატრიკ პაუვის დარტყმული ბურთი მოხვდა და მიმართულებაშეცვლილი სტუმართა კარში შევარდა.

„ფეიენოორდი", რომელიც მანამდე ამაოდ ცდილობდა წარმატების მიღწევას, მეტოქის მცველის შეცდომამ იხსნა.

ახალგაზრდა ლუკ მაესი კი შეხვედრის დასრულებისთანავე ატირდა.

როტერდამელებმა მოიგეს და ლიდერობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადეს. ახლა ისინი მდევრებს გვარიანად უსწრებენ, თან შედარებით ნაკლები თამაში აქვთ ჩატარებული.

ჰოლანდიის ჩემპიონატის დაწყებამდე ტიტულის უპირველეს კანდიდატებად მუდამ „ფეიენოორდი", „აიაქსი" და „ეინდჰოვენი" მიიჩნევიან. ამ სეზონის წინაც ასე იყო, მაგრამ „აიაქსმა" ვერ შეძლო როტერდამელთათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია (ყოველ შემთხვევაში, აქამდე), „ეინდჰოვენს" კი არასტაბილურობა დასჩემდა.

ამსტერდამს „მაასტრიხტი" სტუმრობდა. „აიაქსი" სტუმართმოყვარე რომ ყოფილიყო, მეტოქეს შინ ერთს კი არა, სამ ქულას გაატანდა, მაგრამ ნიგერიელმა სანდი ოლისემ თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ჯარიმიდან დარტყმული ბურთი სტუმართა კარში შეაგდო და „მაასტრიხტს" მხოლოდ ქულა დაანება.

„ასე არ შეიძლება. „აიაქსის" საქმე უკუღმა წავიდა, ეს კი კლუბს უფსკრულისკენ მიაქანებს" — წერდა ორშაბათს „ალგემან დაგბლადი".

ამსტერდამულ კლუბში მართლაც ყველაფერი უკუღმა რომ იყოს, დღეს „აიაქსის" ხსენებაც არ იქნებოდა, მაგრამ ესეც ხომ ფაქტია — ყველაფერი მთლად მაღალ დონეზეც არ არის. ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ახალ სეზონში დაუძლურდა და განსაკურნებლად შეძენილ ახალ ფეხბურთელებსაც ვერ იყენებს.

ეს ტური ორი უხვგოლიანი შეხვედრით აღინიშნა — არჩილ არველაძის „ბრედამ" „ეინდჰოვენს" უმასპინძლა და სამი ბურთი შეუგდო, თუმცა თავადა ოთხი გაუშვა. ანგარიში ქართველმა თავდამსხმელმა გახსნა.

გოლების წვიმა ტილბურგში, „ვილემ II"-ზეც მოვიდა — არნემელმა სტუმრებმა ბოლო 25 წუთში ხუთჯერ დალაშქრეს მასპინძელთა კარი. „ვიტესმა" უფეას თასზე თბილისელთა დამჩაგვრელი „ტილბურგი" თავისსავე მოედანზე დასაჯა.

თუ როტერდამის ერთი კლუბი ჩემპიონატის ლიდერია, მეორე თანდათან ფსკერისკენ იძირება — „სპარტა" კვლავ დამარცხდა. ამჯერად როტერდამელები შინ დაამარცხა „კამბურმა". მასპინძელი კლუბის ხელმძღვანელობამ მორიგი წაგება ველარ აიტანა და „სპარტას" მწვრთნელს თანამდებობა დაატოვებინეს.

**ირაკლი ილაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 15 | 12 | 2 | 1 | 35:13 | 38 |
| ვიტესი | 16 | 10 | 2 | 4 | 33:22 | 32 |
| აიაქსი | 17 | 9 | 5 | 3 | 35:15 | 32 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| ტვენტე | 16 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 29 |
| როდა | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 27 |
| ეინდჰოვენი | 17 | 7 | 6 | 4 | 41:31 | 27 |
| ნაიმეგენი | 16 | 7 | 5 | 4 | 27:22 | 26 |
| ალკმაარი | 17 | 5 | 9 | 3 | 23:22 | 24 |
| ტილბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 30:34 | 22 |
| უტრეხტი | 17 | 6 | 4 | 7 | 28:30 | 22 |
| მაასტრიხტი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | 18 |
| კამბური | 18 | 4 | 6 | 8 | 19:32 | 18 |
| გრააფსხაპი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:28 | 17 |
| სიტარდი | 17 | 3 | 4 | 10 | 16:32 | 13 |
| სპარტა | 17 | 3 | 3 | 11 | 17:33 | 12 |
| ბრედა | 14 | 2 | 4 | 8 | 18:25 | 10 |
| ვალვაიკი | 16 | 1 | 3 | 12 | 18:34 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (ეინდჰოვენი) | 13 |
| მახლასი (ვიტესი) | 12 |
| ვან უდტი (როდა) | 10 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 10 |

# ბორდო — შემოდგომის ჩემპიონი

## საფრანგეთი

XVII ტური

**სოშო 0:1 ლორიანი**
0:1 ფიშერი (15)

**ლანსი 3:0 სტრასბური**
1:0 შმიცერი (50), 2:0 ნიარკო (55), 3:0 ელუა (79)

**პსჟ 0:0 ტულუზი**

**ნანტი 2:0 ბასტია**
1:0, 2:0 და როშა (18, 50)

**მონპელიე 2:0 ლე ავრი**
1:0, 2:0 სილვესტრი (66, 76)

**მეცი 0:0 რენი**

**მონაკო 3:0 ნანსი**
1:0 ტრეზეგე (35), 2:0 იკპება (45), 3:0 ტრეზეგე (48)

**ოსერი 1:1 მარსელი**
0:1 ბლანი (69), 1:1 კარნო (84პ)

**ლიონი 2:1 ბორდო**
1:0 კაველია (50), 2:0 დორასო (72), 2:1 ვილტორდი (81)

საფრანგეთში გასრულდა პირველი დივიზიონის პირველი წრე. ლიდერები, „ბორდო“ და „მარსელი“, მიუხედავად მე-17 ტურში წაფორხილებისა, სხვა გუნდებს მაინც საკმაოდ დაშორდნენ და, შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში სწორედ ისინი დაიცავენ საკუთარი ქვეყნის ღირსებას. უეფას თასის საგზურებისთვის უშელავათო ბრძოლა კი, ალბათ, ჩემპიონატის დასრულებამდე გაგრძელდება. პირველი წრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ევროსარბიელზე გასვლის კანდიდატთა სია საკმაოდ გრძელია. ამის პრეტენზია, სულ მცირე, ცხრა გუნდს მაინც აქვს, რომლებიც გათამაშების ცხრილში მესამედან მეთერთმეტე ადგილების ჩათვლით არიან განლაგებული. მათ უკანაც არის ორი გუნდი — „სტრასბური“ და „მეცი“, რომლებიც, თავიანთი ტრადიციებიდან, ამბიციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება ზემოთნახსენებ ბრძოლაში ჩაებან. რაც შეეხება ხუთ დარჩენილ გუნდს, მათი პროგრამა-მაქსიმუმი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება უფროა, ვიდრე ევროთასებზე გასვლის მცდელობა. ამათგან სურვილის ასრულების საუკეთესო შესაძლებლობა „ნანსის“ აქვს, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამ მცირედი ანალიზის შემდეგ დავუბრუნდეთ მე-17 ტურის შეხვედრებს, რომლებიც ხუთშაბათს და პარასკევს გაიმართა.

ტურის ორი ცენტრალური მატჩი ხუთშაბათს ჩატარდა. „ლიონი“ „ბორდოს“ მასპინძლობდა, „ოსერი“ კი „მარსელს“. „ლიონს“, ისევე როგორც ორი ტურით ადრე, კვლავ გათამაშების ლიდერი ესტუმრა და მასპინძლებმა კვლავ მოუგეს პირველადგილოსანს. მე-15 ტურში მათ „მარსელი“ დაამარცხეს ანგარიშით 2:1, მე-17-ში კი „ბორდოსაც“ იგივე ანგარიშით მოუგეს. ასე რომ, თამამად შეიძლება, ლიონელებს „ავტორიტეტთა რისხვა“ ვუწოდოთ. თამაშამდე საეჭვო იყო „ლიონის“ კაპიტან ალენ კაველიას ძირითად შემადგენლობაში ყოფნა, მაგრამ კაველიამ თავისი გულშემატკივრებისა და მწვრთნელის გასახარად მაინც შეძლო მინდორზე გასვლა. ამის მიუხედავად, მატჩის დასაწყისი მთლიანად სტუმართა უპირატესობით წარიმართა. მე-14 წუთზე საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ სილვენ ვილტორდს ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მისი მშვენიერი დარტყმა ფრედერიკ კუპემ ასევე მშვენივრად გააუვნებელყო. ცოტა ხანში „ლიონი“ გონს მოეგო და უკვე „ბორდოს“ მეკარე ულრიხ რამეს დასჭირდა თავისი ოსტატობის გამოვლენა. მე-17 წუთზე მან შვეიცარიელ მარკო გრასის არ მისცა ანგარიშის გახსნის საშუალება. ამის მერე ლიონელებმა ჟირონდელები თითქმის მთლიანად საკუთარ კარს მიაჯაჭვეს და ისინიც მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებითღა ცდილობდნენ ფონს გასვლას. პირველი ტაიმიც ასე ჩამთავრდა.

მეორე ნახევარი წუთის დაწყებულიც არ იყო, როცა რამემ თანაგუნდელები კიდევ ერთხელ გადაარჩინა. მან ვიოლოს დარტყმა გაჭირვებით მოიგერია. 50-ე წუთზე კი „ბორდოს“ მეკარემაც ველარ უშველა, თუმცა მალბრანკის დარტყმული ბურთის მოგერიება მან კვლავ შეძლო. დამატებაზე კაველიამ დაასწრო ყველას და თავისიანები დააწინაურა. ოციოდე წუთში მასპინძლებმა თითქმის პირველის იდენტური მეორე გოლი გაიტანეს. თავდაპირველი დარტყმა კვლავ მალბრანკმა განახორციელა, რამემ კვლავ აილო, მაგრამ კვლავ ვერ შეძლო ბურთის დაჭერა. დასწრებაზე კი ამჯერად კაველიას ნაცვლად ვიკაშ დორასომ იყოჩალა. „ამ საღამოს მშვენიერი თამაში გაიმართა. მალბრანკი ბრწყინვალედ მოქმედებდა ორივე ტაიმში. უფრო ლამაზად და ტექნიკურად ვითამაშეთ, ვიდრე „მარსელის“ წინააღმდეგ. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენმა დღევანდელმა მეტოქემ უფრო „მოგვცა“ თამაშის შესაძლებლობა, ვიდრე ორი კვირის წინანდელმა. ძალიან მეწყინა, მატჩის ბოლოს ბურთი რომ გავუშვით, რადგან მანამდე კუპემ ზედიზედ ორჯერ სასწაულებრივ იმარჯვა“ — თქვა „ლიონის“ თავკაცმა ბერნარ ლაკომბმა. მართლაცდა დასანანი გოლი გაუშვეს ლიონელებმა. კუპემ ჯერ ბენარბიას აუღო, შემდეგ დიავარას, ვილტორდის მესამე დარტყმას კი ველარაფერი მოუხერხა. მარცის მიუხედავად, „ბორდომ“ სიმბოლური „შემოდგომის ჩემპიონობა“ მაინც მოიპოვა. მას და „მარსელს“ ქულების ერთნაირი რაოდენობა კი აქვთ, მაგრამ ჟირონდელებს გატანილი და მიღებული გოლების სხვაობა კონკურენტზე უკეთესი აღმოაჩნდათ.

„მარსელი“, როგორც უკვე ვთქვით, „ოსერს“ ესტუმრა. როგორც წესი, ზღვისპირელებს მუდამ უჭირთ „აბატი დეშანის“ სახელობის სტადიონზე თუნდაც ერთი ქულის მოპოვება. მათ პირველ დივიზიონში დაბრუნების შემდეგ ორი მატჩი გამართეს ოსერში და ორჯერვე წააგეს. ამჯერად კი, რომ არა მსაჯი, ისინი ნაღდად შეძლებდნენ გი რუს შეგირდების დამარცხებას. მატჩის მერე მარსელელები იმედგაცრუებულნი ტოვებდნენ მოედანს. ამის მიზეზი კი შეხვედრის არბიტრი იყო, რომელმაც მეორე ტაიმის მიწურულს დანიელ ბრავო ვითომდა საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის გააძევა, ამავე დროს კი სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანიც დანიშნა. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ექსმონაკოელმა სტეფან კარნომ ლორან ბლანის მიერ გატანილი გოლი გაქვითა. არადა, ბრავოს ბურთი ნამდვილად არ მოხვედრია ხელზე. „მარსელის“ მწვრთნელმა როლან კურბისმა ცხელ გულზე კომენტარებისგან თავი შეიკავა, ჯერ სადავო მომენტის ვიდეოჩანაწერს ვნახავო და იმწამსვე ტელევიზორისკენ გასწია. როცა დარწმუნდა, რომ მის გუნდს ორი ქულა აბსოლუტურად ტყუილად დააკარგვინეს, კურბისმა ერთობ მჭახე განცხადება გააკეთა: „ეს, მგონი, ჩვენი სამარადჟამო პრობლემაა. არა, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში მსაჯობის დონე ძალიან დაბალია, მაგრამ როცა ასეთი უხეში შეცდომის გამო გუნდი ისჯება, ამაზე სკანდალური რა უნდა იყოს. ორი ქულა „დავკარგეთ“ და ახლა ორმოცის მაგივრად ოცდათვრამეტი გვაქვს, ეს კი ჩემპიონატის ფინიშზე შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ვართ და ჩვენი მსაჯობის სისტემა უკვე მოძველდა.“

ცოდოა „მონაკო“. არა იმიტომ, რომ სუსტია და ძლიერები ჩაგრავენ, ანდა პირიქით. არა, ჯუჯა სახელმწიფოს კლუბი საკმაოდ ძლიერია და ვერც ვერავინ იტყვის, ადვილად შევძლებ მის დამარცხებასო, განსაკუთრებით მათ მოედანზე. შინ ჩატარებული მატჩებიდან მონაკოელებმა ყველა მოიგეს ერთის გარდა. ისინი „ბორდომ“ დაამარცხა. მოიგეს მე-17 ტურშიც. მათ ამჯერად პირველი დივიზიონის დებიუტანტი „ნანსი“ გაანადგურეს 3:0. ხოლო ის, რომ ამ მშვენიერი გუნდის მშვენიერ თამაშებს „ლუი II“-ის სახელობის სტადიონზე იმაზე ნაკლები ხალხი ესწრება, ვიდრე ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, ჩემი აზრით, ნამდვილად საცოდაობაა. საფრანგეთში ეს იციან, მაგრამ გამოსავალი არ ჩანს. იმიტომ, რომ მონაკოში ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობს და მათ უმრავლესობას ფეხბურთის საყურებლად სიარულზე გაცილებით სერიოზული საქმეები აქვთ. შარშან ერთ სენტ-ეტიენის მკვიდრს, თავისი მშობლიური ქალაქის უსუსური გუნდის შემხედვარეს ასეთი აზრიც კი მოუვიდა: ჩვენთან სტადიონზე ყოველთვის საკმაო რაოდენობის მაყურებელი დადის, მაგრამ კლუბი აღარ გვივარგა, „მონაკო“ კი ჩინებული გუნდია, მაგრამ მაყურებელი არ ჰყავს. ჰოდა, მოდით „მონაკოს“ თამაშები ჩვენს სტადიონზე ჩავატაროთ და დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი ევროპულ სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწევსო. სანამ ეს იდეა „სათანადო მხარდაჭერას“ ჰპოვებს, მანამ „მონაკო“ „ლუი II“-ზე ითამაშებს და ევროპაში ძლიერ (და არა ძალიან ძლიერ) გუნდად დარჩება.

ტურის სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „პარი სენ ჟერმენი“ — „ტულუზი“ და „ლანსი“ — „სტრასბური“. პარიზელებმა, ეტყობა, იმდენი ძალა შეალიეს მარსელში ქულის მოპოვებას, რომ შინ მაჩანჩალა ტულუზელებს გოლი ვერაფრით გაუტანეს და ორი ქულა დაკარგეს. ასე რომ, „პსჟ“ კვლავ საკუთარი თამაშის ძიებაში და საკუთარი სიძლიერის დამტკიცებაშია.

ჩრდილოეთელებმა კი „სტრასბური“ ადვილად დაამარცხეს 3:0. „ლანსს“ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მორიგი კლენდარული მატჩი ელის კიევის „დინამოსთან“. მათი ლაღი, შემტევი ფეხბურთის მაცქერალი ნამდვილად იფიქრებს, რომ კახა კალაძის გუნდს საფრანგეთში ძალიან გაუჭირდება.



REUTERS ლიონიდან

ლიონი — ბორდო. მალბრანკმა (მარჯვნივ) მასპინძელთა ორივე გოლში დაიდო წილი

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 17 | 12 | 2 | 3 | 33:14 | 38 |
| მარსელი | 17 | 11 | 5 | 1 | 31:13 | 38 |
| რენი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:19 | 28 |
| მონაკო | 17 | 8 | 3 | 6 | 26:17 | 27 |
| ლიონი | 17 | 7 | 6 | 4 | 23:17 | 27 |
| ნანტი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:19 | 26 |
| პსჟ | 17 | 6 | 6 | 5 | 18:13 | 24 |
| მონპელიე | 17 | 7 | 3 | 7 | 30:28 | 24 |
| ლანსი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:23 | 23 |
| ბასტია | 17 | 7 | 2 | 8 | 22:20 | 23 |
| ოსერი | 17 | 6 | 5 | 6 | 20:21 | 23 |
| სტრასბური | 17 | 5 | 6 | 6 | 14:18 | 21 |
| ნანსი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:22 | 20 |
| მეცი | 17 | 4 | 7 | 6 | 14:19 | 19 |
| ლე ავრი | 17 | 3 | 6 | 8 | 12:21 | 15 |
| ლორიანი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:24 | 14 |
| სოშო | 17 | 3 | 5 | 9 | 14:32 | 14 |
| ტულუზი | 17 | 2 | 7 | 8 | 11:25 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 11 |
| ანდრე (ბასტია) | 9 |
| მორისი (მარსელი) | 9 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 8 |
| კასკარინო (ნანსი) | 8 |
| ნონდა (რენი) | 8 |

## ბელგია

XVII ტური

**ვესტერლო 1:2 ბრიუგე**
1:0 ტანსი (9), 1:1 ლემბი (39), 1:2 ბორკელმანსი (80პ)

**გენკი 2:2 ჰარელბეკი**
1:0 გუდიონსონი (7), 1:1 ვოსტინი (27), 2:1 ნსუმბუ (60), 2:2 ფიდე კამარა (77)

**კორტრაიკი 0:4 ანდერლეხტი**
0:1, 0:2 სტალენსი (12, 16), 0:3 გოორი (43), 0:4 იაშჩუკი (89)

**ოსტენდე 4:1 აალსტი**
1:0 ვინდელსი (15), 2:0 ვან რიელი (30), 2:1 დე ოლივეირა (31), 3:1 სმიტსი (49), 4:1 ფლიესი (75)

**გენტი 2:1 ლოკერენი**
0:1 კოლერი (13), 1:1 ბარკა (17), 2:1 მარტენსი (30)

**შარლერუა 1:1 ლომელი**
1:0 რემი (40), 1:1 მენი (52)

**მუსკრონი 2:2 ეკერენი**
1:0 ვანდერაეგი (7), 1:1 მორეი (10), 1:2 სონკი (52), 2:2 ვან დოორენი (66)

**სტანდარდი — ლიერსი**
*გადაიდო*

**ბევერენი — სენტ ტრუიდენი**
*გადაიდო*

ბელგიაში ამინდის ჭირვეულობის გამო მე-17 ტურის ორი შეხვედრა გადაიდო. ჩვენდა სამწუხაროდ, ერთ-ერთ მათგანში ბელგიაში მოთამაშე ორი ქართველის გუნდი — „სტანდარდი“ და „ლიერსი“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ამიტომაც ჩვენებურებზე ახალს ვერაფერს გეტყვით.

„ბოლო ოთხ მატჩში რვა ქულა მაინც უნდა აგველო, ისე კარგად ვთამაშობდით, მაგრამ თორმეტი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შევძელით და იმის ნაცვლად, რომ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე ვყოფილიყავით, მერვეზე ვართ“ — განაცხადა „ბრიუგესთან“ მარცხის შემდეგ „ვესტერლოს“ მოთამაშემ ბენუა ტანსმა. ტანსი ნამდვილად არ აჭარბებს. მის გუნდს სასტიკი უიღბლობის ჟამი უდგას. ქვეყნის ჩემპიონებთანაც სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, სამი ქულა კი მაინც სტუმრებს ერგოთ. თვით ტანსმა მშვენიერი გოლიც გაიტანა, მაგრამ... თამაშის წინ იოს ჰეილიგენმა თავის შეგირდებს სთხოვა, „ბრიუგეს“ კარს უნ მიაწყდებით, თორემ დავისჯებითო. „ვესტერლოს“ ფეხბურთელებმა კი ნამდვილად „ბარსელონას“ სტილში თამაში გადაწყვიტეს, დაცვა მოაშიშვლეს და მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. „ბრიუგე“ კი ისეთი გუნდია, ასეთ თამაშში შეიძლება თვით ესპანური გრანდიც კი დაამარცხოს, „ვესტერლო“ მით უმეტეს...

„ბრიუგემ“ ამ მოგებით უახლოესი მდე[...] ვარი ხუთი ქულით მოიშორა უკან. მეო[...] რე ადგილზე მყოფმა „გენკმა“ შინ „ჰარე[...] ლბეკის“ დამარცხება ვერ შეძლო. ეს „გე[...] ნკის“ საკუთარ მოედანზე დაკარგული პი[...] რველი ქულებია. მატჩის დასაწყისი მას[...] პინძლების შეტევებში მიილია. „ჰარელბე[...] კი“ მთლიანად დაცვით ცდილობდა ფონს გასვლას, თუმცა უკვე მეშვიდე წუთზ[...] სტუმრებმა შეცდომა დაუშვეს და გუდი[...] ონსონმა თავისიანები დააწინაურა. ამის მერ[...] „ჰარელბეკმა“ დაცვით თამაშზე უარი თქ[...] და საკმაოდ მწვავე იერიშებიც განახორ[...] ციელა. ერთ-ერთი შეტევისას ბოდრის პა[...] სით ვოსტინმა აღადგინა წონასწორობ[...] მეორე ტაიმიც მასპინძლების უპირატესო[...] ბით დაიწყო და მათ კვლავ შეძლეს და[...] წინაურება. ამის მერე „ჰარელბეკმა“ ის[...] მოიწადინა და ანგარიში ისევ გაათანაბრ[...]

კიდევ ერთმა ლიდერმა ვერ შეძლო თა[...] ვის მოედანზე გამარჯვების მიღწევა. „მუ[...] სკრონი“ „ეკერენთან“ ფრეს — 2:2-ს და[...] სჯერდა. მასპინძლები გულდაწყვეტილნ[...] იყვნენ. ისინი ნაღდად ვერ იფიქრებდნე[...] რომ „ეკერენს“ ვერ მოუგებდნენ, მით უმე[...] ტეს, წინა ტურში ბრიუგეში გახერხებუ[...] ლი ფრე ოპტიმიზმის საბაბს აძლევდა[...] მაგრამ სტუმრებმა მათ ტოლი არაფერშ[...] დაუდეს და ნამდვილად დამსახურებულა[...] წაიღეს შინ ერთი ქულა.

მომდევნო ტურში გელა შეყილაძის „ლი[...] ერსი“ „გენტს“ სტუმრობს, ლაშა ჯაკო[...] ბიას „სტანდარდი“ კი „ოსტენდეს“ უმას[...] პინძლებს. იმედია, ბუნებრივი პირობებ[...] ჩვენებურებს თამაშში ხელს აღარ შეუ[...] შლის, თუმცა ჯაკობიას უთამაშებლობი[...] მთავარი მიზეზი მისი ხორვატი მწვრ[...] თნელი ტომისლავ ივიჩია.

დავით სიჭინავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 17 | 12 | 3 | 2 | 34:16 | 39 |
| გენკი | 17 | 10 | 4 | 3 | 37:21 | 34 |
| ლოკერენი | 17 | 9 | 4 | 4 | 37:21 | 31 |
| სტანდარდი | 16 | 9 | 1 | 6 | 23:16 | 28 |
| მუსკრონი | 17 | 7 | 7 | 3 | 31:27 | 28 |
| გენტი | 17 | 7 | 6 | 4 | 29:32 | 27 |
| სტ. ტრიუდენი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:16 | 26 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 2 | 7 | 37:29 | 26 |
| ანდერლეხტი | 17 | 7 | 5 | 5 | 30:25 | 26 |
| ლიერსი | 16 | 8 | 1 | 7 | 30:27 | 25 |
| ეკერენი | 17 | 6 | 4 | 7 | 28:28 | 22 |
| აალსტი | 17 | 6 | 4 | 7 | 29:34 | 22 |
| ჰარელბეკი | 17 | 4 | 6 | 7 | 22:29 | 18 |
| შარლერუა | 17 | 3 | 7 | 7 | 23:25 | 16 |
| ბევერენი | 16 | 4 | 3 | 9 | 18:26 | 15 |
| ლომელი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:28 | 15 |
| ოსტენდი | 17 | 2 | 5 | 10 | 16:40 | [illegible] |
| კორტრაიკი | 17 | 1 | 4 | 12 | 23:48 | [illegible] |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 13 |
| ბრონიო (ვესტერლო) | 10 |
| ულარი (გენკი) | 10 |

## ალბანეთი

მე-13 ტური. ბილიში — პარტიზანი 2:0, სკენდერბუ — ლაჩი 4:1, დინამო — აპოლონია 3:1, შკუმბინი — ფლამურტარი 3:0, ტეუტა — ლუშნია 1:2, ტომორი — ელბასანი 1:0, ვლაჟნია — ტირანა 1:0, ბესა — ბურელი 4:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:12 | 26 |
| ბილიში | 13 | 8 | 2 | 3 | 18:9 | 26 |
| ლუშნია | 13 | 8 | 1 | 4 | 31:15 | 25 |
| ვლაჟნია | 13 | 7 | 2 | 4 | 20:9 | 23 |
| დინამო | 13 | 6 | 4 | 3 | 21:18 | 22 |
| პარტიზანი | 13 | 5 | 5 | 3 | 15:16 | 20 |
| ტომორი | 13 | 5 | 4 | 4 | 12:10 | 19 |
| შკუმბინი | 13 | 6 | 0 | 7 | 12:17 | 18 |
| ელბასანი | 13 | 5 | 2 | 6 | 10:10 | 17 |
| ბესა | 13 | 5 | 1 | 7 | 14:21 | 16 |
| სკენდერბუ | 13 | 5 | 0 | 8 | 23:24 | 15 |
| ლაჩი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| აპოლონია | 13 | 4 | 3 | 6 | 14:20 | 15 |
| ბურელი | 13 | 4 | 1 | 8 | 21:23 | 13 |
| ტეუტა | 13 | 4 | 1 | 8 | 11:30 | 13 |
| ფლამურტარი | 13 | 2 | 5 | 6 | 12:20 | 11 |

## სლოვენია

გამოტოვებული მატჩი. ნოვა გორიცა — ცელიე 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოვა გორიცა | 16 | 10 | 3 | 3 | 33:17 | 33 |
| მარიბორი | 16 | 9 | 5 | 2 | 35:17 | 32 |
| მურა | 16 | 8 | 4 | 4 | 33:16 | 28 |
| ოლიმპია | 16 | 7 | 4 | 5 | 27:22 | 25 |
| კოროტანი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:23 | 25 |
| აიდოვშინა | 16 | 6 | 4 | 6 | 21:17 | 22 |
| ველენიე | 16 | 6 | 4 | 6 | 18:15 | 22 |
| ბელტინცი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:31 | 18 |
| კოპერი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:30 | 16 |
| ცელიე | 16 | 3 | 6 | 7 | 13:22 | 15 |
| დომჟალე | 16 | 3 | 5 | 8 | 14:33 | 14 |
| ტრიგლავი | 16 | 2 | 6 | 8 | 14:28 | 12 |

## თურქეთი

მე-15 ტური. ბეშიქთაში — ტრაბზონ[...] 2:0, ბურსა — გენჩლერბირლიგი 1:[...] ანთალია — ქარაბუქი 3:1, საქარი[...] — დარდანელი 1:3, ალთაი — ადან[...] 3:2, გაზიანთეფი — სამსუნი 1:1, ქო[...] ჯაელი — ფენერბაჰჩე 0:3, ერზურუ[...] მი — ისთანბული 2:4. ანკარაგიუჯი[...] — გალათასარაი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 14 | 10 | 4 | 0 | 30:11 | 34 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 10 | 2 | 3 | 40:12 | 32 |
| ტრაბზონი | 15 | 9 | 3 | 3 | 26:16 | 30 |
| ანთალია | 15 | 9 | 3 | 3 | 22:13 | 30 |
| გალათასარაი | 13 | 8 | 3 | 2 | 38:15 | 27 |
| ისთანბული | 15 | 7 | 3 | 5 | 25:21 | 24 |
| გენჩლერბირ. | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 24 |
| ბურსა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:27 | 24 |
| ქოჯაელი | 15 | 7 | 3 | 5 | 18:17 | 24 |
| გაზიანთეფი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:19 | 20 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 5 | 1 | 8 | 18:21 | 16 |
| ერზურუმი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:36 | 16 |
| ალთაი | 15 | 4 | 3 | 8 | 22:31 | 15 |
| სამსუნი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:30 | 15 |
| ადანა | 15 | 4 | 2 | 9 | 12:22 | 14 |
| საქარია | 15 | 2 | 4 | 9 | 13:26 | 10 |
| ქარაბუქი | 15 | 2 | 2 | 11 | 11:27 | 8 |
| დარდანელი | 15 | 1 | 5 | 9 | 8:24 | 8 |

## ავსტრია

მე-20 ტური. რაპიდი — გრაცერი 1:0, ზალცბურგი — ლუსტენაუ 1:0, შტურმი — ლინცერი 2:0, რიდი — აუსტრია და შტაირი — ტიროლი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 20 | 14 | 2 | 4 | 38:12 | 44 |
| რაპიდი | 20 | 13 | 4 | 3 | 33:14 | 43 |
| გრაცერი | 20 | 12 | 4 | 4 | 26:14 | 40 |
| ლინცერი | 20 | 11 | 3 | 6 | 34:24 | 36 |
| ზალცბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 27:26 | 27 |
| აუსტრია | 19 | 7 | 5 | 7 | 20:23 | 26 |
| ტიროლი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | 20 |
| რიდი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:20 | 16 |
| ლუსტენაუ | 19 | 2 | 6 | 11 | 14:37 | 12 |
| შტაირი | 19 | 1 | 3 | 15 | 15:43 | [illegible] |

# მარსელი ან მონაკო ნაღდად ფინალშია

UEFA CUP

## უეფას თასის 1/8 ფინალის საპასუხო მატჩები



სარბიელის არქივიდან

სელტა — ლივერპული 3:1. ლივერპულელმა ოუენმა (10) და მისმა თანაგუნდელებმა კასერესის გუნდს „სელტას“ ორი გოლი მაინც უნდა გაუტანონ

დღეს ბრიტანული, შვეიცარიული და ბელგიური კლუბები ყველა ღონეს იხმარენ, რათა უეფას თასის მეოთხედფინალის წილისყრაზე იტალიურ-ესპანურ-ფრანგული მონოპოლია არ დაუშვან.

იტალიურმა „ბოლონიამ“ პირველ შეხვედრაში ესპანურ „რეალ ბეტისს“ 4:1 მოუგო და თავი ქუდში აქვს. მის თანამემამულეთაგან მეოთხედფინალში გასვლის იმედი აქვთ „პარმასა“ და „რომას“.

„პარმამ“ ორი კვირის წინ შოტლანდიაში გლაზგო „რეინჯერსთან“ 1:1 ითამაშა. მას, ბუნებრივია, საპასუხო შეხვედრის წინ სტუმრად გატანილი გოლის უპირატესობა აქვს, ხოლო „რომას“ შვეიცარიაში, „ციურიხთან“ ძალიან ძნელი მატჩი ელის, რადგან იქ, ციურიხში, რამდენიმე დღეა ყინავს და თოვს.

რომაელებს, რომელთაც პირველ შეხვედრაში თამაშის მიწურულს დანიშნული ფრიად საეჭვო პენალტის წყალობით დაამარცხეს მოწინააღმდეგე, საგანგებო ბუცები ჰქონიათ წაღებული.

ციურიხელებს დაცვა დღეს საღამოს გაცილებით ძლიერი იქნება იმასთან შედარებით, რაც „სტადიო ოლიმპიკოზე“ იყო, რადგან მას ურს ფიშერი დაუბრუნდება. თუმცა ფაქტია, რომ შვეიცარიელებს ფრიად გაუჭირდებათ იმ გუნდთან ჭიდილი, რომელმაც ეროვნულ პირველობაზე ბოლო ტურში 5:1 მოიგო და სერია A-ს ცხრილში მეორე ადგილზეა.

ნახევარმცველები დანიელ ტარონე და სეზარ სანტანა დიდი ხნის განმავლობაში ტრავმირებულნი იყვნენ და ბუნებრივია, ცუდ ფორმაში არიან. თავდამსხმელი ფრედერიკ შასო კი საეჭვოა დიდი ბრძოლის ხასიათზე იყოს, რადგან უახლოესი მეგობარი, ჰოკეისტი ჩად სილვერი გარდაეცვალა. სილვერს წინა კვირას თამაშის მერე გულმა უმტყუნა.

„ბეტისი“ ბრაზილიელი დენილსონის დისკვალიფიკაციასა და ალფონსი პერესის სერიოზულ ტრავმას ჰყავს დასუსტებული. ესპანურ გუნდს ბოლონიაში ნაწვნევი მარცხის გამოსასწორებლად თამაშის დაწყებისთანავე გატანილმა გოლმა იქნებ ფრთები შეასხას, თუმცა:

„ორთაბრძოლა ფაქტობრივად წაგებულია, თუმცა ასეთმა ვარაუდმა, არაა გამორიცხული, ჩვენს წისქვილზე დაასხას წყალი. თუ ბედი გაგვიღიმებს და ანგარიშის გახსნას დიდ ხანს არ მოვანდომებთ, ვინძლო, ჩვენი იმედი გაღვივდეს კიდეც“ — თქვა ესპანური გუნდის მცველმა ტომას ილიასმა.

„პარმა“ „რეინჯერსს“ ფრანგი თავდამსხმელის სტეფან გივარჩის გარეშე ელის. შოტლანდიელებს, ამას გარდა, არგენტინელი გაბრიელ ამატო და ვეტერანი გორდონ დიური ჰყავს ცუდ ფორმაში.

ესპანურ „სელტა ვიგოს“ მართალია პირველ შეხვედრაში 3:1 აქვს მოგებული, მაგრამ სტუმრად, „ენფილზე“ „ლივერპულთან“ არჩეინობას მაინც უნდა მოერიდოს. თან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებს ოთხი ძლიერი ფეხბურთელი, პოლ ინსი, სტივ მაკმანამანი, ჯეიმი რედნეპი და ვეგარდ ჰეგემი ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

„ევროთასებზე ორმა ნავსიანმა წუთმა შეიძლება შეჯიბრებიდან გამოგვაგდოს“ — ამბობს „სელტას“ მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი, რომლის გუნდის დაცვაც წინა თამაშის დროს დისკვალიფიცირებული მიჩელ სალგადოს დაბრუნებით იქნება გაძლიერებული.

ფერნანდესი იმედოვნებს, რომ „სელტა“ თავს გაართმევს ურთულეს ამოცანას და მეთექვსმეტედფინალში ძლეულ „ასტონ ვილას“ მერვედფინალში „ლივერპულსაც“ დაამატებს. არადა, ზედიზედ ორი ინგლისური გუნდის შეჯიბრებიდან გამოთიშვა, დაგვეთანხმებით, ძნელი საქმეა.

ესპანეთს სულ მცირე, ერთი მეოთხედფინალისტი უეჭველად ეყოლება, რამეთუ მადრიდის „ატლეტიკო“ სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს“ ეთამაშება. პირველ შეხვედრაში „სოსიედადმა“ 2:1 გაიმარჯვა.

საფრანგეთიც ასეა, მის ერთ გუნდს დაჯავშნული აქვს მეოთხედფინალში ადგილი: დღეს „ველოდრომზე“ „მარსელი“ და „მონაკო“ გაარკვევენ ურთიერთობას. ორი კვირის წინ „ლუი მეორეზე“ თამაში 2:2 დამთავრდა. სხვათა შორის, „მარსელს“ აგერ უკვე ოთხი შეხვედრაა, არ გაუმარჯვია.

„დღეს გამარჯვებული შეჯიბრებას ბოლომდე გაივლის!“ — წინასწარმეტყველებს ახლა „მარსელში“, უწინ კი „მონაკოში“ მოთამაშე მცველი პატრიკ ბლონდო.

„მარსელს“ ორი ფეხბურთელი აკლდება, დაშავებული იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი და მისი მეწყვილე, დისკვალიფიცირებული ფლორიან მორისი.

„მონაკოს“ მსოფლიოს ჩემპიონი ტიერი ანრი ჰყავს ზურგმტკივანი. მან რამდენიმე თამაში გამოტოვა, დღეს კი, ალბათ, თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება და მერე შევა მინდორზე.

ბელგიური „ბრიუგე“ შინ შეეცდება ლიონში წაგებული 0:1-ის გამოსწორებას და ამით მეოთხედფინალისკენ მიმავალი კიდევ ერთი ფრანგული გუნდისთვის გზის გადახერგვას. ბელგიის ჩემპიონი მართალია ახალ სეზონშიც ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს, მდევარს ხუთი ქულით უსწრებს, მაგრამ განელი მოთამაშე ერიკ ადო დაშავებული, ხოლო ერიკ დე ფლანდრე და იუგოსლავიელი მილან ლესნიაკი დისკვალიფიცირებული ჰყავს.

საფრანგეთის პირველობის ლიდერი, უეფას თასის 1996 წლის გათამაშების ფინალისტი „ბორდო“ ციურიხის მეორე გუნდს, „გრასჰოპერს“ მასპინძლობს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა 3:3 დამთავრდა, თან „გრასჰოპერმა“ ბოლოს ორი გოლი გაიტანა და ისე გაქვითა.

მიუხედავად ამისა, ფრანგები იოლ თამაშს სულაც არ ელიან. მათ ისიც იციან, რომ „გრასჰოპერს“ შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი კუბილაი თურქილმაზი არ ეყოლება და მაინც:

„უეფას თასზე ჩვენთვის ამდენი გოლი არავის გაუტანია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტის გატანაც შეეძლოთ, ამიტომაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. „გრასჰოპერი“ სტუმრად ძალიან ძლიერია. მის მოთამაშეებს შეტევის ჩაშლა და გრძელი პასების გადაწოდება ეხერხებათ. თანაც მაღალი კლასის თავდამსხმელები ჰყავთ“ — განაცხადა „ბორდოს“ მწვრთნელმა ელი ბოპმა.



ბოლონია — ბეტისი 4:1. ბოლონიელი პარამატი ბენჯამინს (მარჯვნივ) გულდამშვიდებული სტუმრობს

**რეჟს გოუარი,**
**როიტერი**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია „CROCO“

**უეფას თასი. მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები

8 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ციურიხი — რომა | (4,0-1,15) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| მარსელი — მონაკო | (1,15-4,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ბორდო — გრასჰოპერი | (1,05-7;5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ატლეტიკო — სოსიედადი | (1,4-2,3) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრიუგე — ლიონი | (1,9-1,55) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პარმა — რეინჯერსი | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ლივერპული — სელტა | (2,1-1,45) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეტისი — ბოლონია | (15,0-1,01) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ჩემპიონთა ლიგა.** მეექვსე ტური

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუ — აიაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კროაცია — ოლიმპიაკოსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბილბაო — გალათასარაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იუვენტუსი — რუსენბორგი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| რეალი — სპარტაკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შტურმი — ინტერი | 9,0 | 2,4 | 1,6 |
| ბრონდბიუ — ბარსელონა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მანჩესტერი — ბაიერნი | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| ლანსი — დინამო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| პანათინაიკოსი — არსენალი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| კაიზერსლაუტერნი — ჰიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ეინდჰოვენი — ბენფიკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა

8 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიონხენგლადბახი — ვერდერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი

8 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| კრისტალ პალასი — ტრანმერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ვიტესი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

10 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალვაიკი — ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,4 |

**ჰოლანდიის. თასი**

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ემენი — ჰერენვენი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი**

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სენტ ჯონსტონი — ჰართსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**ავსტრიის ჩემპიონატი**

8 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ჰოკეი. NHL**

8 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი — ფილადელფია | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| აილენდერსი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტამპა ბეი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დეტროიტი — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| სენტ ლუისი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფლორიდა — ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ჩიკაგო — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — სან ხოსე | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფინიქსი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

10 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კაროლინა — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — სან ხოსე | 1,8 | 4,4 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# დაუმარცხებელმა ყოჩებმა ისევ იჩემპიონეს!

თბილისი. ვაკე. 6 დეკემბერი

**ყოჩები 30:10 დათვები**

**ყოჩები:** ფერიაშვილი, ჭავჭავაძე, ახვლედიანი, ურუშაძე, გუშარაშვილი, დიდებულიძე, კ. კობახიძე, ჭელიძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, მაჩიტიძე (ბარძიმაშვილი), საკანდელიძე (ტყეშელაშვილი, ლიპარტელიანი (პეტრიაშვილი), ხეხელაშვილი, იურინი
4 ლ — მაჩიტიძე, ახვლედიანი, ხეხელაშვილი, კ. კობახიძე; 2 გ და 2 ს — კ. კობახიძე
**დათვები:** აშვეთია, გურეშიძე, პაპავა (ნინიძე), აბაშიძე, წულაძე, გოგისვანიძე, სვანიძე, ფხაკაძე, გაბელაია, შარვაშიძე, გიორგაძე, ჯანაშია, ხონელიძე, დავლაძე, ჩუბინიძე
1 ლ — აბაშიძე; 1 გ და 1 ს — ჩუბინიძე
**მსაჯი:** ა. კლავერი (საფრანგეთი)

ორას მაყურებელზე მეტი ვაკის სტადიონზე კვირამდე არ მენახა. გუშინწინ თბილისელებს ბათუმელთა დესანტიც შეემატათ და მთავარი ტრიბუნაც სანახევროდ შეივსო.

მსაჯის სასტვენი და ბათუმელთა შეტევა ერთი იყო. საერთოდ, სტუმრები საწყისი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ძალიან აქტიურობდნენ. მე-3 წუთზე ჩუბინიძეს საჯარიმო გაუცუდდა, თუმც ერთ წუთში „დათვებმა" მაინც მოახერხეს შედეგიანი შეტევის განხორციელება, ხეხელაშვილის შეცდომით ისარგებლეს. საქმე იურინმა გამოასწორა — ლელოს ხაზთან მოასწრო მეტოქის შებოჭვა, მაგრამ „დათვებმა" დერეფნის მოგებით გააგრძელეს შეტევა და მორკინალთა ყოჩაღობით მასპინძელთა ლელოსაც უწიეს. იქ კი აბაშიძემ დაასწრო ყველას და ბურთი დაამიწა. ამას უკვე სენსაციის სუნი უდიოდა. მასპინძელთა ტაქტიკას — ბურთის აუტში გადაგდებას და შემდეგ დერეფნის მოგებით მეტოქის ლელოსკენ წინსვლას — სტუმრებმა ბურთის ხელით გათამაშება დაუპირისპირეს და შედეგიანადაც, მაგრამ ჩემპიონმა მალე აუღო ალღო მეტოქის ამგვარ თამაშს.

ტაიმის შუაწელში მოხდა ის, რაც კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ. დერეფნის მოგების შემდეგ ბურთი შერვაშიძეს მიუვიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ძლიერი დარტყმით საკუთარი ნახევრიდან გაეტანა, ხელით თამაში გადაწყვიტა, ამაში კი დიდებულიძემ შეუშალა ხელი. შექმნილი არეულობით მაჩიტიძემ ისარგებლა და სტუმართა ლელოში შევარდნილ ბურთს პირქვე დაეცა. კახა კობახიძემ გარდასახვაც გამოიყენა ზუსტი დარტყმით გადაავლო ბურთი ხარიხას და გაათანაბრა ანგარიში.

ამის შემდგომ თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. შვიდ წუთში ჩემპიონმა მეორე ლელო გაიტანა, თანაც სტუმრების მსგავსი. უპირატესობის მოპოვებაში მასპინძლებს იმანაც შეუწყო ხელი, რომ გარკვეულწილად შეცვალეს სათამაშო ტაქტიკა — ახლა ბურთს უმეტესად ხელით ათამაშებდნენ. ტაიმის ბოლოს სტუმრებს „ყოჩების" ერთ-ერთი შეტევის ჩაჭრის შემდეგ ლელოს გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ ბოლო მომენტში ხეხელაშვილმა იმარჯვა და იურინის დახმარებით შეძლო ბურთის სახიფათო ზონიდან გამოტანა, თუმც უმალვე დერეფნის მოგებით კვლავ შეუტიეს მასპინძელთა ლელოს და ყოჩებიც იძულებულნი გახდნენ, წესების დარღვევით შეეჩერებინათ მეტოქე. საჯარიმო ზუსტად დაარტყა ჩუბინიძემ და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მაგრამ ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ყოჩმა ხეხელაშვილმა მესამე ლელო გაიტანა. მესამე ლელომ, ეტყობა, დააბნია ბათუმელები, რადგან მატჩის განახლებისას ცენტრიდან დარტყმულმა ბურთმა ათმეტრიან ხაზსაც ვერ უწია.

მეორე ტაიმში სტუმრებს ორჯერ მიეცათ ლელოს გატანის შანსი და ორჯერვე მეტოქის უკანახაზელების შეცდომების წყალობით, მაგრამ ერთხელაც ვერ ივარგეს. პირველად ასეთი შანსი „დათვებმა" შეხვედრის განახლებისთანავე გაატანეს ქარს. მაშინ იურინი შეცდა, მაგრამ ტყეშელაშვილმა თანაგუნდელი დროულად დააზღვია. აქედან ყოჩთა მეორე შეცდომამდე ოცდახუთი წუთი გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემპიონი მეტოქის ნახევრიდან არ გამოსულა და კობახიძის მიერ ზუსტად დარტყმული ორი საჯარიმოთი კიდევ უფრო დაწინაურდა. მეორე საჯარიმოს გათამაშება შეიძლებოდა. ეს ჯარიმა სტუმართა ლელოს ხაზიდან ხუთ მეტრში დაინიშნა და ლელოს გატანაც სავსებით რეალური იყო, მაგრამ ჩემპიონმა უფრო შედეგზე ითამაშა (ამ ჯარიმის მერე მეტოქეს მატჩის მოსაგებად ორი ლელოც არ ჰყოფნიდა).

მეორე შეცდომა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, კვლავ იურინმა დაუშვა — ბურთი ვერ დაიმორჩილა და ხელიდან გაუვარდა, თუმცა თავადვე გამოასწორა. შეხვედრას წერტილი კობახიძემ დაუსვა, როცა მატჩის მიწურულს ლელო გაიტანა.

**პაატა თოთაძე**



დათვებმა ყოჩი ვიქტორ დიდებულიძე მოიხელთეს



„ცუნცულა" ჰაერში: ჩემპიონთა მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი შეგირდებმა სიხარულით ააბურთავეს

# ბრინჯაო პატრონს ელის
## არმიელებმა, ეგ სადაური წესიაო...

თბილისი. ვაკე. 5 დეკემბერი

**ექსპრესი 18:17 ასკ**

**ექსპრესი:** აბრამიშვილი, ჯიბლაძე, მაჭუტაძე, კერესელიძე, სუჯაშვილი, ა. კობახიძე, ჭელიძე, კახიანი, ბერიძე, კვინიხიძე, ხუნწარია, ჩხენკელი, ძნელაძე, ძაგანია, ასათიანი
2 ლ — ასათიანი, ა. კობახიძე; 1 გ და 1 ს — ძნელაძე; 1 ა — კვინიხიძე
**ასკ:** ლიქოკელი, მ. სუჯაშვილი, შველიძე, გაფრინდაშვილი, უჩავა, ექიზაშვილი, მინაშვილი, მაგრაქველიძე, აბუსერიძე, აბრამიშვილი, იაშვილი, პავლიაშვილი, კაპანაძე, კიკნაძე, იოვაძე
2 ლ — აბუსერიძე, კიკნაძე; 2 გ — აბუსეიძე; 1 ა — იოვაძე
**მსაჯი:** პ. ნარიმანაშვილი

მატჩის დაწყებას ორმოცი წუთი აკლდა, რომ ყვავების ჩხავილმა შეძრა „ლოკომოტივის" სტადიონი. რომელ გუნდს უქადდა ეს ცუდს? ამ კითხვაზე პასუხი დაახლოებით ორი საათის შემდეგ უნდა მიგვეღო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა ჯერაც უცნობია. კი მაგრამ, თამაში ხომ ჩატარდაო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. მატჩი კი შედგა, მაგრამ არმიელთა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ შეხვედრის შედეგი გააპროტესტა — მოწინაალმდეგემ განაცხადში შეუყვანელი მორაგბეები ათამაშაო. საკითხი ხვალ განიხილება რაგბის კავშირში და ბრინჯაოსმედალოსნის ვინაობაც მხოლოდ ამის მერე გაირკვევა.

მესამე ადგილისთვის მატჩში დამარცხება თავისთავად დასანანია. ორმაგად დასანანია, როცა ბოლო წუთზე მოგების რეალურ შანსს ვერ იყენებ. სწორედ ასე დაემართათ არმიელებს. მე-80 წუთზე მსაჯმა „ექსპრესის" კარისკენ ჯარიმა დანიშნა ბურთის გასათამაშებლად სტუმრებს დრო აღარ ჰყოფნიდათ და მანძილიც საკმაოდ დიდი ჰქონდათ გადასალახი მეტოქის ლელომდე. დარტყმა აბუსერიძემ იკისრა და... ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, გუჯა იოვაძეს დაერტყა. თუმც ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანაა.

არადა, პირველი ნახევარი არმიელებმა 7:5 მოიგეს. ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებს ანგარიშში დაწინაურების შანსი მიეცათ, მაგრამ კვინიხიძემ საჯარიმო გააცუდა. ანალოგიურ მდგომარეობაში ხუთი წუთის შემდეგ აბუსერიძე აღმოჩნდა. ამის შემდეგ მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მხოლოდ ეგ იყო, მასპინძელთა შერკინება ვერ გამოიყურებოდა სათანადოდ, რის გამოც „ექსპრესის" შეტევებს სიმწვავე აკლდა. ლელოს გატანის პირველი შესაძლებლობა სტუმართ პირველი ნახევრის შუაწელში მიეცათ პავლიაშვილის გარღვევის წყალობით, მაგრამ ექსპრესელთა უკანახაზელებმა იმარჯვეს, პასუხად კი ათი წუთის შემდეგ იქით გაუტანეს ლელო. ამჯერად ასათიანმა შეუტია მარცხენა ფრთაზე და, პავლიაშვილისგან განსხვავებით, „მეხანიკამ" ლელო გაიტანა. ორიოდ წუთში ასათიანმა, ძნელაძემ და ძაგანიამ გაითამაშეს ბურთი კარგად, მაგრამ ეს უკანასკნელი ზედ ლელოს ხაზთან შებოჭეს. ის შვიდი ქულა კი არმიელებმა ტაიმის ბოლოს მოიპოვეს. აბუსერიძემ მოედნის შუაში სამი მეტოქე ჩამოიცილა, მასპინძელთა ლელოსკენ დარტყმულ ბურთს თავადვე დაეუფლა და მეტოქის ლელოში დაამიწა. მანვე ზუსტად გარდასახა და დააწინაურა თანაგუნდელები.

მეორე ნახევარში უპირატესობა გარდამავალი გახლდათ. ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში აბუსერიძემ მეორედ გააცუდა საჯარიმო. შემდგომი ხუთი წუთი მასპინძელთა შეტევებში გაილია და ძნელაძის მიერ მოპოვებული სამი ქულით დასრულდა. ამას საპირისპირო მხარეს ლელო მოჰყვა, რომელიც კიკნაძის ანგარიშზეა. აბუსერიძემაც ზუსტად გარდასახა. ტაიმის შუაწელს მასპინძლები ისევ დაწინაურდნენ. მრავალი ცდის შემდეგ აჩიკო კობახიძემ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ დღეს ორივე გუნდის შემადგენლობაში, როგორც იქნა, ლელო გაიტანა. შეხვედრის დამთავრებამდე მეტოქეებმა კიდევ თითო არეკნი გაახერხეს, ბოლო წუთზე კი რაც მოხდა, ზემოთ მოგახსენეთ.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელები უკმაყოფილო იყვნენ მსაჯობით, მაგრამ ლევან მგელაძე ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა: „ თუ ჩამოიყვანეს მსაჯი, მაშინ ოთხივე თამაში უნდა ამსაჯონ, თუ არა და, რაში უხდიან ფულს, გაუგებარია. დღეს რომ ნორმალური მსაჯობა ყოფილიყო, მატჩი სხვა შედეგით დასრულდებოდა."

და ბოლოს: მოგებით გახარებულმა თემურ ბენდიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მობურთალი ტრავმირებული ჰყავს, „სარბიელის" სინისთვის საპაექროდ გამოიწვია მისი ამჟამინდელი მფლობელი „ყოჩები". „ყოჩები" კი, აბა, რის ყოჩები იქნებოდნენ, გამოწვევა არ მიელოთ. ერთი სიტყვით, რაგბის მოყვარულებს წლეულს ერთი საინტერესო თამაშის ცქერის საშუალება კიდევ ექნებათ.

**პაატა თოთაძე**



მოულოდნელი ტანგო ირაკლი აბუსერიძის (მარცხნივ) და არჩილ კობახიძის შესრულებით

## შოტლანდიამ ესპანეთი, რა თქმა უნდა, გაანადგურა

ალბათ ყველას მოეხსენება, რასაც წარმოადგენს შოტლანდია სარაგბო სამყაროში და ამიტომაც მის მიერ ესპანეთის 85:3 განადგურება მსოფლიოს თასის ევროპის ზონის მესამე შესარჩევ ჯგუფში მოულოდნელობად არავის ალუქვამს. ორივე გუნდს განაღდებული ჰქონდა გაისად უელსში თამაში, ამიტომ მატჩი სანახაობრივად კარგი და ლაღი გამოდგა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა ცამეტი ლელოდან ხუთი კენლოგანის ანგარიშზეა. ესპანელთაგან კი პორტუგალიელებთან მატჩის გმირი კოვალენკო გამოირჩა, თუ ამას გამორჩევა ჰქვია.

# მშვიდობით, ვითა!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ნაკრებს ჩამოაშორეს მაშინდელი ხელმძღვანელობა, რომელსაც არანაირი პირობები არ ჰქონდა, აქაოდა, ახალი მწვრთნელები მეტს მიაღწევენო (ცნობისათვის: ახლანდელი მთავარი მწვრთნელი მოსეშვილი ფედერაციის პრეზიდენტ ქათამაძის მიერაა დანიშნული. შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც თავის თავზე იგი იღებდა). გაუმჯობესდა თუ არა ნაკრების თამაში, ყველამ კარგად იცის და კომენტარს არ საჭიროებს.

**— ნაკრების ახლანდელი თავკაცობა პირობების გარდა სხვა მიზეზებსაც ასახელებს, რომელთა უგულველყოფაც არ შეიძლება.**

— გეთანხმებით, ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონეა. არადა, მახსენდება ის დრო, როცა რამდენიმე კლუბი ევროტურნირებში იყო ჩაბმული. ნაკრების წევრები თავიანთი გუნდებიდან მომზადებულნი მოდიოდნენ და ევროპულ კალათბურთთან ჩამორჩენა დიდად არ იგრძნობოდა. ახლა, საქართველოში ასეთი გუნდები აღარ არსებობენ და ეს ნაკრებსაც დაეტყო.

კიდევ ავღნიშნავ სტეფანიას ჩამოუსვლელობას, რადგან ამან შეიძლება ყველა მის მიმართ უარყოფითად განაწყოს. ვოვა ჩვენი ნაკრებისთვის მართლაც დიდი ძალაა. ყოფილ იუგოსლავიაში ახალგაზრდა თაობას მისი თამაშების ამსახველ ვიდეო-ფირებზე ზრდიან. მისით მთელი სლოვენია ამაყობს, მოქალაქეობის მიღებაც შესთავაზეს, რაზეც არ დასთანხმდა. ამიტომ, სანამ სტეფანიას გავკიცხავდეთ, ესეც გავიხსენოთ.

თანაც ასეთი დონის მოთამაშეს ყოველთვის სჭირდება სამედიცინო დაზღვევა, რათა მან და მისმა მფლობელმა გუნდმა არ იზარალოს. თუ გავიხსენებთ ლატვიასთან მატჩს, სტეფანიამ ტრავმა მიიღო და „ოლიმპიას" ევროლიგის მეოთხედფინალურ მატჩში ვეღარ დაეხმარა. მისი კლუბიც დამარცხდა და ვოვას უთამაშებლობა სანანებელი გახდა.

თუ საქმე ვოვას განსჯაზე მივა, საკითხს ასე დავსვამ: სტეფანიასგან თავდადებას ითხოვენ, მაშინ, როცა სპორტის მესვეურები მას და მის ოჯახს იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევენ. მამამისი ხუთი წელი უმუშევარი იყო და არაერთი თხოვნის მიუხედავად, მისთვის უბრალო არქიტექტორის ადგილი ვერ გამოინახა. რა, არავის შეეძლო დახმარებოდა, სიტყვა შეეწია სადმე?!

**— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ვითას" ფიბას ვალი აქვს — 20 ათასი მარკა, რომლის გადახდაზეც თქვენ უარს ამბობთ.**

— დიახ, კლუბს ფიბას 20 ათასი მარკა მართებს. ვიცე-პრეზიდენტ ხომერიკს კიდეც ვუთხარი, ახლა არანაირი შესაძლებლობა არ გვაქვს და ამ თანხას მოგვიანებით დავფარავ-მეთქი. ესეც დავამატე — თუ გეჩქარებათ, შეგიძლიათ სასამართლოში მიჩივლოთ, რადგან ჯარიმის ნაწილი სპორტის სასახლის გასასტუმრებელია. დირექციასთან ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული, რაც წესრიგის უზრუნველყოფასა და რეკლამების განთავსებას ითვალისწინებდა. ფიბასგან მოსულ ფაქსში დაჯარიმების მიზეზად რეკლამების არასწორი განლაგება და თურქეთის „ფ.თ.თ. ანკარასთან" მაყურებლის უმსგავსო საქციელი არის მოყვანილი. ასე რომ, 20 ათასი მარკის გადახდაში „წილი" ვინ უნდა დაიდოს, ესეც გასარკვევია.

მავანთ მინდა შევახსენო: როცა ფედერაციას უჭირდა, 2 ათასი დოლარით და 5 ათასი ლარით დავეხმარეთ, ორი წლის განმავლობაში ეროვნული ნაკრები „ვითას" ფორმებით ასპარეზობდა. გარდა ამისა, თუკი ვინმეს იმ დროს ფიბას ვალი ჰქონდა, მე გავისტუმრე. ამაში გუნდების დავალიანებას ვგულისხმობ, კლუბების — „თბილისისა" და „კაქტუსის" ჯარიმებიც ჩემი დაფარულია. არავის არაფერს არ ვაყვედრებ, მაგრამ ახლა, როცა ხელი შემეშალა, ცოტა მადროვონ. კიდევ ვიმეორებ, ფიბას ჯარიმას გადავიხდი, არსად გავრბივარ.

**— როგორ შეხვდნენ მოთამაშეები ჩემპიონატის დატოვებას?**

— ბიჭები ძალიან განიცდიან, ჩვენ ხომ ერთი ოჯახივით ვიყავით. უმეტესობა დაარსებიდანვე კლუბშია და მათთვის „ვითას" დაშლა ტრაგედიაა. გუშინ შევხვდით მოთამაშეებს, ყველას ავუხსენით, როგორი სიტუაციაა შეიქმნა, დავარწმუნე რომ გუნდის არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა წყლის ნაყვაა. წინ არანაირი პერსპექტივა არ მესახება.

**— ამდენი წელია საკუთარი კლუბი გაქვთ, ბევრი მძიმე დღე გადაგიტანიათ, მაგრამ ნუთუ ტკბილად არაფერი მოგაგონდებათ?**

— ყველაზე კარგად მესამე ეროვნული ჩემპიონატი მახსენდება, ვთვლი, რომ იგი ყველაზე საინტერესო იყო იმ პირველობათაგან, რაც აქამდე გამართულა, მაშინ მართლაც საკალათბურთო ბუმი იყო. მარტო მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი რად ღირდა. ისიც მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრი ლეკიშვილი დაგვიანებით მოვიდა და მატჩს ფეხზე მდგარი უცქერდა...

შემდეგ იყო ფინალური შეხვედრები, რომლებსაც 14 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მგონი, ამდენ ადამიანს ვერცერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეკრებს მიტინგზე. სპორტის სასახლეში გამართულ აჟიოტაჟს ევროპაშიც მოჰყვა გამოხმაურება. მატჩების ფრაგმენტები ენ-ტი-ვიმ, ო-ერ-ტემ, „ევროსპორტმა" და „ევრონიუსმა" გადასცეს. ეს იყო ჩვენი კალათბურთის განვითარების მწვერვალი, ალბათ, ჩვენი თაობისათვის საამურად გასახსენებელი. ასეთი რამ, მგონი, აღარ განმეორდება. თუმცა, ღმერთმა ქნას ვცდებოდე...

**— კვლავაც გამოჩნდება თუ არა „ვითა"?**

— თუ სიტუაცია გაუმჯობესდა, ყველაფერი თავის ადგილას დადგა და კალათბურთს კალათბურთი დაერქვა, წამითაც არ დავახანებ. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ უნდა გუნდის შექმნა და დროს ტყუილად არ დავკარგავთ.

**მამუკა ტუღუში**

7 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი

**7 ტური**

**კოლხა 68:82 სდასუ**

I ტაიმი 27:38
კოლხა: პირველი, ბერიშვილი (9), კეიდია (10), დ. ქვილითაია (5), უგრეხელიძე (23); ბ. ქვილითაია (5), თოდუა (7), აბულაძე (9)
სდასუ: უძილაური (23), თორთლაძე (29), გიგაური (4), გიგაშვილი (1), მაჭარაძე (8); არჩვაძე (8), აბულაძე (1), ქევხიშვილი (8), ხარაძე, ქურდიანი
მსაჯი: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი



დავით თორთლაძე



შოთა უძილაური

# სდასუ მოღონიერდა

პირველი წრის მეშვიდე ტური სიახლეებით დაიწყო. ჯერ იყო და საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი „ვითა" გამოაკლდა შეჯიბრს, რაც უეჭველად დიდ დაღს დაასვამს ჩემპიონატის მსვლელობას. მოსალოდნელია, ვითელები სხვა გუნდებში გადანაწილდნენ და ცვლილებებიც, რაღა თქმა უნდა, გასაკვირი არ უნდა იყოს. გუშინდელ მატჩში მონაწილე გუნდებიც გაძლიერებული შემადგენლობები გამოვიდნენ მოედანზე. სდასუს რიგებში მოულოდნელად გამოჩნდნენ დავით თორთლაძე და შოთა უძილაური, რომლებიც საზღვარგარეთიდან დაბრუნდნენ და იმედია, სდასუს დიდ სამსახურს გაუწევენ. ასევე ცვლილებებია „კოლხაშიც". გუნდს შეემატნენ ბეჟან ქვილითაია და ლერი პირველი, რომელიც წლების განმავლობაში თამაშობდა მაშინდელ „სოხუმი 91"-ში. ასე რომ, შეხვედრას საინტერესო პირი უჩანდა და გუნდებიც გაყინულ დარბაზში აქტიურ მოთელვას შეუდგნენ.

სიცივის და უხეირო განათების მიუხედავად, მატჩის დებიუტი მართლაც საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა. „კოლხას" ერთი მოგება ჰქონდა „მაკაბისთან", სდასუს კი ამ ჩემპიონატში არ უმარცხვია და, ბუნებრივია, მოგების სურვილი დიდი იყო. პირველი შეტევა კოლხებმა წამოიწყეს, რასაც უმალ სდასუმ უპასუხა. პირველი სამი წუთი აქტიურად, მაგრამ უშედეგოდ წარიმართა. ანგარიში კი მე-4 წუთზე სოხუმელთა ლიდერმა, 17 წლის დავით უგრეხელიძემ გახსნა. ამას კვლავ სდასუს უხეირო შეტევა და ბურთი ისევ „კოლხამ" მოათავსა კალათში სწრაფი გარღვევით. ამის შემდეგ სდასუ გამოცოცხლდა და მე-5 წუთისთვის ანგარიში უძილაურის 3-ქულიანით გათანაბრდა — 6:6.

ახალგაზრდა კოლხები პირველ ტაიმში ყოველთვის აქტიურად თამაშობენ და გუშინაც ასე იყო. 10-12 წუთის მანძილზე თამაში სწორედ „კოლხას" 4-5-ქულიანი უპირატესობით მიმდინარეობდა. საკუთარ და მეტოქის ფარქვეშ აქტიურობდა უგრეხელიძე, რომელსაც ქვილითაია და კედია უბამდნენ მხარს. ამ უკანასკნელის ლამაზმა გარღვევამ გაყინულ დარბაზში მყოფ მცირერიცხოვანი მაყურებლის აპლოდისმენტები დაიმსახურა. ტაიმის შუაში ანგარიში კვლავ გათანაბრდა. თურქეთიდან დაბრუნებული დავით თორთლაძე სდასუს ლიდერად მოგვევლინა. თავიდან დაცვაშიც კარგად ირჯებოდა, შემდეგ კი ნავსი გატეხა, რამდენიმე უშედეგო ცდას ზუსტი სამიანიც მიაყოლა და სდასუ დააწინაურა. „კოლხა" კი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ანგარიში ტაიმის ბოლოს რამდენჯერმე გათანაბრდა. ტაიმის მიწურულს კი ახალგაზრდა სოხუმელებმა ვერ შეძლეს თორთლაძისა და უძილაურის შეჩერება. მათი ნასროლი სამქულიანები მიზანს ხშირად აღწევდა და პირველი ნახევარიც სწორედ სდასუს 9-ქულიანი უპირატესობით დამთავრდა.

მატჩის მეორე ნახევარი „კოლხამ" მთლიანად დათმო. სდასუ ყველა რგოლში სჯობდა მეტოქეს. თორთლაძის ჩვეული, გააზრებული თამაშის შედეგად მეორე ტაიმის მე-5 წუთზე „კოლხა" 19 ქულით ჩამორჩა მეტოქეს. იქმნებოდა აზრი, თითქოს მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სოხუმელებმა პრესინგს მიმართეს, რამაც ლოგიკური შედეგი გამოიღო: მეორე ტაიმის შუაში „კოლხამ" შეძლო ანგარიშის 9 ქულამდე შემცირება, მაგრამ გამოცდილებამ და გამარჯვებისკენ სწრაფვამ თავისი გაიტანა. სდასუს შემადგენლობაში დავით თორთლაძე ყველაზე შედეგიანი (29 ქულა) იყო. „კოლხა" ძალიან ცდილობდა, მეტოქეს დასწეოდა და მატჩი გადაერჩინა, მაგრამ... სდასუ-მ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

**ზურაბ გონაშვილი**

## მატჩის შემდეგ

წლევანდელ გათამაშებაში სდასუელთა პირველი გამარჯვება მნიშვნელოვანწილად გუნდში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა. სტუდენტური კლუბის თავკაცობა დარწმუნდა, რომ შემადგენლობა სასწრაფოდ საჭიროებდა გადახალისებას და აკი ჩემპიონატში გამოცხადებული იძულებითი შესვენებისას საამსაქმოდაც მოიცალეს. შოთა უძილაურისა და დავით თორთლაძის სახით გუნდმა მართლაც საჭირო შევსება მიიღო, რითაც უკანახაზელების პრობლემა საბოლოოდ გადაჭრა. თავად განსაჯეთ: სტუდენტების მიერ მოგროვებული 82 ქულიდან 52 სწორედ ახალწვეულებზე მოდიოდა. უძილაურმაც და თორთლაძემაც მშვენივრად ჩაატარეს შეხვედრა და ლომის წილიც დაიდეს თავისიანთა ესოდენ ნანატრ გამარჯვებაში.

მატჩის შემდგომ **შოთა უძილაურს** გავესაუბრეთ, რომელსაც კალათბურთის ქომაგთათვის წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. შოთა თავის დროზე „ვითას" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონიც გამხდარა და ეროვნულ ნაკრებში თამაშითაც დაუმახსოვრებია თავი. ბოლო ორი წელია, მასზე არაფერი გვსმენოდა და, ბუნებრივია, ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით.

— ამ ხნის მანძილზე გერმანიაში, პადერბონის „ბორდოში" ვთამაშობდი, რომელიც იქაურ მეორე ლიგაში გამოდის და საშუალო კლუბად ითვლება. ეს-ესაა კონტრაქტი დამიმთავრდა და სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე, აქაურობა ძალიან მომენატრა, შორს ყოფნა უკვე გაუსაძლისი გახდა.

**— ჩვენში რა სიტუაციაცაა, თავადაც ნახავდით. აქედან ყველა გაქცევას ლამობს, ყველას საზღვარგარეთისკენ უჭირავს თვალი. თქვენი საქართველოში დაბრუნება თითქოს გაუგებარიც კია...**

— სიმართლე გითხრათ, დარჩენაც შემომთავაზეს, მაგრამ თვითონ აღარ მოვინდომე. პატარა ბიჭი ხომ აღარ ვარ. უკვე ოცდაათისა მოვიყარე. ვთვლი, რომ ჩემი უკვე მოვჭამე და მსურს, კარიერა აქ, საქართველოში, დავასრულო. მიუხედავად იმისა, რა პირობებს შემომთავაზებენ. გეთანხმებით, ჩემთვის, როგორც კალათბურთელისთვის, იქ ყოფნა და ვარჯიში უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ხომ გეუბნებით, ველარ გავჩერდი. სულ ორ წელს თუ ვითამაშებ და მერე მეც დავიხურავ ქუდს. გული კი მწყდება, მაგრამ...

**— კარგით, ამაზე სხვა დროს იყოს. ახლა ის თქვით, სდასუ-ში როგორ აღმოჩნდით?**

— ჩვეულებრივად. სტუდენტთა ხელმძღვანელობა ჩემით დაინტერესდა და შემომთავაზეს, მათთან მეთამაშა. თავიდან კი ვყოყმანობდი, მაგრამ მაინც დავთანხმდი. ისე, სხვა წინადადება არ მიმიღია, დიდი არჩევანიც არ მქონდა. ერთი სიტყვით, ახლა ამ კლუბის ღირსებას დავიცავ და ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას მთლიანად სდასუ-ს მოვახმარ.

## ჰოკეი

4 დეკემბერი

**ვანკუვერი — დალასი 4:1**

0:0 2:1 2:0

1:0 ნესლუნდი 32'24 (10); ლეჰტინენი 33'50 (6); ნესლუდი 37'31 (11); ნესლუნდი 49'47 (12); 4:1 ბრაშირი 57'50 (2);

**კოლორადო — სენტ ლუისი 2:0**

1:0 0:0 1:0

1:0 ფორსბერგი 0'48 (7); 2:0 მილერი 46'13 (2)

**ედმონტონი — ტამპა 1:2**

0:1 0:0 1:1

0:1 რენბერგი 15'17 (3); 1:1 მაკამონდი 46'59 (2); 1:2 კლარკი 49'55 (12)

**ვაშინგტონი — აილენდერსი 5:1**

0:0 1:1 4:0

0:1 რაიხელი 24'39 (7); 1:1 პლი 34'48 (2); 2:1 იუჰანსონი 44'34 (2); 3:1 იუჰანსონი 48'25 (3); 4:1 ბონდრა 49'12 (11); 5:1 კონოვალჩუკი 50'04 (2)

**კაროლინა — პიტსბურგი 3:3**

1:0 2:2 0:1 0:0

1:0 პრიმო 19'18 (13); 1:1 ლანგი 23'31 (10); 1:2 ჰეჩერი 31'27 (3); 2:2 ემერსონი 34'56 (6); 3:2 კრონი 37'18 (4);3:3 კესა 49'25 (1)

**ბუფალო — ფილადელფია 3:0**

2:0 1:0 0:0

1:0 სანდერსონი 4'15 (8); 2:0 შენონი 7'33 (2); 3:0 ჰოლცინგერი 22'01 (7)

**ნიუ ჯერსი — მონრეალი 1:1**

0:0 0:1 1:0 0:0

0:1 მალახოვი 35'05 (6); 1:1 ანდრეიჩუკი 58'07 (7)

**სან ხოსე — დეტროიტი 2:2**

0:2 0:0 2:0 0:0

0:1 უორდი 6'05 (2); 0:2 კრუპი 8'53 (3); 1:2 შტერნი 48'54 (3); 2:2 გრენატო 54'25 (5)

5 დეკემბერი

**ფილადელფია — ვაშინგტონი 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 ბრინდამორი 10'13 (10); 2:0 ბრინდამორი 37'13 (11); 2:1 ბელოუზი 50'04 (11)

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 5:7**

2:0 1:5 2:2

1:0 სმოლინსკი 5'10 (6); 2:0 სმოლინსკი 13'51 (7); 2:1 არნოტი 20'57 (6); 2:2 ოლივა 22'26 (2); 2:3 პოლიკი 26'30 (6); 3:3 რიხტერი 27'21 (2); 3:4 მორისონი 33'27 (3); 3:5 ანდრეიჩუკი 38'55 (8); 3:6 სიკორა 40'59 (9); 4:6 დონატო 42'24 (2); 5:6 დონატო 31'04 (3); 5:7 ელიაში 59'18 (4)

**კალგარი — ფინიქსი 2:3**

0:3 1:0 1:0

0:1 ტკაჩუკი 3'11 (14); 0:2 ადამსი 4'48 (5); 0:3 ისბისტერი 19'55 (3); 1:3 სტილმანი 39'34 (8); 2:3 იგინლა 57'08 (10)

**სენტ ლუისი — კოლორადო 1:3**

1:0 0:1 0:2

1:0 ისტვუდი 1'27 (3); 1:1 დრური 38 26 (6); 1:2 ლემიე 55 10 (8); 1:3 საკიკი 59 59 (11)

**ფლორიდა — კაროლინა 3:3**

1:1 2:1 0:1 0:0

1:0 შვეპლა 0'14 (4); 1:1 დაინინი 11'39 (4); 2:1 სისარელი 29'41 (2); 2:2 შეპარდი 32'02 (12); 3:2 სისარელი 35'29 (3); 3:3 ემერსონი 52'23 (7)

**მონრეალი — ტორონტო 3:4**

0:0 2:2 1:1 0:1

0:1 მარკოვი 20'48 (2); 1:1 კორსონი 23'29 (4); 1:2 იუშკევიჩი 26'50 (5); 2:2 პულინი 31'20 (3); 3:2 რუჩინსკი 47'22 (7); 3:3 დომი 57'40 -(2); 3:4 კაბერლე 60'34 (3)

**ნეშვილი — ბუფალო 1:3**

0:0 0:1 1:2

0:1 გროშეკი 20'52 (9); 1:1 რონინგი 44'26 (6); 1:2 ჰოლცინგერი 54'47 (8); 1:3 რასმუსენი 58'54 (1)

**ბოსტონი — პიტსბურგი 2:1**

2:0 0:1 0:0

1:0 ბეიტსი 6'48 (1); 2:0 ჰაინცე 17'58 (8); 2:1 იაგრი 30'55 (8)

**ოტავა — რეინჯერსი 1:2**

1:2 0:0 0:0

1:0 ბონკი 10'40 (7): 1:1 სუნდსტრიომი 13'41 (5); 1:2 ჰარვი 16'28 (7)

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 3:4**

0:3 3:0 0:1

0:1 ფიოდოროვი 11'46 (7); 0:2 აიზერმანი 15'58 (11); 0:3 შენაჰანი 16'21 (13); 1:3 პერო 25'53 (5); 2:3 რობიტაილი 36'18 (12); 3:3 ოდონელი 39'11 (1); 3:4 ჰოლმსტრიომი 42'23 (6)

6 დეკემბერი

**ვანკუვერი — ფინიქსი 3:3**

2:2 0:1 1:0 0:0

0:1 დრეიკი 5'16 (5); 1:1 ბრაშირი 25'39 (3); 2:1 ნესლუნდი 9'41 (13); 2:2 რენიკი 19'39 (7); 2:3 რენიკი 25'14 (8); 3:3 მაკალისტერი 48'53 (1)

**სან ხოსე — ანაჰაიმი 1:2**

0:0 1:1 0:1

0:1 კალენი 23'58 (1); 1:1 ნოლანი 32'08 (2); 1:2 მაკინისი 49'47 (7)

**ჩიკაგო — ტამპა 7:5**

2:2 0:1 5:2

1:0 მანელიუკი 2'03 (3); 1:1 მაკარტი 2'41 (1); 2:1 ჟამნოვი 6'57 (6); 2:2 ნაზაროვი 8'34 (2); 2:3 რენბერგი 32'47 (4); 3:3 ჟამნოვი 40'37 (7); 4:3 ამონტე 45'25 (9); 5:3 კილგერი 55'57 (6); 5:4 ტაკერი 56'50 (9); 5:5 კლარკი 58'08 (13); 6:5 ოლჩიკი 59'05 (1); 7:5 ამონტე 59'41 (20)

**ედმონტონი — დალასი 2:6**

0:0 0:5 2:1

0:1 ლეჰტინენი 20'19 (7); 0:2 ზუბოვი 29'34 (2); 0:3 მარშალი 29'57 (5); 0:4 ლეჰტინენი 34'05 (8); 0:5 რეიდი 34'23 (1); 1:5 გრიერი 41'45 (6); 1:6 სკრუდლანდი 44'01 (1); 2:6 გერინი 47'39 (13)

# ლხინი იქა, ჭირი აქა
# შვედეთი 4:1 იტალია

DAVIS CUP by NEC

**პარასკევის მატჩები: მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:7 (7:9), 7:6 (7:0), 4:6, 6:3, 6:6 — ტრავმა; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:1, 6:4, 6:0**

შვედებმა ჩემპიონობა, ფაქტობრივად, ასპარეზობის პირველივე დღეს გაინაღდეს და არა მარტო იმიტომ, რომ ამ დროისათვის 2:0-ს იგებდნენ. მთავარი ის გახლდათ, რომ მაგნუს ნორმანთან არაჩვეულებრივად დრამატული, ხუთსაათიანი მატჩის ბოლოს იტალიელთა მთავარმა იმედმა და პირველმა ჩოგანმა ანდრეა გაუდენციმ მძიმე ტრავმა მიიღო და თავისიანებს ფინალის (და არამარტო) ბოლომდეც გამოაკლდა.

„ძალიან მინდოდა, ჩემიანებისთვის ქულა მაინც მომეპოვებინა, მეორე სეტიდან მოყოლებული მწვავე ტკივილებსაც ვითმენდი, მაგრამ ბოლოს თამაში შეუძლებელი გახდა. მატჩის შემდეგ გასახდელში ჭიქაც კი ვერ ავწიე მარჯვენა ხელით — მგონი, მყესი გავიწყვიტე. ორშაბათს ოპერაციას გავიკეთებ და, ალბათ, 6-8 კვირა ველარ ვითამაშებ“ — თქვა თავად დაზარალებულმა. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მისი განცხადება მეტად ოპტიმისტური იყო. ექიმების შემოწმების შემდეგ 6-8 კვირა 6 თვედ და ტრავმებით აქამდე შეჭირვებული გაუდენცისთვის იქნებ კარიერის დასასრულადაც იქცა.

რაღა გასაკვირია, თუ იტალიელთა კაპიტანს, პაოლო ბერტოლუჩის იმედი წინდაწინ გადაწურული ჰქონდა: „ყოველთვის ვამბობდი, პირველი დღის შემდეგ 1:1 რომ იყოს, ფავორიტები მაინც შვედები იქნებიან-მეთქი, ახლა კი ანგარიში 0:2-ია. ჩვენ ერთი კი არა, უამრავი სასწაულილა თუ გადაგვარჩენს“.

**შაბათი. წყვილები: იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი (შვედეთი) — დავიდე სანგვინეტი და დიეგო ნარგიზო (იტალია) 7:6 (7:1), 6:1, 6:3**

შაბათი მილანში სასწაულების დღე არ გამოდგა. ან კი როგორ იქნებოდა, როცა იტალიურ წყვილს მანამდე ერთად არასოდეს უთამაშია (სანგვინეტიმ ტრავმირებული გაუდენცი შეცვალა), შვედურს კი დევისის თასზე სამი წლის მანძილზე არ წაეგო.

იტალიელებს პირთამდე გატენილ „ფორუმ დი ასაჯოში“ თავისიანთა გულშემატკივრობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ 12 ათასი ქომაგი თანამემამულეთა ცოდვილობას უმეტესად სამარისებური სიჩუმით, ზოგი უნებლიე შეცდომის შემდეგ კი სტვენითაც ხვდებოდა. ერთხელ კი, როდესაც სანგვინეტის მორიგი ბექჰენდი ტრიბუნებზე გაფრინდა, ვილაცამ ყველას გასაგონად იყვირა, ანდრეა ამ მატჩს ჩვენთვის მოიგებდაო.

შეუთამაშებელი იტალიელები რამდენჯერმე კინაღამ შეასკდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს იშვიათად თუ უგებდნენ და თუ პირველ სეტში ტაი-ბრეიკამდე როგორღაც მიაღწიეს, მერე ცალკარა თამაში გაჩაღდა.

„ტაი-ბრეიკზე ჩვენ მნიშვნელოვნად მოვუმატეთ და იქიდან მოყოლებული მატჩს ბოლომდე ვაკონტროლებდით, მათზე ყოველთვის თითო ნაბიჯით წინაც ვიყავით — განაცხადა მოგვიანებით იონას ბიორკმანმა, რომელმაც დევისის თასი მესამედ მოიგო და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ შვედ ჩოგბურთელებს, სტეფან ედბერგსა და მატს ვილანდერს გაუტოლდა — მართალია, სტეფანსა და მატსს დავეწიე, მაგრამ პირადი შედეგებით მათ ვერ შევედრები, მე კიდევ ბევრს უნდა მივაღწიო. თუმცა საგაისოდ თასის ზედიზედ მესამედ მოგებას და ჩვენი სიძლიერის კიდევ ერთხელ დამტკიცებას რა აჯობებს“.

შვედთა კაპიტანმა კარლ აქსელ ჰაგესკაგმა კი თავისი განცხადებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მადა ჭამაში მოდის: „ეს გამარჯვება შარშანდელზე უფრო სასიამოვნო კი არა, უბრალოდ, გამორჩეულია. ჩვენ არასოდეს გვაკმაყოფილებს მოგება. ეს შესანიშნავი გრძნობაა, რომელიც მეტის და მეტის მიღწევის სურვილს აღგიძრავს“.

დავიდე სანგვინეტის კი მარცხის სიმწარესთან ერთად სხვა უსიამოვნებაც შეემთხვა. მატჩის დასრულების შემდეგ კორტებზე გახარებული შვედები და ბლომად გულშემატკივრები გადმოხტნენ და ერთმა მათგანმა იტალიელი ჩოგბურთელის მობილური ტელეფონი და საფულეც გააყოლა ხელს.

**კვირა: მაგნუს გუსტაფსონი — ჯანლუკა პოცი 6:4, 6:2; დიეგო ნარგიზო — მაგნუს ნორმანი 6:2, 6:3**

კვირას ერთეულების მატჩები არაფერს წყვეტდა — შვედები უკვე ჩემპიონები იყვნენ. ამიტომ შეხვედრები სამის ნაცვლად ორი სეტის მოგებამდე ჩატარდა.

საქმე მხოლოდ ის იყო, ამერიკელების მსგავსად (შარშანდელ ფინალში) იტალიელებიც მშრალზე, სამარცხვინოდ დამარცხდებოდნენ თუ ანგარიშის დასვლებით საკუთარი ქომაგების წინაშე დანაშაულს ოდნავ მაინც გამოისყიდდნენ.

პირველმა მატჩმა მაპინძლებს ისევ ვერ მოუტანა შვება — 31 წლის მაგნუს გუსტაფსონმა თავისზე ორი წლით უფროსი ჯანლუკა პოცი საათზე ოდნავ მეტ დროში გაანადგურა: „რა შემიძლია ვთქვა — დიდი სლემის ტურნირს ველარ მოვიგებ, სლემის გარდა კი ეს ყველაზე პრესტიჟული რამ არის. როდესაც კარიერას დავასრულებ, მეცოდინება, რომ რაღაც ღირებული გავაკეთე“.

უკანასკნელ შეხვედრაში იტალიელთაგან სანგვინეტის ნაცვლად წყვილებში თამაშის ოსტატმა, კლასიფიკაციით 130-ე დიეგო ნარგიზომ იასპარეზა და არცთუ ურიგოდაც.

ტრიბუნებზე ამჯერად 5000 კაცილა შეკრებილიყო, თუმცა თიხნარისთვის უჩვეულოდ, ბადესთან მოთამაშე ნარგიზომ გაუდენცის გამამწარებელი ნორმანი რომ დაიბრიყვა, იტალიელებს ხასიათი გამოუკეთდათ, გვარიანად იქომაგეს და გამარჯვების ნიშნად ცალთითაწეული•თანამემამულე ტაშითაც გააცილეს.

როგორც იქნა, გემოზე მოილხინეს სკანდინაველებმაც, რომლებმაც წინა დღეს გამარჯვება ვერ აღნიშნეს. „როგორც პროფესიონალებს, გვინდოდა, დღესაც კარგად გვეთამაშა და მაყურებლებიც არ გაგვეწბილებინა. ახლა კი, როდესაც სამუშაო დასრულებულია, ზეიმის დროც დადგა“ — განაცხადა ჰაგესკოგმა, რომელიც შამპანურებით წუწაობაშიც მონაწილეობდა (ყველაზე მეტიც მოხვდა) და თავის ჩოგბურთელებს მადლობაც უთხრა — მეკითხებით, თქვენი წარმატების საიდუმლო რაში არისო, ისინი კი ჩემს ირგვლივ სხედან. წლეულს შვედეთის სახელით 8 ჩოგბურთელმა იასპარეზა და თავი არავინ დაზოგა. საიდუმლოც სწორედ ეს არის“.

თუ შვედებს ფინალის შემდეგ საქმე საზეიმოდ ჰქონდათ, ფინანსური პრობლემების გამო ფედერაციაზე განაწყენებულ იტალიელებას დანა პირს არ უხსნიდათ. მათ კაპიტნის — პაოლო ბერტოლუჩის კონტრაქტიც ედარდებოდათ: „თუ კაპიტანს შეგვიცვლიან, გაისად გუნდს ბოიკოტს გამოვუცხადებთ“ — განაცხადა ნარგიზომ. „თუ ბერტოლუჩი წავა, ჩვენ[ც] წავალთ“ — [illegible] სანგვინეტი.

ყველაზე [illegible] გაუდენციც ვერ იყო ხასიათზე: „ფედერაციისაგან მადლობას საერთოდ არ ველი, რა[…] დგან ასეთი ხალხისგან არაფრის იმედ[…] არ უნდა გქონდეს. ჩემი მატჩის დროს ტაშ[…] არცერთს არ დაუკრავს, სამაგიეროდ, ყო[…] ველ 15 წუთში დგებოდნენ, რათა ეჭამათ“.

## ცვლილებები

ფინალური შეხვედრის შემდეგ იქვე მი[…] ლანში, ჩოგბურთის საერთაშორისო ფე[…] დერაციის (ITF) პრეზიდენტის ბრაიან ტო[…] ბინის კონფერენცია მოეწყო. დისკუსიი[…] თემა, რაღა თქმა უნდა, დევისის თასი[…] გათამაშებაში წამყვანი ჩოგბურთელები[…] მიზიდვის პრობლემა იყო — ამ ტურნირი[…] პოპულარობამ ხომ საგრძნობლად იკლო[…]

როგორც აღმოჩნდა, ITF 2001 წლიდა[ნ] რამდენიმე ცვლილებას ამზადებს: უმაღლ[…] ლიგაში 16-ის ნაცვლად 14 გუნდი დარჩე[…] ბა (რათა ფინალისტებმა მომდევნო წელ[…] პირველ წრეში დაისვენონ), მერვედფი[…] ნალ — მეოთხედფინალში მატჩები ორ[…] სეტის მოგებამდე გაგრძელდება, გა[…] დამწყვეტ ხელში ტაი-ბრეიკს შემოიღე[…] ბენ და დევისის თასზე ასპარეზობამ შე[…] ძლება კლასიფიკაციაში ქულებიც შემა[…] ტოს ჩოგბურთელს.

„არ ვიცი, სამპრასის გადმოსაბირებლა[დ] ეს საკმარისი თუ იქნება — განაცხად[ა] ტობინმა — უარის მიზეზად მას რო[…] ემერსონის რეკორდის მოხსნის სურვილ[ი] მოჰყავს. მის წინააღმდეგ გამოსვლა არ[…] მსურს, მაგრამ როგორ შეიძლება, ე[…] ორი შეადარო ერთმანეთს, როდესაც ემე[…] რსონს ანგარიშზე 12 დიდი სლემისა და 8 დევისის თასის მოგება აქვს, სამპრასს კ[ი] მხოლოდ 11 და 2“.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS მილანიდან



შვედებმა წლეულსაც, სულ კი მეშვიდედ, გაიხარეს დევისის თასით

REUTERS მილანიდან



დიეგო ნარგიზო

მთის თხილამურობა

# ყველანი ევროპაში

სლალომში ასპარეზობის შემდეგ სამთომთხილამურე ქალები სუპერგიგანტში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, კალიფორნიის კურორტ მემოთ მაუნთინის დაღმართები ყველაზე სწრაფად ავსტრიელმა კრისტინა მიტერვალნერმა (1.15.69 წუთი) ჩაიქროლა. მეორე ადგილზეც ავსტრიელი რენატა კოუხი (1.15.73 წუთი) გავიდა. მსოფლიოს თასის ლიდერი ალექსანდრა მაიზინცერი 1.16.32 წუთით მეექვსე იყო. თუმცა, წლეულს ჩინებულად მოთხილამურე მაიზინცერი სუპერგიგანტისა და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაშიც პირველია.

**სუპერგიგანტი: 1. ალექსანდა მაიზინცერი — 140; 2. კრისტინა მიტერვალნერი — 100; 3. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 80; 4. რენატა კოუხი (ავსტრია) — 80; 5. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 72.**

**საერთო ჩათვლა: 1. ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) —425; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) — 303; 3. რენატა კოუხი (ავსტრია) — 294; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 232; 5. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 187.**

კაცები კანადურ უისტლერში შეიკრიბნენ სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში გასაჯიბრებლად. მაგრამ რად გინდა? ნისლსა და ბურუსს მოეცვა უისტლერის მთები, სპორტსმენები ამაოდ ელოდნენ გამოდარებას, ბუნების ჭირვეულობას რომ საშველი აღარ დაადგა, შეჯიბრის ორგანიზატორებმა მსოფლიოს თასის კანადური ეტაპი საერთოდ გააუქმეს. ამ კვირაში სამთომთხილამურენი ოკეანეს გადმოლახავენ და საასპარეზოდ ევროპის მაღალმთიანეთს ეწვევიან.

**სოსო კოტორეიშვილი**

REUTERS მემოთ მაუნთინიდან



ავსტრიელი რენატა კოუხი სუპერგიგანტში მეორე იყო


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29